

იხსოვიან-საქართველოში ვახანი

№10, 2011, ოქტომბერი

ფასი 2 ლარი

იხსოვიან

სიხა-ჯანაძე
ახანაძე
3D ჩემონტაჟი



ძველი
თბილისი
სიხაძეები

ვახანის ბიძა
ყვანაზა სასხიხი და
სისხინაბეძეძე

ზაქარია და
სამხითვალი
დაბეჭედი

ყვანაძე დიმიტრი საჯანთაძე
იხსოვიანის ხომალდი

კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
8 ტომად

ტომი VIII
ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ვახანის
ჩემონტაჟი
ახანაძე
თბილისში

ვახანის
დაბეჭედი
„საქართველო“
ვახანის
ბეჭდვის
დაბეჭედი

ვახანის –
ყვანაზა
ბეჭდვის
დაბეჭედი
დაბეჭედი



6



8



12



26



11



19



36



49

სახიჩვი

ახალი ამბები

ჰნევენების რეკონსტრუქცია არასწორად
მიმდინარეობს 6

როგორ გამოიქურდებოდა რაჭვას
ღიღის ვაჭოვხილი 8

ავსტრიაში გლადიატორთა სკოლას
მიაკვლიეს 9

ღიმიტრი ყიფიანის იშვიათი რელიეფია 11

საახითველს ეძლეოდა

ზეპურნი ღვინო — საქართველოს
ღირსების მკვრელობები 12

ახითველი ქალები ეთიოპიაში

რუსულან მღიპანი, ანუ ამბავი
„საწყალი პატარა მღიღარი ქალისა“ 19

ქველი ქალები

ცისე-ქალაქი არტანუჯი 26

ქველი თბილისი

სირაჯები და სირაჯხანა 36

მსოფლიო ახახხოვები

რატომ ავითქდა „კინდებურები“? 42

შეა საუაენები

„ფინლა“ ინკვიზიცია 49



53



55



63



68



78



73



82

სახეწვი

მსოფლიოს ხალხები გულუბრყვილო გადაგები	53	ღაპირისპირება	68
შოთაოღის ისტორია შოკოლადი – ყველაზე ტკბილი მსოფლიოს დამაყრდნობელი	55	სმოჰიჰა გიგა ლორთქიფანიძე: მიწა, კიდე დავლბა, კიდე გარდავიღო, ესე იგი, არ მაქვს სიბერის განცდა.....	73
ბიზნესის ისტორია ტკბილი ცხოვრება – ბიზნესი იტალიურად	63	ქილიტი ჯაჯა კოლეფლოვანიძე: პირველ რიგში შენი საშუალოდ ისტორია უნდა იცოდე, უამისოდ მოგაპაღს ვერ შექმნი.....	78
სახეწვი ისტორია ვერდენის ბრძოლა – მსოფლიოში ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი		‘ისტორიანი- ბავშვებისთვის 500 ფაქტი ისტორიიდან	82-89
		სკანვორდი	90

ხელახლოვის სვები

ჩვენი ისტორია არა მეფეების, არამედ მამაკაცების ისტორიაა. ქალი თითქმის არ ჩანს ჩვენს მატრიანებსა და ისტორიულ წყაროებში. მხოლოდ ერთეულ, გამორჩეულ მანდილოსნებს ზვდათ პატივი, დარჩენილიყვენ ერის მესხიერებაში. ისტორიოგრაფია უკვე დიდი ხანია ცდილობს ახალ მიმართულებას ჩაუყაროს საფუძველი, სადაც უმთავრესი ღერძი იქნება ფემინიზმის შესწავლა. ამ დარგის აღსანიშნავად ახალი ტერმინიც კი შემოიღეს — **Herstory** (ნაცვლად **History**-სა) — ქალების ისტორია. საქართველოში ამ თემას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. ჩვენი ჟურნალიც ეხმანება ფემინიზმის საკითხებს. ნომრის მთავარ თემად კი საქართველოს დედოფლებისა და ცნობილი ქართველი ქალების ისტორია ვაქციეთ.

ამასთანავე, წინამდებარე ნომერში ვიწყებთ ახალ რუბრიკას — „ქალაქების ისტორია“. ეს არ იქნება რომელიმე ძველი ქალაქის შშრალი ქრონიკების აღწერა. შევეცდებით, მკითხველმა რეტროსპექტულად გააღვენოს თვალი როგორც უძველესი ქალაქების ისტორიას, ასევე მის ყოველდღიურ ყოფასა და კულტურას. „ისტორიანი“, საქართველოში პირველად, შემოგთავაზებთ თითოეული ძველი ქალაქის 3D-ში წარმოდგენილ ვარიანტს.

ჩვენს ერთგულ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს ახალი რუბრიკის დაარსება — „ისტორიული ფოტო“. ამის თაობაზე აგვისტოს ნომერშიც ვწერდით. ფოტოს თან უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია: გამოგზავნის ვინაობა, ფოტოს გადაღების თარიღი (თუნდაც საგარეუდო) და მასზე აღბეჭდილი მოვლენისა თუ პირთა შესახებ თქვენს ხელთ არსებული მასალა.

დასასრულ, სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ მომდევნო ნომრიდან ჩვენს მკითხველს შევთავაზებთ ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ ნაწარმოებს, ლევან გოთუას „გმირთა ვარამს“.



მომღაწვე ნომრიდან ჩვენს მკითხველს შევთავაზებთ ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ ნაწარმოებს, ლევან გოთუას „გმირთა ვარამს“.

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოსშივილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოსწორების მიმართულებით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91

ჰნეჰანქის რეკონსტრუქცია არასწორად მიმდინარეობს

ჰნეჰანქი – გუმბათოვანი ქართული ტაძარი იმ ეკლესიებს შორისაა, რომლებიც XX საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძველ ქართულ ეკლესიებსა და მონასტრებთან ერთად, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის, მოგვიანებით კი, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

სომხეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრის შორიახლოს მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებში, რომელთა უმეტესობა განადგურების პირასაა, ჯერ კიდევ შემორჩა ქართული ფრესკები, ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები და საფლავები ძველი ქართული თუ მხედრული წარწერებით, მათ შორის ჰნეჰანქშიც, სადაც ბოლო წლების განმავლობაში სომეხი რესტავრატორები მუშაობდნენ.



შემადგენელი საკურთხეველი



გუმბათის
ლაგვარდანს
ქართული წარწერა
ირგვლივ მიუყვება

რამდენიმე
დეკორატიული
ელემენტი ტაძრის
პერანგისთვის
შეუსაბამო ფერის
ქვევით არის
რესტავრირებული

თუმცა ტაძრის რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის პროცესისადმი არაპროფესიული მიდგომის გამო ან შეგნებულად, სამუშაოები არასწორად წარიმართა, რის გამოც ჰნევანქის არქიტექტურული სტილი და მხატვრული სახე დამახინჯდა. მრავალი დეტალი და ქართული კვალი კი, ფაქტობრივად, საბოლოოდ დაიკარგა.

ჰნევანქი, იგივე „ძელი ჭემშარიტიისა“, ანუ გუმბათიანი ტაძარი, გიორგი ჩუბინაშვილს VII-IX საუკუნეებით აქვს დათარიღებული. XII საუკუნის შუახანებში ძველი ორბელებს განუახლებიათ. ტაძარზე შემორჩენილია სუმბატ დიდი ორბელის საქტიტორო წარწერა, რომელიც 1154 წლით არის დათარიღებული.

იმხანად ორბელები ქვემო ქართლის მიწების ვრცელი ნაწილის მფლობელები იყვნენ და როგორც ჩანს, მათ სააღმშენებლო მოღვაწეობა ამ რეგიონსაც მოიცავდა. ძელი ჭემშარიტი ეკლესია ვახუშტი ბატონიშვილთან იხსენიება. ტაძრის გარშემო მრავლადაა ქართული საფლავები.

საკურთხეველი სომხური არქიტექტურული სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნებით არის შეცვლილი, ის ამაღლებულია. ქართული ჩუქურთმები, რომლითაც იყო ტაძარი სავარაუდოდ მოპირკეთებული, რესტავრაციისას აღარ გამოუყენებიათ, იქვეა მიმოფანტული.

ჰნევანქი



ქართული წარწერა ჰნევანქის კედელზე



როგორ გამოიყურებოდა რამზეს დიდის ვაჟი



ბოლტონის მუმიას ტაივანის მუზეუმში თავს კეროლაინ როუტლეჯი ადგას

ტაივანის მუზეუმში გამოფენილი ინგლისის ქალაქ ბოლტონის მუზეუმის ექსპონატი-ის მთავარი ექსპონატი რამზეს დიდის (რამზეს II) ვაჟიშვილის მუმიია. 20 წლის ახალგაზრდის უსახელო მუშია, რომლის ასაკიც 3 ათას წელს აღემატება, მეცნიერთა აზრით, რამზეს დიდის 110 ვაჟიდან ერთ-ერთისაა. მკვლევრებმა მასზე რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი აღმოაჩინეს, რომელიც მიუთითებს, რომ ის სამეფო ოჯახის წევრი იყო.

ისტორიკოს შიეპ ცე შინგის განცხადებით, „ბალზამირების ტექნიკის ანალიზმა აჩვენა, რომ სხეულის მუმიფიცირებისას ძვირად ღირებული მასალები გამოიყენეს. ისინი ირანიდან და ერაყიდან ჩამოჰქონდათ და მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრების სხეულის დასამუშავებლად გამოიყენებოდა“.

მუმიის შესწავლისთვის კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოყენების შემდეგ, მეცნიერებმა შეძლეს რეკონსტრუქციაც, როგორი სახე ჰქონდა XIX დინასტიის უმაღლესი საზოგადოების წევრს. ტესტმა დაადასტურა ბოლტონის მუმიის მსგავსება XIX დინასტიის სხვა მეფეებთან — მასიური ცხვირი და თვალები, რომელიც ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე არ არის განლაგებული.

ბოლტონის მუზეუმის ეგვიპტოლოგიისა და არქეოლოგიის განყოფილების კურატორის, დოქტორ კეროლაინ როუტლეჯის აზრით, „ჯერ შეუძლებელია გადაჭრით თქმა, რომ ეს ნამდვილად ფარაონის ვაჟია. თუმცა დადგენილია, რომ მისი მუმიფიცირება სამეფო ოჯახის წევრების მსგავსად მოხდა, ასევე დადგენილია მისი მსგავსება ფარაონ რამზეს დიდთან. ყველაფერი თავის ადგილას დნმ-ის ანალიზის შემდეგ დადგება“. ასე რომ, უსახელო მუშია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ბრიტანეთის პროვინციული ქალაქის მუზეუმში ინახებოდა, დიდი ალბათობით, რამზეს დიდის ვაჟისა შეიძლება აღმოჩნდეს.

მომზადებულია „ვერონიუსის“ მასალების მიხედვით





ავსტრიაში გლადიატორთა სკოლას მიაკვლიეს

ავსტრიელმა არქეოლოგებმა რომაელ გლადიატორთა სკოლას მიაკვლიეს. შენობა საკმაოდ კარგად არის შემონახული.

სკოლის ნანგრევებს, რადიოსალოკაციო ტექნოლოგიის დახმარებით, უძველესი ქალაქის ტერიტორიაზე მიაგნეს, რომელიც ავსტრიის ამჟამინდელი დედაქალაქის, ვენის აღმოსავლეთით მდებარეობდა. გლადიატორთა სკოლა აგებული იყო ძველ რომაულ ქალაქ კარნუნტუმში, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

მართალია, გათხრები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ რადიოლოკაციურმა ფოტოგრაფირებამ კომპლექსის ირგვლივ სქელი კედლები გამოავლინა. თავად კომპლექსი კი 40 ვიწრო ოთახისგან შედგებოდა, რომელშიც გლადიატორები ცხოვრობდნენ. აქვე იყო მოწყობილი საუარჯიშო ტერიტორია და დიდი აბანო.

სკანერის მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სკოლის კედელს მიღმა სასაფლაო იყო, სადაც ვარჯიშისას დაღუპულ მებრძოლებს კრძალავდნენ.

„ეს მსოფლიო სენსაციაა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით“, — განაცხადა ქვემო ავსტრიის გუბერნატორმა ერვინ ფროელმა.



მეცნიერებმა კარნუნტუმის გლადიატორთა სკოლის სამგანზომილებიანი მოდელი შექმნეს

რომში არანაკლები

გარაუდობენ რომ რომაულ ქალაქ კარნუნტუმის მოსახლეობა, რომელიც 1700 წლის წინ ყვაოდა, დაახლოებით 50 ათასს შეადგენდა. ის მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო ფორპოსტი გახლდათ, რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებს ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპის პროვინციებთან აკავშირებდა.

სპეციალისტების აზრით, აღმოჩენილი ნანგრევები თავისუფლად გაუწევს კონკურენციას სახელგანთქმულ ლუდუს მაგნუსს, რომელიც ძველ რომში გლადიატორთა უდიდეს სკოლას წარმოადგენდა.

სავარჯიშო ზონის ცენტრში მსხვილი ხის ბოძი იდგა, რომელიც გლადიატორებისთვის დარტყმის ილეთის დასაძუშავებლად საჭირო მაკეტის როლს ასრულებდა.

კიოლნის რომაულ-გერმანული მუზეუმის თანამშრომელთა მიერ შედგენილი გლადიატორთა სკოლის სამგანზომილებიანი გამოსახულება აჩვენებს, რომ ეს იყო გარდამავალი ტიპის შენობა ციხესა და ყაზარმას შორის.

მუზეუმის სპეციალისტთა აზრით, გლადიატორთა უძრაველობა სისხლის სამართლის დამნაშავე, ან სამხედრო ტყვე მონა იყო.

როდის დაიწყება გათხრები, ჯერ უცნობია. მუშავდება გეგმა, რომელიც მკვლევრებს



სამუშალებას მისცემს, გათხრებისას ნანგრევები რაც შეიძლება უკეთ შენარჩუნდეს.

სკოლის ტერიტორია იმდენად დიდი იყო, რომ აქ 1870 წლიდან მიმდინარე გათხრების მიუხედავად, ჯერ ამ მონაკვეთის მხოლოდ 1%-ია შესწავლილი.

მოშაადებულია ბი-ბი-სის-ს მასალების მიხედვით

ლუდუს მაგნუსი, გლადიატორთა უდიდესი სკოლა ძველ რომში



დიმიტრი ყიფიანის იშვიათი ხატი

დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, კოტე ყიფიანის არქივის დამუშავებისას სპეციალისტებმა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის მიერ შესრულებული ნახატი აღმოაჩინეს. როგორც ირკვევა, ფანქრით შესრულებულ გრაფიკულ ნახატზე დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი, ბაბალეა გამოსახულია.

ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დიმიტრი ყიფიანის შესახებ ძირითადად ხელნაწერები და ფოტოდოკუმენტებია შემორჩენილი. კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში კი მისი მხოლოდ ორი პირადი ნივთია დაცული: ვერცხლის თავსახურიანი სამგზავრო ჭიქაა, რომელსაც სპილოს ძვლის ტარი აქვს და გამორჩეული ორნამენტებით არის შემკული: ხისგან დამზადებული ნესესერი, ანუ პირადი ჰიგიენისა და მაკიაჟის საგნებისთვის განკუთვნილი ყუთი, რომელიც შავად არის შეღებილი. ყუთი შიგნიდან დატიხრულია, ხოლო გარედან ზამბახის ფორმის ლითონის სალტეებით არის გაფორმებული.

როგორ მოხვდა ეს ორი ნივთი მუზეუმში, უცნობია. საინვენტარო წიგნში ორივე ექსპონატი 1961 წელს გაუტარებიათ. თუმცა, სპეციალისტთა განმარტებით, იმის თქმა, რომ ორივე ნივთი დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა, დანაშაულებით შეიძლება. ამას ნესესერსა და ჭიქაზე დატანილი მონოგრამებიც ადასტურებს, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: მთავარი დეტალი სპილენძის გვირგვინია, მის ქვემოთ



ხისგან დამზადებული ნესესერი



ვერცხლის თავსახურიანი სამგზავრო ჭიქა



დიმიტრი ყიფიანი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

კი ლითონის ასოებით შესრულებული საზოგადო მოღვაწის ინიციალებია. წარწერა ერთსტრიქონიანია, ცენტრალური ადგილი გვარს უკავია, სახელის აღნიშვნის დროს კი საზედაოდ გამოყვანილია ასომთავრული „დ“, რომლის სფეროშიც ჩაწერილია „დიმიტრი“.

ნინო ჯაფარიძე



თალიზი თმის ბალანსირების კლინიკა

ბაშკევის ქ.27 ტელ.: 214-15-15

www.talizi.ge

ზეპურიანი დედანი

საქართველოს ლიხსების მკუხობელები

დედოფალი — ეს სიტყვა საქართველოში ყოველთვის სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლო გახლდათ. ალბათ ამიტომაც გამოირჩეულად საინტერესოა ქართველ დედოფალთა ისტორიაც. მათი დიდი ნაწილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. ზოგიერთს საარაკო სილამაზე ჰქონდა, ზოგიც მეფეზე ძლიერი და მრისხანე აღმოჩნდა, მაგრამ ყველა მათგანს შვილისა და სამშობლოს ერთგულება აერთიანებდა.



ბორენა დედოფალი, ბაგრატ IV-ის მეუღლე

დედოფლის წოდება მან საქართველოში ალბათ ყველაზე ღირსეულად ატარა. საქართველოს მეფის, გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეუღლემ, ვასპურაკანის სომხური სამეფოს წინამძღოლ სენეკერიმ არწრუნის ქალიშვილმა, დედოფალმა მარიამმა 1031 წელს ბრწყინვალე ელჩობა გასწია კონსტანტინოპოლში — ბიზანტიასა და საქართველოს შორის უაღრესად დამაბული სიტუაცია მშვიდობითა და ერთობით დაასრულა.

მეფისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა ბორენა დედოფალი. მას საქართველოში შორენასაც უწოდებდნენ. ოსთა მეფის ასული ბაგრატ IV-მ პირველი მეუღლის, ელენე დედოფლის ქუთაისში გარდაცვალების შემდეგ შეირ-

თო. ბორენა მეფის სიკედილს მოსწრებია. როცა ბაგრატი სამშვილდეში ავად გამხდარა, მეფის მოსანახულებლად მისულ ამაღლაში ბორენაც მოიხსენიება. საყურადღებოა ერთი გარემოება, ამ შემთხვევაში ისტორიკოსი ოსთა მეფის ასულს მოიხსენიებს როგორც ხელმწიფის ცოლს, დედოფლის ტიტულით კი ბაგრატის დედა მარიამი იწოდება...

მარიამისა და ბაგრატ IV-ის დამოკიდებულება კი მართლაც რომ განსაკუთრებულია. საქართველოს ისტორიაში იშვიათია დედის ესოდენი წვლილი შვილის პოლიტიკურ კარიერაში. ყველა კრიტიკულ მომენტში მარიამი ბაგრატის გვერდითაა. ეს გასაოცარი ენერჯის ქალი ძალ-ღონეს არ იშურებს ბაგრა-

ტის საქმეთა წარმატებისთვის, არ ერიდება შორეულ ვიზიტებს კონსტანტინოპოლში, რთულ მოლაპარაკებებს ანისსა და ანაკოფი-აში. შვილთან ერთად იღვწის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარსამართა-ვად. ბაგრატის დამოკიდებულებაც გამორჩე-ულია დედისადმი. ყველაზე რთული და ორ-ჭოფული საქმეების მოგვარებას მეფე ხომ სწორედ მას ანდობს, ეს მჭიდრო და შეიძლება ითქვას, სათუთი დამოკიდებულება დედა-შვილს შორის განსაკუთრებით ბაგრატის გარ-დაცვალების დღეს გამოვლინდა. სამშვილდის ტბასთან დასნეულებული მეფე ტახტით ქარ-თლში გადმოიყვანეს. აქ დიდებულები და მისი ოჯახის წევრები შეიკრიბნენ. შვილის, გიორ-გის ანდერძით მეფედ გამოცხადების შემდეგ აუადმყოფმა დედას მიმართა: „დედა, ყველაზე მეტად შენ მეცოდები, რამეთუ ყველაფერი ის, რაც შექმენი, ჩემი სიკვდილით წინ წაგიქციე, ვაი რომ, დიდხანს არც შენ იცოცხლებ“.

შეიძლება ითქვას, სახელი მარიაში საქარ-თველოს ისტორიას კარგად დაეხედა, ღვთის-მშობლის წილხვდომილ ქვეყანაში უამრავი მარიათ დედოფალი იყო, თუმცა მათ შორის ყველაზე გამორჩეული და კაშკაშა ბაგრატ IV-ის ქალიშვილი გამოდგა.


დავით აღმაშენებლის მამიდა ბიზანტიის დედოფალ თეოდორას მოთხოვნით ჩაუყვანი-ათ კონსტანტინოპოლში აღსაზრდელად. 72 წლის თეოდორა ვერ მოესწრო მის ხილვას, მის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე აღეს-რულა. საიმპერატორო სასახლეში ქართვე-ლი მეფის ასულის შესვლის დროს იქ მყოფ გიორგი მთაწმიდელს უთქვამს: დღეს ერთი დე-დოფალი განვიდა და მეორე შემოვიდაო. ამით იწინასწარმეტყველა, რომ ქართველი ასული ბიზანტიის დედოფალი გახდებოდა და ასეც მოხდა. ის ცოლად შეერთო ბიზანტიის კეი-სარმა მიხეილ VII დუკა პარაპინაკმა (1071-1078 წწ.).

კორონაციის შემდგომ მას ქალიშვილობის სახელი მართა მარიათ შეუცვალეს. ბიზან-ტიელები სხვა ერების სიყვარულით დიდად არ გამოირჩეოდნენ და ამიტომაც სხვათა ქება ძუნწად გამოსდიოდათ. ამ შემთხვევაში კი პი-რიქით აღმოჩნდა. ქართველი ასულის ხოტ-ბას ბიზანტიელი ისტორიკოსები ნამდვილად არ იშურებენ. ერთ-ერთთან ვკითხულობთ: „დედოფლის ქება რომ არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრი-



ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიაში


საიმპერატორო სასახლეში ქართველი მეფის ასულის შესვლის დროს იქ მყოფ გიორგი მთაწმიდელს უთქვამს: დღეს ერთი დედოფალი განვიდა და მეორე შემოვიდაო. ამით იწინასწარმეტყველა, რომ ქართველი ასული ბიზანტიის დედოფალი გახდებოდა და ასეც მოხდა.



თა და შთამომავლობით ყველა სამეფო გვარს აღემატება, ქებად მხოლოდ ხასიათიც ყოფა. მისი სახის მშვენიერება საოცარია, ხოლო თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი ყოველგვარ სამკაულზე უფრო უპატოვეს იყო, რადგან არაუვის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ გააცნობდა და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, მოკაზმულიყო“.

მიუხედავად ასეთი სათნოებისა და მორჩი-

ლებისა, მარიამ დედოფალი ძლიერი ქალი იყო. მან პირველი ქმარი აიძულა, ბერად აღკვეცილიყო. მხარი დაუჭირა ახალი იმპერატორის, ნიკიფორე ბოტანიატესის ტახტზე ასვლას და მისი ცოლიც გახდა. თუმცა პირველი ქმრისგან ვაჟი ჰყავდა და ცდილობდა, შვილი კონსტანტინე აეყვანა ტახტზე. როგორც კი მიხვდა, რომ მის ჩანაფიქრს საფრთხე ექმნებოდა, კომნენოსების აჯანყებას დაუჭირა მხარი და მეორე მუულეც ჩამოაგდებინა.



ზახულის კარელი

სტანტინე სამეფოდან გააძევეს, ხოლო მარიამი მონაზვნად აღკვეცეს. ქართველი ქალი ბრძოლას მაინც განაგრძობდა. 1094 წელს მან მონაწილეობაც კი მიიღო ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში, მაგრამ უშედეგოდ. 1096 წელს მარიამის ვაჟი კონსტანტინე გარდაიცვალა და დედოფლისთვის პოლიტიკურმა ბრძოლამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

განსაკუთრებულია მართაყოფილი მარიამის როლი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მას პალესტინაში, პილატეს სასახლის ახლოს აღუდგენია კაპათას მონასტერი; წყალობასა და შემწეობას არ აკლებდა ქართული სულიერების ისეთ ცენტრებს, როგორებიცაა ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონის ლავრა, სინას მთა.

ეს იყო დედოფალი, რომელიც მიწაზე მეფობდა, ზეცაში კი ცათა სასუფეველს იმზადებდა. მისით აღფრთოვანებული ანა კომნენოსი წერდა: „მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირისაზე ჰქონდა არცთუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქნილი. ახლა თვალების ბრწყინვალეობას აღარ იკითხავთ? ნუთუ ვინმე შეძლებს ამის აღწერას? წამწამები — გრძელი, თვალები — ცისფერი. მხატვრის ხელი



ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII დუკასა და მარიამ დედოფლის გამოსახულება ზახულის კარელზე

ალექსი კომნენოსმა (1081-1118 წწ.) მარიამ დედოფლისთვის შეთქმულების წინ მიცემული პირობა შეასრულა, მან ქართველ გვირგვინოსანს პატვი და ღირსება შეუნარჩუნა. პირველ პერიოდში ბაგრატიონის ასული იმპერატორთა სასახლეში ცხოვრობდა, თუმცა მარიამის მთავარ მიზანს — შვილის გაიმპერატორებას — ასრულება არ ეწერა. სწორედ ამის გამო დედოფალსა და ახალ გვირგვინოსანს შორის კონფლიქტი წარმოიშვა: კონ-



ბიზანტიის იმპერატორი ნიკეფორე III ბოტანიატესი და მარიამ დედოფალი. XI საუკუნის ბიზანური მინიატიურა

ხშირად გადმოგვცემს იმ ყვაილებს ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დროს, მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი სანდომიანობა აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას. არც ერთ მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვევად აქცევდა ხოლმე იმ კაცებს, ვინც მას შეხედავდაო, ხოლო ვინც შემთხვევით დაინახავდა ქართველ დედოფალს, როცა სეირნობდა ან უცაბედად შეხედებოდა სადმე, საზღვარი არ ჰქონდა მნახველის განცვიფრებას, ის გაქვევებული რჩებოდა. ასეთი სინატიფე ასოთა და შესამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან მართლაც რომ არავის უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ“.


ძალიან ხშირად ქართველი მეფეები ამა თუ იმ სახელმწიფოს შემორიგებისა თუ დამოყვრების მიზნით პოლიტიკური მოსაზრებით ქორწინდებოდნენ. მსგავსი შემთხვევები ჩვენს ისტორიაში უამრავია: დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) მას შემდეგ, რაც ქართული არმიის გაძლიერების მიზნით ქვეყანაში ყოფილთა ჩამოსახლება დაიწყო, იქორწინა ყოფილთა მთავრის, ათრაქა შარადანის ძის ასულ გურანდუხტზე, რომელიც აირჩია „სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“. აქვე აღსანიშნავია ერთი დეტალი: ისტორიკოსი საგანგებოდ უსვამს ხაზს გურანდუხტის სჯულიერებას, ანუ აღმსარებლობას, რასაც, როგორც ჩანს, სოციალურ წარმოშობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ქართველ დედოფალთა გალერეას ღირსეულად ამშვენებს სახელოვანი თამარის დედა ბურდუხანი (ბორდოხანი). საპატარძლო ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს შეურჩია გიორგი III-ს (1156-1184 წწ.) მამამ, დემეტრე I-მა (1089-1156 წწ.). ქორწინება XII საუკუნის 50-იან წლებში მოხდა და მას ჩრდილოეთის მეზობლებთან კავშირის განმტკიცების გამო პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. ისტორიკოსი ბურდუხანისადმი არ იმუშრებს არც ქებასა და არც ეპითეტებს: მშვენიერებით მზეთამზე, ბუნებით კი ყველა დედაზე სიკეთით აღმატებული, საქართველოსთვის მანამდე უხილავი სასძლო.

ძლიერი მონარქის, გიორგი III-ის გვერდით ბურდუხანის ძალაუფლება, ჩანს, ნომინალური იყო. თუმცა მისი მნიშვნელოვა-



გიორგი III-ის მეუღლე ბურდუხან დედოფალი



გიორგი III და თამარ მეფე. ვარძიის ფრესკა

ნი როლი თამარის აღზრდაში გამოიხატებოდა. დედოფალთა დედოფალი ბედნიერი მეუღლე გახლდათ და თამარის „დედობითაცა უმეტესი იყო ყოველთა“. მისგან საქართველოს ერთი ხატი შემორჩა: ღვთისმშობლის სახეზე ოქროს ლუსკუმაშია ჩასმული, ლუსკუმას კი 52 წმინდა ნაწილი ამშვენებს. აქვეა ბურდუხანის მიერ ლექსად დაწერილი ლოცვა.

თამარს დედა გამეფებიდან მალე გარდაეცვალა, შესაძლოა იმავე 1179 წელს. ეს მძიმე ამბავი დაობლებულ შვილს გვევთში შეატყობინეს. გაუსაძლისი სევდა შემოაწვა გვირგვი-

ნოსანს, თმები მოუკვეცავს გლოვის ნიშნად, „უსაშობლოდ ქმნილი“ დედის გამო უამრავი ცრემლი დაუღვრია და უნუგემო ყოფილა ძალიან დიდხანს. მაგრამ ბურდუხანის სახელს დაეიწყება არ ეწერა, რადგან ქართველ ქალთა თანაგარსკვლავედში უკვე მის მიერ აღზრდილი გოგონა ანათებდა. ქალი, რომელმაც დედოფლობის ნაცვლად სამეფო გვირგვინი დაიდგა თავს და თავისი მმართველობით საქართველო ოქროს ხანის სიკაშკაშეს აზიარა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გიორგი კალანდია

რუსუდან მდივანი,

ანუ ამბავი
„საწყალი
პატარა
მდიდარი
ქალისა“...



რუსუდან მდივანი

1920-30-იანი წლების ფეროპულ-ამერიკული საზოგადოებისა და პრესის ფურადღების ცენტრში აღმოჩნდა ხუთი და-ძმა მდივანი. მათი ხშირად მოიხსენიებდნენ პოლოფუდის ვარსკვლავთა და ცნობილ პიროვნებათა: პოლა ნეგრის, მეი მიურეის, ლუიზა ასტორის, დევიდ კონან-დოილის, კოკო შანელის, სალვადორ დალისა და სხვათა გვერდით გახმაურებულ ამბებში, ელიტარულ ქრონიკებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფილმებში. მათ აქებდნენ, ეპითუტებით ამკობდნენ, ხშირად არასახარბიელო კონტექსტშიც იხსენიებდნენ. ერთი ეპითუტი კი ყველას საერთო ჰქონდა: „მექორწინე მდივნები“.

ბოლო ათწლეულში მდივნების შესახებ უამრავი მასალა გაჩნდა ინტერნეტში და ქართულ პერიოდიკაშიც. დიელ კარნევის გახმაურებულ წიგნში „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე“ და რუსი მწერლის, ლევ ლუბიმოვის რომანში „ყარიბობა“ მექორწინე მდივნების შესახებაც მოგვითხრობენ. მათ არტურ გოლდისა და რობერტ ფიცდელის წიგნიც მიემდინა, 1987 წელს მათზე გადაღებული ჩარლზ ჯეროტის მინისერიალი „საწყალი პატარა მდიდარი ქალი“ კი პოპულარობას დღესაც არ კარგავს.

მაგრამ მდივნებზე სრულ წარმოდგენას ვერც ერთი ჩამოთვლილი ნაწარმოები თუ ფილმი ვერ შეგვიქმნის, თუ საფუძვლიანად არ შევისწავლეთ მათი ხასიათის ის თვისებები, რის წყალობითაც წლების განმავლობაში

მდივნების სახელები მსოფლიო პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდიოდა. აუცილებელია ქართული ემიგრანტული პრესისა და საარქივო მასალის გათვალისწინებაც, რადგან უცხოური უმეტესად ტენდენციურია, ინტერნეტის მასალა და თარიღები კი — არასწორი.

მდივნების მამა იყო ცნობილი ქართველი გენერალი ზაქარია (შაქრო) მდივანი. მათი წინაპარი სოლომონ მდივანი ერეკლე II-ის თანამებრძოლი გახლდათ, მაგრამ დიდად ეწინააღმდეგებოდა მეფეს კავკასიაში რუსების შემოსვლასთან დაკავშირებით. მისი პატრიოტიზმი და ერისაღმდეგ თავდადება მექვიდრეობით გადაეცა შთამომავლობას. გენერალმა ზაქარია მდივანმა პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე საკმაოდ გრძელი საბრძოლო გზა განვლო. მისი კარიერა დივიზიის უფროსობიდან დაიწყო და დამოუ-



Флигель-Адъютант
Генеральнаго Штаба Подполковник
Захарий Асланович
Мдивани.
(Июль 1912—апрель 1915 г.).

რუსუდანის მამა, გენერალი ზაქარია (შაქრო) მდივანი



რუსუდანის დედა, ელისაბედ მდივანი

კიდებული საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილის თანამდებობით დასრულდა. საქართველოს მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე თავის მოგონებებში გენერალ მდივანს ახასიათებს, როგორც ძალიან მიმზიდველ და სასიამოვნო ადამიანს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გენერალი მდივანი თავისი ოჯახით, სხვა დევნილებთან ერთად, კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იქ შექმნილ ლტოლვილთა კომისიას ჩაუდგა სათავეში, რომელიც შემდეგ სამთავრობო კომისიას შეუერთდა. 1922 წელს პარიზში გადასახლდა, მრავალ საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ემიგრანტის გაჭირვებულ ყოფას თავი ვერ დააღწია. შაქროსა და მის ცოლს, ნახევრად ქართველ და ნახევრად პოლონელ ელისაბედს ხუთი ულამაზესი შვილი ჰყავდათ — სერგო, დავითი, ნინო, რუსუდანი და ალექსი, რომელთაც კარგი განათლება მისცეს ჯერ თბილისში, პეტერბურგსა და ვარშავაში, სადაც ზაქარია ერთხანს ვარშავის კომენდანტი იყო, ოკუპაციის შემდეგ კი — ვეროპაში.

ახალგაზრდებმა მალე დაიმკვიდრეს ადგილი ჯერ საფრანგეთის, შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში. მშვენიერ ნინო მდივანს პარიზშივე ჰყავდა უამრავი ქართველი და უცხოელი თაყვანისმცემელი. პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმა მას ლექსიც კი მიუძღვნა („გამოთხოვება“). 1925 წელს ნინო ჩარლზ ჰუბერისზე გათხოვდა. 1936 წელს ცნობილ ამერიკელ ადვოკატსა და ავიატორს, სახელგანთქმულ მწერალ ართურ კონან-დოილის ვაჟს, დენის კონან-დოილს გაჰყვა ცოლად და მწერლის თხზულებების გამოცემის უფლება მემკვიდრეობით მიიღო, რამაც იგი ელიტარული ქრონიკის ინტერესის საგნად აქცია. დენისის დაღუპვის შემდეგ, 1955 წელს ის მესამედ გათხოვდა ენტონი ჰერვორდზე.

ამერიკაში გადასახლების შემდეგ კალიფორნიაში ძმებს ჰოლოუდის ვარსკვლავებს შორის მოუხდათ ტრიალი. სამივე გამორჩეული იყო სილამაზით, განათლებით, დახვეწილობითა და არისტოკრატიზმით. თავადის წოდება, ფრანგული გამოთქმით Prince, მათ სამეფო სახლის შთამომავალთა რიგში აყენებდა. როცა მათ მამას, ზაქარიას, ამ ტიტულით მიმართავენ, იცინოდა: „მე ალბათ ერთადერთი ადამიანი ვარ ამქვეყნად, რომელმაც თავადის ტიტული შვილებისგან მიიღო“. წოდება და „ძმები მდივნების ჯადო“ ძალიან



რუდოლფ ვალენტინო და პოლა ნეგრი დავით მდინისა და მეი მიურეის ქორწილში

იზიდავდა დაბალი წარმოშობის მდიდარ ამერიკელებს. სერგის პირველი ცოლი იყო მუნჯი კინოს ვარსკვლავი პოლა ნეგრი, მეორე — საოპერო მომღერალი და ჰოლოუუდის ვარსკვლავი მერი მაკკორმიკი, მესამე — თავისივე ძმის ცოლყოფილი ლუიზა ასტორი. დავითის ცოლი ცნობილი კინოვარსკვლავი მეი მიურეი იყო. 1944 წელს დავითი „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტ ჰენრი სინკლერის ქალიშვილ ვირჯინიაზე დაქორწინდა, კალიფორნიაში ნაუტობის ჭა შეიძინა და ბიზნესში ჩაერთო. პოლოს გუნდის კაპიტანი, შესანიშნავი სპორტსმენი და მომხიბვლელი პიროვნება ალექსი მდინანი კემბრიჯის კოლეჯში სწავლის წლებშივე გახდა პოპულარული. კოლეჯის შემდეგ ალექსი ნიუ-იორკის „სიტი ბანკის“ პარინაზულ ფილიალში მიიწვიეს. ბანკის საქმეებზე 1931 წელს ამერიკაში ჩასულმა მეგობრის, ბეწვეულის მაგნატ ვან ასტორის ოჯახი მოინახულა და მშვენიერ ლუიზა



დენის კონან-ლოილი და ნინო მდინანი



ცნობილი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი ლუიზა ასტორი

ასტორზე დაქორწინდა. იმავე წელს პარიზში საქართველოს ლეგაციის მდივანიც გახდა და 24 წლის ალექსი სამშობლოს სამსახურში ჩაღვა. მალე გამოძევდნა მისი დიპლომატიური ნიჭი, ევროპული განათლება, დიდი პატრიოტიზმი და ქველმოქმედება. ინახავდა მოხუც მამას, ახლობლებს, ქართულ ორგანიზაციებს, საქართველოსთან დაკავშირებით ხვდებოდა დეპუტატებს, პოლიტიკოსებს, დელეგატებს თავისი ხარჯით აგზავნიდა კონგრესებზე, მათ ჩაცმულობაზეც კი ზრუნავდა. თუ საჭირო იყო — თვითონაც მიდიოდა.

1933 წელს ალექსი მეორედ დაქორწინდა უმდიდრეს ქალზე, „უნივერსიტეტის მეფის“, ვულვორთის იმპერიის მემკვიდრე ბარბარა პატენზე. ქორწინების მერე ალექსი ცოლის ფულსაც ხარჯავდა ქველმოქმედებაში. ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, საფრანგეთსა და ბელგიაში 15 ხელმოკლე ქართველ სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია. იაპონელთა ოკუპირებული პარბინიდან ლტოლვილ ქართველებს შანჰაიში ექვსსართულიანი სახლი უყიდა და სტიპენდიები იქაც დააწესა. ფუფუნებაში გაზრდილი ლუიზა ასტორისა და ბარბარა პა-

ტენისთვის ამგვარი ქველმოქმედება გაუგებარი იყო. ალექსიმ და მისმა ოჯახმა კი თავად განიცადა ემიგრანტული გაჭირვება და კარგად იცოდნენ თანადგომის ფასი. სხვა დამძებიც იჩენდნენ ხელგაშლილობას. როგორც ამბობდნენ, 1929-33 წლების დიდი დეპრესიის შამს გაჭირვებული ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი პარიზში მდივების ხარჯზე ცხოვრობდა.

და-ძმებს შორის მხოლოდ რუსუდან (რუსი) მდივანი დაქორწინდა ერთხელ. ის ნიჭიერი მოქანდაკე იყო და პარიზში ჩასულ ქართველ მხატვრებთან — დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანსა და ქეთევან მაღალაშვილთან მეგობრობდა. ფოტოც კი აქვს მათთან ერთად გადაღებული. მის შემოქმედებაზე შეგვიძლია მის მიერ პარიზში შექმნილი ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტი ვიმსჯელოთ. 25 წლის რუსუდანი განთქმული ესპანელი მხატვარ-მონუმენტალისტის, 50 წლის ზოზე-მარია სერტის მოწაფე გახდა, რომელიც პიკასოს გამოჩენამდე პარიზში პირველ მხატვრად ითვლებოდა. სერტის ცოლი ნიჭიერი პიანისტი, დიდი ალლოს მქონე მეცენატი, რენუარისა და ტულუზ-ლოტრეკის მოდელი, მაღარმეს მუზა, პრუსტისა და კოქტოს გმირების პროტოტიპი, მიზია გოდებსკა, მიჩვეული იყო ქალების ვიზიტებს ქმრის სახელოსნოში. ამჯერად კი საფრთხე იგრძნო და მტკიცე გადაწყვეტილებით გაეშურა ახალგაზრდა მეტოქესთან შესახვედრად, მაგრამ ეს მაღალი, ქერა გოგონა ნაცრისფერ-მოწვეწვე თვალებითა და ანგელოზური ღიმილით სხვებს არ ჰგავდა. ის ისეთი უშუალო იყო, ისეთ უმწიკლოებასა და სიწმინდეს აფრქვევდა, რომ მიზიამ მასში მტერი ვერ დაინახა. როგორც ჩანს, რუსუ-



ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, რუსუდან მდივანი (უკან). პარიზი



ზოზე-მარია სერტი (მარჯვენა) და ცნობილი მექსიკელი მხატვარი დიეგო რივერა

ზოზე-მარია სერტის ნამუშევარი „ამერიკული პროგრესი“, ნიუ-იორკი

დანსაც ჰქონდა ძმების მსგავსი მომხიბვლელობა და ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი უნარი, ანუ ე.წ. „ძმები მდივნების ჯადო“ გააჩნდა. მან მეტოქე მალე უფროს მეგობრად გაიხადა. მიზიამ კი ახალგაზრდა ხელოვანი თავისი სამეგობროს წვერად აქცია. არი გიდელი წიგნში „კოკო შანელი“ მიიჩნევს, რომ 53 წლის მიზიას, რომელსაც სამ ქმართან შვილი არ ჰყოლია, რუსუდანისადმი დედობრივი გრძნობა გაუჩნდა. ალბათ, მნიშვნელოვანი როლი საერთო პოლონურმა ძირებმაც ითამაშა. სერტიც და მიზიაც აღმერთებდნენ რუსის. ორივეს თავისებურად უყვარდა გოგონა. სერტი გაეყარა მიზიას და რუსუდანზე დაქორწინდა. ქორწილი 1928 წლის 18 აგვისტოს ჰააგაში გადაიხადეს. თუმცა ამ ქორწინების შემდგომაც მიზია სერტის ახლო მეგობრად და მისი შემოქმედების ყველაზე ზუსტ შემფასებლად დარჩა. უცნაურია, მაგრამ ქმრისგან მიტოვებულმაც კი შეინარჩუნა მეტოქის სიყვარული — ეზმარებოდა საქორწინო სამზადისში, რუსუდანისთვის კაბა კოკო შანელს აარჩევინა, ქმარს კი





ავტოავარია, რომელშიც დაიღუპნენ თავადი ალექსი მდივანი და ბარონი ტისენი



მარცხნიდან მარჯვნივ ნინო და რუსუდან მდივნები

ნიშნობისთვის ლალისთვლიანი ბეჭედი და ლალისავე გულსაკიდი აყიდვინა. ამ სასიყვარულო სამკუთხედმა არაჯანსაღი მითქმამოთქმაც გამოიწვია. ის დაედო საფუძვლად ჟან კოკტოს პიესას „წმინდა ურჩხულები“.

ესპანეთში, პალამოსში რუსუდანს ქმარმა სასახლე აუშენა, სადაც თავს იყრიდა პარიზული ბომონდი. ზაფხულობით სახელგანთქმული ძმები და პოლოეუდის ვარსკვლავებიც ჩადიდნენ. საზოგადოების სული და გული, ახალგაზრდა დიასახლისი საერთო სიყვარულით სარგებლობდა. საღვადო დღი თავის უახლოეს მეგობრებად ასახელებდა „პარიზის ყველაზე ფანტასტიკურ ქალებს“ ბეტინა ბერჟერს, კოკო შანელსა და რუსი მდივანს, რომელთანაც ზმირად მიდიოდა სტუმრად მეუღლესთან, გალასთან ერთად. 1935 წელს „გალა და მე იქ ერთი კვირის გატარებას ვაპირებდით. ზაფხულის მიწურულს იქ მთელი პარიზული ჯგუფი გაეშურა. ჩვენ იქ რამდენიმე დღე გავატარეთ, რომლებმაც მხოლოდ ნოსტალგიური მოგონება დაგვიტოვეს ბრწყინვალე, შეუდარებელ ომის შემდგომი პერიოდისა. მოჯადოება მონანავე ესპანური ცეკვების მუსიკითა და კოსტა-ბრავას მთელი საზღვაო მშვენიერებით, სამწუხაროდ, შეწყვიტა პალამოსიდან ფიგეიროსის გზაზე მომხდარმა ავტოავარიამ, რომელშიც დაიღუპნენ თავადი ალექსი მდივანი და ბარონი ტისენი“... — წერდა სახელგანთქმული მხატვარი თავის მოგონებებში.

ალექსის დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის დასაწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ, ფილმის გადაღებისას, ფლორიდაში ცხენიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა სერგი. „რუსი მკურნალი ვერ გადაიტანა მწუხარება და ჩაიფერფლა ოთხი წლის შემდეგ... რომ დაფამტკიცო რამდენად მიყვარდა, საკმარისია უბრალოდ ვთქვა, რომ რუსი წყლის ორი წვეთით ჰგავდა „ლა ჰაიეს“ მუხეუმში დაცულ ვერმეერის ნორჩი ქალიშვილის პორტრეტს“, — შენიშნავდა საღვადო დღი.

ძმების სიკვდილით შეძრული, ჭლექით დაავადებული რუსუდან მიზიამ და კოკო შანელმა სამკურნალოდ შვეიცარიაში წაიყვანეს, მაგრამ ვედარ უშველეს — 1938 წელს გარდაიცვალა 32 წლისა. მიზიამ გულით დაიტირა რუსუდანი, ხოლო მედალიონი მისი გამოსახულებით სასიკვდილო სარეცელზეც კი არ მოუხსნია...

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო
 ქარუსელთან“ ერთად,
 დიდი ქართველების
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



30 სექტემბრიდან -
 7 ოქტომბრამდე

მაღე გამოვა:

- 23 პეტრე მელიქიშვილი
- 24 გიორგი ბრწყინვალე
- 25 ნოდარ დუმბაძე
- 26 ნიკო ნიკოლაძე
- 27 იაკობ გოგებაშვილი
- 28 მიხეილ მესხი
- 29 ექვთიმე თაყაიშვილი

და სხვა დიდი
 ქართველები



ქეკელე II

შემდეგ

წიგნის ფასი 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)



**გამოქანილი
 აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის



ციხე-ქალაქი

ა რ ტ ა ნ უ ჯ ი

ციხე-ქალაქი არტანუჯი ძველი საქართველოს პოლიტიკურ ცენტრებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. არტანუჯი ორ ნაწილად იყოფა — საკუთრივ ქალაქად და აკროპოლისად. აკროპოლისი, ანუ ცენტრალური გამაგრებული ციხე დასავლეთიდან დაჰყურებს ქალაქს. ციხესთან მისასვლელი ჩრდილოეთიდანაა. არტანუჯს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. უშუალოდ დედაციხე ანუ აკროპოლისი კი სივრცით 205 მეტრამდეა გადაჭიმული. დედაციხეში განლაგებული იყო სამეფო რეზიდენცია, წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია. წერილობითი წყაროების მიხედვით, აშოტ კურაპალატი სწორედ ამ ტაძარშია დაკრძალული.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, არტანუჯის ციხის აგება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ჯუანშერის გადმოცემით, ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლიდან დაბრუნებულ ვახტანგს კლარჯეთში ერთი სოფელი უხილავს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი არტანუჯად უხმობდნენ. მეფეს თვალში მოხვედრია სოფლის სტრატეგიული მდებარეობა და თავისი ძუძუმტის —

არტავაზისთვის ამ ადგილებში ციხის აგება უბრძანებია. ვახტანგის გადაწყვეტილებით, მომავალი ციხე საიმედო პლაცდარში უნდა ყოფილიყო სამეფო კარისთვის. „უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, — უთქვამს ვახტანგს თავისი ძუძუმტისთვის, — საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“. არტავაზმაც მალე შეასრულა ვახტანგის ბრძანება და „აღაშენა ციხე არტანუჯისა“. ამიერიდან არტანუჯი ერის-

თავთა რეზიდენცია და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდა.

არტანუჯის დაწინაურებას, ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მონაცემების გარდა, ხელი შეუწყო ასევე მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. იგი სამხრეთ საქართველოს რამდენიმე მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობდა. არტანუჯთან თავს იყრიდა როგორც შიდა რეგიონული, ისე ტრანსსახელმწიფოებრივი გზები. შავი ზღვის ნავსადგურებიდან მომავალი გზა არტანუჯის გავლით არტაანში გადადიოდა, აქედან კი ერთი განშტოება ყარსით (ქართ. კარი) ანისისკენ მიემართებოდა, მეორე კი — მტკვრის ხეობით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის შიდა რაიონებისკენ. არტანუჯიდან გზები მიდიოდა ასევე ტაოსა და შავშეთისკენ. შესაძლებელია არტანუჯის ადგილას თოვდაცვითი ნაგებობა ვახტანგ გორგასლამდეც არსებულებოდა, ვინაიდან ასეთი სტრატეგიული პუნქტი შეუძლებელია V საუკუნის II ნახევრამდე შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სამწუხაროდ, ამ ადგილების საფუძვლიანი არქეოლოგიური გათხრები დღემდე არ წარმოებულა და სათანადო მასალის არქონის გამო, ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდურად რჩება.

VIII საუკუნის 30-იან წლებში არტანუჯის ციხე სასტიკად ააოხრა მურვან ყრუმ. არაბებმა მთლიანად მოსპეს და დააქციეს იგი. ამის შემდეგ არტანუჯის სანახები მრავალი ათწლეულის განმავლობაში სრულიად მიტოვებული და გავერანებული იყო. როგორც ძველ მატთანებშია აღნიშნული, არტანუჯის ციხე ძირფესვიანად დანგრეულა, ხოლო მისი მიდამოები ტყით დაფარულა.



ვახტანგ გორგასალი (სვეტიცხოვლის დღეს დაკარგული XIX საუკუნის ფრესკიდან)

არტანუჯის ციხეს იმდენად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, რომ მას ასე უკვალოდ გაქრობა არ ეწერა. IX საუკუნის დასაწყისიდან იწყება არტანუჯის აღორძინება და იგი სამხრეთ საქართველოს ცენტრად მოგვევლინა. ეს პროცესი დაკავშირებულია აშოტ I კურაპალატის ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებასთან, სადაც მან ახალ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს ჩაუყარა საფუძველი.

IX-X საუკუნეები ქალაქი არტანუჯისთვის აღმავლობის ხანაა. მან დაიბრუნა ძველი დიდება და რეგიონში ძლიერ ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა. ამას ბევრმა ფაქტორმა



*ბარელიეფი
აშოტ
კურაპალატის
გამოსახულებით.
ოპიზა, IX საუკუნე*



მაცხოვარი სიმბოლოურად ადვამს გვირგვინს კონსტანტინე VII პორფიროგენეტს. სპილოს ძეგლი, დაახლ. 945 წ.

შეუწყო ხელი: სამინაო თუ საგარეო პოლიტიკურმა პროცესებმა, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურმა აღმავლობამ, გეოგრაფიულმა ფაქტორმა და სხვ. X საუკუნის შუა ხანებისთვის არტანუჯი იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, რომ მის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (913-959) თავის თხზულებაში *De Administrando imperio*. იგი აღნიშნავს: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა. აქვს დიდი რაბათიც და დაბაქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. ადრანუჯის ციხის მიწა-წყალი, ე.ი. არზენი, დიღია და ნა-

ყოფიერი და წარმოდგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“.

არტანუჯის ასეთი მნიშვნელობის გამო იგი თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. X საუკუნის I ნახევარში გურგენ ერისთავთერისთავმა (გარდაიცვალა 941 წელს) აშოტ პატრიკოს, კისკასს (გარდაიცვალა 939), ფაქტობრივად, არტანუჯის ციხე წართვა, იურიდიულად კი იგი ყველის ციხეში გაუცვალა. გურგენ ერისთავთერისთავისა და მაგისტროსის გარდაცვალების შემდეგ არტანუჯი სუმბატ არტანუჯელის (გარდაიცვალა 889) შვილიშვილს, ერისთავთერისთავ სუმბატს (გარდაიცვალა 988) ერგო. ამიერიდან, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ციხე-ქალაქი არტანუჯი ბაგრატიონთა ამ შტოს ხელშია. ქართულ წყაროებში სუმბატი ერისთავთერისთავის შთამომავლები „კლარჯ ხელმწიფეებად“ იხსენიებიან. ფაქტობრივად, ისინი კლარჯეთის დამოუკიდებელ სამთავროს განაგებდნენ.

X-XI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. სწორედ ამ დროს ჩაეყარა ბალავარი სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ საქართველოს ერთიანობას. ბაგრატ III (975/978-1014 წწ.) მოთავეობით დაწვებულმა საქართველოს გაერთიანების პროცესმა ორი ათასწლეულის მიჯნაზე ამიერკავკასიაში ახალ, პოლიტიკურად შზარდ გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. არტანუჯი და საერთოდ, კლარჯეთი დასაწყისში მთელი ამ მოვლენების მიღმა აღმოჩნდა, ვინაიდან ამ რეგიონში „კლარჯი ხელმწიფენი“ ბატონობდნენ. XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარის წინაშე უკვე მწვავედ დადგა ამ დამოუკიდებელი სამთავროს გაუქმების აუცილებლობის საკითხი. ბაგრატ III-მ მიიღო საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება: დაახლოებით 1011 წელს მეფემ ფანასკერტის ციხეში სტუმრად მიიწვია თავისი მამიდაშვილები სუმბატ არტანუჯელი და მისი ძმა გურგენი. დარბაზობისას „აფხაზთა და ქართველთა“ მეფემ „კლარჯნი ხელმწიფენი“ შეიპყრო და თხოვრის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალნენ კიდევ. ბაგრატ III-მ სულ მალე აიღო არტანუჯის ციხე და მთელ კლარჯეთს დაეუფლა. ბიზანტიაში გაქცევა მოახერხეს მხოლოდ ბაგრატ სუმბატის ძემ და დემეტრე გურგენის ძემ. „კლარჯ ხელმწიფეთა“ ოჯახის დანარჩენი წევრები სამეფო კარმა ამოწვივია. კლარჯე-

თი და არტანუჯის ციხე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ბაგრატ III-ის ინიციატივით დაარსდა არტანუჯის საერისთავო, რომლის პირველი ერისთავი იოვანე აბუსერიძე გახდა.

XI საუკუნის I ნახევარში არტანუჯის საერისთავოს განაგებდა აბუსერიძეთა გავლენიანი საგვარეულო. 1046 წელს კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა ხელთ იგდო ციხე-ქალაქი არტანუჯი. თითქმის ათ წელიწადს არტანუჯი ბაღვაშთა ხელში იმყოფებოდა. 1055 წლისთვის, კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტის დაპატიმრებისა და საქართველოდან გაქცევის შემდეგ, მეფემ სასწრაფოდ დაიბრუნა არტანუჯის ციხე და იგი სამეფო ქალაქად აქცია.

XII საუკუნის 10-იან წლებში ტაოდან და კლარჯეთიდან თურქ-სელჩუკთა განდევნის

შემდეგ ქალაქმა არტანუჯმა კვლავ დაიბრუნა ძველი დიდება. იგი უწინდებურად სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

XIII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა, თავისთავად, არტანუჯელთა მშვიდობიანი ცხოვრებაც დაარღვია. ამავე საუკუნის მიწურულიდან არტანუჯი ჯაყელთა მფლობელობაშია. XIV საუკუნეში ვითარება იცვლება და არტანუჯი და ყოფილი არტანუჯის საერისთავოს რამდენიმე სოფელი მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილებაში გადავიდა.

XV საუკუნის შუა ხანებში სამცხე-საათაბაგოს მმართველ ყვარყვარე II ათაბაგის დროს დაიწყო ქართული ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ათაბაგმა არტანუჯი მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარე-

არტანუჯის აკროპოლისის გალავანი, რომელშიც ჩანს სხვადასხვა საუკუნის სამშენებლო ფენები





არტანუჯის ციხე-ქალაქი.
რეკონსტრუქცია





ისქანდერ-ფაშას მიერ 1551 წელს აშენებული მეჩეთი

ბიდან გამოიყვანა და თავად დაიქვემდებარა.

XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად უკვე რეალური ფაქტი იყო. სამცხე-საათაბაგო ცალკე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ელემენტად ჩამოყალიბდა. არტანუჯი ჯაყელთა ერთ-ერთ ციხე-ქალაქად იქცა. XV საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგოში უკვე პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯაყელთა საგვარეულოს წევრები. ამით ისარგებლეს თურქ-ოსმალებმა და სამხრეთ საქართველოს დაპყრობა დაიწყეს. ერზრუმის მმართველმა ისქანდერ-ფაშამ 1551 წელს კლარჯეთისთვის ბრძოლა წამოიწყო და გაზაფხულზე არტანუჯის ციხეს შემოეჯარა. 22-დღიანი (სხვა მონაცემებით, 33-დღიანი) ალყის შემდეგ თურქებმა 1551 წლის 13 ივნისს (სხვა მონაცემებით, 13 მაისს) არტანუჯი აიღეს. ამიერიდან კლარჯეთი სამ საუკუნეზე მეტხანს თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. არტანუჯისა და საერთოდ, აჭარის, შავშეთ-კლარჯეთის, კოლა-არტაანის, ტაოს ჩრდილოეთი ნაწილის (ოლთისის უბნის) რუსეთის იმპერიის მიერ შემოერთება 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს მოხდა. ეს ფაქტი სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენად.

რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში არტანუჯი პატარა ქალაქი იყო.

1920 წლის 7 ივლისს ბათუმში ქართული საჯარისო ნაწილები შევიდა და მთლიანად ე.წ. „ბათუმის ოლქი“ დაიკავა. ციხე-ქალაქი არტანუჯი ზუსტად 368 წლის მონობის შემდეგ ისევ დედასამშობლოს დაუბრუნდა, ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა ქართული ჯარის შემოსვლას. ბორჩხაში, ართვინში, არტანუჯში მოსახლეობა პურმარილით ეგებებოდა თანამომეებს. რვა თვეს ტაო-კლარჯეთის დედაქალაქი ისევ ქართულ ქალაქს, მცირე ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა.

1921 წლის თებერვალში საქართველოს სამხრეთიდან თურქეთი, ხოლო დასავლეთიდან, ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთიდან რუსეთი შემოესია. 23 თებერვალს, ორი დღით ადრე, ვიდრე წითელი არმია თბილისს დაიკავებდა, თურქებმა არტაანი, არტანუჯი და ართვინი დაიკავეს. დაიწყო მოლაპარაკება თურქებისთვის ბათუმის გადაცემაზე. ამკარა იყო, რომ თურქეთი და რუსეთი ერთობლივად მოქმედებდნენ. საბოლოოდ, სამხრეთ საქართველოს ბედიც ამ ორმა სახელმწიფომ განსაზღვრა. მოსკოვში, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებისას

გადაწყდა, რომ თურქეთი დაიკავებდა არტანს, ართვინსა და ყარსს, ხოლო რუსეთს „წილად ხვდა“ აჭარა ქალაქ ბათუმითურთ.

1921 წელს საქართველომ კიდევ ერთი შანსი დაკარგა ძირძველი ქართული მიწების შემოქცევისა.

ციხე-ქალაქი არტანუჯი კვლავ თურქეთის შემადგენლობაში დარჩა.

არტანუჯის დაკაეებისთანავე თურქებმა მას სახელი შეუცვალეს და „ადაკალე“ დაარქვეს. XX საუკუნეში არტანუჯის სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა. 1921-1945 წლებს შორის ართვინის ვილაიეთში შედიოდა არტანუჯის ნაპიე. 1945 წლის 1-ელ აგვისტოს თურქეთის მთავრობამ რეგიონების ილჩეებად ანუ რაიონებად დაყოფა შემოიღო. შეიქმნა არტანუჯის ილჩე, რომლის პირველი ცენტრი მცირე ხნით იყო სოფელი თუთუნლუ. 1948 წლიდან რაიონის ადმინისტრაცია ადაკალეში ანუ ქალაქის ისტორიულ ნაწილში ბინავდება. XX საუკუ-

ნის შუა ხანებში თურქეთის ქალაქებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი. ეს ტენდენცია არტანუჯსაც შეეხო, სადაც ძველი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე არტანუჯისწყლის ნაპირზე თანამედროვე ქალაქი წამოიშობა. 1952 წლიდან რაიონული ცენტრი სწორედ ამ ნაწილში გადაიტანეს, დღემდე სადაც მდებარეობს.

ციხე-ქალაქ არტანუჯში დრო-ჟამმა უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლი თუ ისტორიული ნივთი გაანადგურა. XIX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო არტანუჯში ძველი ქართული ხელნაწერების პოვნა. 1833 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ანდერძ-მინაწერით ვიგებთ, რომ ეს წიგნი არტანუჯიდან წამოუღია გიორგი თუმანიშვილს. 1886 წელს ციხესთან XVI საუკუნის ზარი იპოვეს ასომთავრული წარწერით. ამის თაობაზე ქართული პრესა წერდა, ეს ზარი მაშინდელი ქართული საეკლესიო მუზეუმისთვის გადაუ-

არტანუჯის აკროპოლისი. აშოტ კურაპალატის დროინდელი სასახლის ნაშთები



ციათ. დღეისთვის არტანუჯის სიძველეებიდან ძირითადად გამოსაყოფია აკროპოლისი, იქ არსებული ნაგებობებით – სასახლის ნაშთებით, წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიით. უშუალოდ ქალაქში კი შემონახულია ქალაქის მთავარი ტაძრის ნანგრევები, გალაგნის ნაშთები, XVI საუკუნის მეჩეთი და XVIII-XIX საუკუნეების ნაგებობები. როგორც ზემოთ ითქვა, აკროპოლისი დასავლეთიდან დაპყურებს ქალაქს. ციხესთან მისასვლელი ჩრდილოეთის მხრიდანაა. არტანუჯის დედაციხე საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან-სამხრეთით 205 მეტრამდე მერყეობს. სიგანე აკროპოლისის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა აქვს. შუა ნაწილში ერთ ადგილას იგი 53 მეტრამდეც აღწევს, ჩრდილოეთ სექტორში 30 მეტრამდე, სამხრეთში კი, სასახლის ნაშთების მიდამოებში, 20-25 მეტრამდე. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრაობისას დაახლოებით 122 მეტრში იწყება სამეფო რეზიდენციის ნაშთები. ციხის დანარჩენი ნაწილისგან მეფის სასახლე, როგორც ჩანს, გალაგნით გამოიყოფოდა. ამ კედლის დარჩენილი ნაწილიდან დაახლოებით 27 მეტრში სამეფო სასახლის ნაშთებია შემორჩენილი. ნაგებობას შესასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან აქვს. მისი ზომებია 10X9 მ. არტანუჯის ციხის ხილვისთანავე შეუძლებელია არ გაიფიქრო, როგორ და რა ხერხით შეიძლებოდა ამ ზვიადი ციხადელის აღება? მართლაც რომ არტანუჯი ურთულეს საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს. მაგრამ ყველა ციხეს აქვს თავისი აქილევსის ქუსლი. არტანუჯისთვის ეს იყო უწყლობა. მეციხოვნეები იძულებული იყვნენ, მასიურ კლდეებში გვირაბები გაეყვანათ, რათა წყალზე ჩასასვლელი ჰქონოდათ. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ მთებიდან ციხეში გამოყვანილი ყოფილა წყალი, რომლის მიღებიც დროთა განმავლობაში დაზიანებულა და აკროპოლისზე წყალიც დაშშრალა.

ქალაქ არტანუჯში, ქვედა ციხეში, როგორც ითქვა, აღმართული იყო მთავარი გუმბათოვანი ტაძარი, რომლის მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთი კედლის ნაწილია შემორჩენილი. ეს ეკლესია IX-X საუკუნეებში უნდა იყოს ნაგები. იგი საგანგებოდ მოსწორებულ კლდოვან კონცხზე აუშენებიათ, რომელიც მდინარის ხეობას გადაჰყურებს.

ქალაქს საერთო „მაცივარიც“ გააჩნდა. არტანუჯისწყლის ხეობაში არსებულ გამოქვაბუ-



ლებს მოსახლეობა საყინულედ იყენებდა. ამ ბუნებრივი მაცივრებიდან ერთი ნაწილი შუა საუკუნეებში სამეფო კარის, ან ციხე-ქალაქ არტანუჯის ხელისუფალთა კუთვნილება უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ ინახავდა ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა სახის პროდუქტს და



არტანუჯის XIX საუკუნის მეორე ნახევრის მინიატიურა

რაც მთავარია, მეფისა თუ დიდებულის სუფრისთვის საჭირო ყინულის მარაგს.

ამჟამად არტანუჯის ადმინისტრაცია ყველანაირად ცდილობს ქალაქის ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრად გადაქცევას. ქალაქის მესვეურთ ახალი რესტორნებისა და სასტუმროების ქსე-

ლის შექმნის სურვილი აქვთ. იმედია, თურქეთის ხელისუფლება იზრუნებს არტანუჯში არა მარტო ტურიზმის განვითარებაზე, არამედ, იმავდროულად, ქალაქის წარსულის კვლევასაც ხელს შეუწყობს.

ჯაჯა სამუშია

სირაჯები და სირაჯხანა

ქველი თბილისის ისტორიიდან

თუ ჩაგივლია სირაჯხანისკენ,
დაჰკვირვებინხარ ამ ქუჩებს კარგად,
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

იოსებ გრიშაშვილი



სირაჯები.
დიმიტრი ერმაკოვის ფოტო

საქართველოს მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მეტად თავისებურია. შეიძლება ითქვას, რომ მევენახეობა-მეღვინეობის არც ერთ ქვეყანას არ განუცდია ამ კულტურის იმდენი აღმავლობა და დაცემა, რამდენიც საქართველოს. არც ერთი ქვეყანა არ იცავდა სხვადასხვა დამპყრობთაგან მევენახეობა-მეღვინეობას ისე თავგამოდებით, როგორც საქართველო.

საქართველოში არსებობდა ღვინისა და არყის სავაჭრო ადგილები და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულთა საკმაოდ შეძლებული გაერთიანებები. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ძველ საქართველოში, ღვინით მოვაჭრეს ხამარი ეწოდებოდა. გვიან შუა საუკუნეების საქართველოზე მუსლიმური აღმოსავლეთის ძლიერი გავლენის გამო კი ღვინით მოვაჭრეს აღმოსავლური სახელი – სირაჯი დაერქვა, ხოლო ადგილს, სადაც ღვინითა და არყით ვაჭრობდნენ, სირაჯხანას ეძახდნენ.

სირაჯი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და მეღვინეს ნიშნავს, სირაჯხანა კი – ღვინის სახლს.

სირაჯხანა ან როგორც მას ქალაქში ეძახდნენ, სირაჩხანა, ძველი თბილისის ერთ-ერთი მთავარ კოლორიტულ ადგილს წარმოადგენდა. სირაჯი კი არა მხოლოდ ვაჭარი, არამედ იმავე დროს მევახშე, მიმწოდებელი (მაგალითად, ვაზის შესაწამლი დანადგარებისა თუ პრეპარატების), მეღვინე, მიკიტანი, მეტიკე და შუამავალიც იყო, ანუ მრავალ ფუნქციას ასრულებდა.

პირველი სირაჯხანა ძველ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, კალას უბანში, თათრის მოედნის სიახლოვეს მდებარეობდა, ახლანდელი სიონის, შარდენისა და ლესელიძის ქუჩების შესაყართან მომცრო აღმართზე. ერთხელ ერეკლე მეფის შვილიშვილი იოანე ბატონიშვილი და მისი თანმხლები ბერი მისულან სირაჯხანასთან და უნახავთ: „დიდ-

რონი რუმბებით და ტიკებით ღვინოები და არაყი, იკითხა, ამდენი კოლოტი რათ უნდათო? უთხრეს: ესე სულ ღვინოებით არის საესე... ჰგავს, რომ ღვინო ვისაც არ მოზდის, მისთვის მოუგროვებიათ ეს ღვინოებითო...“ დღეს აქ სირაჯხანა, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს. იგი ყოფილი შუა ბაზრის (დღევანდელი ლესელიძის ქუჩის) რეკონსტრუქციისას გაქრა. ამ ადგილზე, სიონისა და ლესელიძის ქუჩების შესაყართან, ახლა სკვერია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქის გაზრდა-გაფართოებამ საჭირო გახადა ღვინით ვაჭრობისთვის ახალი, უფრო დიდი ადგილის გამონახვა. ასეთ ადგილად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პატარა ციცაბო აღმართი იქცა. იგი ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი მოხვეული აღმართია, რომელიც ძველი მეტეხის ხიდან იწყებოდა და ავლაბრის გალაჟანის ქვემოთ, კლდის ძირს მიუყვებოდა. ძველს პატარა სირაჯხანას ეძახდნენ, ახალს კი – დიდს. დიდი სირაჯხანა საესე იყო ღვინითა და არყით მოვაჭრეთა რიგებით და ძველ თბილისში ღვინის უმთავრეს ბაზარს წარმოადგენდა. ამ ქუჩას დღემდე ღვინის აღმართს ეძახიან. მისი განაშენიანება ძირითადად XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო, აღმართის დასაწყისში მდებარეობდა დავით სარაჯიშვილის ღვინისა და სპირტის მიწისქვეშა სარდაფები.

თბილისელი ხელოსნების გაერთიანებას ამქარი ერქვა. ჰამქარი სპარსულად თანამო-

ღვინის აღმართი, ხელი მეტეხის ციხიდან





ღუქნებსა და სარდაფებში რუმბების დასალაგებულ ადვილს ფიშტახტი ერქვა

საქმეობას ნიშნავს. ქალაქში ერთი ხელობის ხალხი ერთიანდებოდა და ამქარს ქმნიდა, რომელსაც წესდება, დროშა და გერბი ჰქონდა. ყველა ამქარს უსტაბაში, ანუ ხელომძღვანელი ჰყავდა. სირაჯების უსტაბაშს სირაჯბაში ერქვა, რომლის ხელდასხმითაც ხდებოდა ახალი სირაჯის კურთხევა. როცა ქალაქიდან წასული მოურავი უკან ბრუნდებოდა, წესად ჰქონდათ: „სირაჯბაში სირაჯებს უნდა მოუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო მიართვანო“. სირაჯების ამქარი 1867 წლიდან ფორმალურად დაიშალა, თუმც კი შემდგომაც აკონტროლებდა დაქსაქსულ წვრილ მეწარმეთა საქმიანობას. როგორც ს. ტიმოფეევის ცნობით ირკვევა, XIX საუკუნეში სირაჯთა კორპორაცია კვლავაც არსებობდა. მეტიც, კავკასიაში სირაჯთა მთავარ ბირთვს



მუშები ღვინის ტიკებით დიმიტრი ერმაკოვის ფოტო

ღვინით მოვაჭრე თბილისელი სირაჯები შეადგენდნენ.

სირაჯებს ჰყავდათ დამხმარე, ანუ მოსამსახურე, როგორც ეძახდნენ – ფიშქარი ან კიდევ ღვინის დალალი. ფიშქარი არ ყოფილა უბრალო მოსამსახურე, იგი მომავალში სირაჯი უნდა გამხდარიყო. ფიშქარი სირაჯის დიდი ნდობით სარგებლობდა, ხშირად მას აგზავნიდნენ სავაჭროდაც.

ღვინოს უმთავრესად ხარის ტყავისგან სპეციალურად ღვინის ჩასასხმელად შეკერილ რუმბებსა და ხის კასრებში ინახავდნენ. ღუქნებსა და სარდაფებში რუმბების დასალაგებულ ადგილს ფიშქახტი ერქვა (ფიშქახტი – „რუმბების დასაწყობი ნარი, ტახტი. ერთ-ერთი დარაბა ტახტად გადებული“).

დიდი სირაჯხანის ღუქნები და სარდაფები კახეთიდან ტიკებითა და რუმბებით ჩამოტანილი ღვინით მარაგდებოდა. თბილისელი სირაჯები ღვინოსა და არაყს კახეთში შემოდგომით ყიდულობდნენ. კახეთის სოფლებში ჩასული სირაჯები ეზო-ეზო დადიოდნენ, ღვინოს სინჯავდნენ და აფასებდნენ, იწერდნენ, ვისი ღვინო გასინჯეს და ვის რა ფასი შეაძლიეს. თუ მეღვინე მაღალ ფასს მოითხოვდა, მაშინ შემდეგ მოსული შემსყიდველები ერთიმეორეზე ნაკლებს ფასებს შეაძლევდნენ და ამნაირად სასურველ ღონემდე დაიყვანდნენ ღვინის ფასს. ახალდაწურულ ღვინოს მაჭრობისას, წინასწარ იბევებდნენ. დაბევებულ ქვევრებს სარქველზე ნაცარს დააყრიდნენ და სახურავის ნაპირებზე საკუთარ ბეჭედს დაასვამდნენ, მერე ზემოდან კრამიტს დააფარებდნენ და მიწას აყრიდნენ, მოგვიანებით ჩავიდოდნენ და რუმბებით, კასრებითა და ტიკებით ქალაქში ჩამოჰქონდათ.

წესისამებრ, როცა კახეთის რომელიმე სოფელში მემამულესთან ღვინის წამოსაღებად სირაჯი მივიდოდა, თან ერთ ფუთზე მეტი ღოში, ხიზილალა, თავი შაქარი, ბავშვებისთვის ტკბილეული, ხარაზული ჩექმები, სანოხე, საახალღუხე ან ფარაჯა მიჰქონდა. ძღვენი იმდენი უნდა ყოფილიყო, ხურჯინი „ორ ბიჭს უნდა შეეჭანა ხვნემით“. ხშირად სირაჯი სოფელში ნათელმბრონსაც შეიტანდა ხოლმე.

სირაჯს შეიპატიუებდნენ და მაშინვე ღორი ან თოხლი თუ არა, ქათამი და ინდაური მაინც დაიკვლებოდა. ვიდრე ქვევრებიდან ღვინოს ამოიღებდნენ, სირაჯი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. სანამ რუმბებს წყლით გავეღვინდნენ, ღვინოს ჩაასხამ-



მუშა ღვინის კასრით

დნენ და ურმებზე დაალაგებდნენ, თითქმის ორი კვირა გადიოდა.

როცა მორიგდებოდნენ და რუმბები და კასრები წყლით გაიჟღინთებოდა, სირაჯს ღვინის ამომღები მოჰყავდა. ღვინის ამომღები ღვინის მთავარი მცოდნე და მეჭაშნიკე იყო. ღვინის ამომღები ყველა სოფელს თავისი ჰყავდა, რომელიც ხშირად მორიგების დროს შუამავლის როლსაც ასრულებდა. მას თავის საწყაო ჰქონდა და ხუთი თითოვით იცოდა, ვინ როგორ ღვინოს აყენებდა, რომელს რა ნაკლი ან რა ღირსება ჰქონდა.

ღვინის ამომღებსაც თავისი რიტუალი ჰქონდა. ქვევრს რომ მოხდიდნენ და ღვინოს ამოიღებდნენ, მარანში მყოფ ხალხში ჯამით ჩამოატარებდნენ და დაილოცებოდნენ, ღმერთს დიდება და ჩვენ შუვილობაო, იტყოდნენ. მყიდველ-გამყიდველს დალოცავდნენ, ყიფა-გაყიდ-

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ისეთ მშვენიერ ღვინოს სვამენ, როგორსაც საქართველოში.

**ჯან შარდენი,
XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური**

ძველ თბილისში გაიგონებდით ასეთ გამოთქმას: „შენ რომ მოდიოდი, მე სირაჯხანაში უკვე ტიკზე ვიჯექიო“

ვით აღებული თანხის „სინარულში და ბედნიერებაში მოხმარებას“ უსურვებდნენ ორივე მხარეს, ოჯახის ბარაქას დალოცავდნენ, მერე ყველას გამარჯვებისას იტყოდნენ და ღვინის ამოღებას შეუდგებოდნენ. აწყვის დროს ღვინის გამყიდველი ერთ ჩაფს ზედმეტს უსხამდა, ზოგჯერ ორსაც.

როცა ღვინის ამოღება დასრულდებოდა, რუმბებისა და კასრების ურმებზე დაწყობის შემდეგ, სირაჯი ანგარიშს უსწორებდა როგორც ღვინის პატრონს, ისე ღვინის ამომღებს. ბოლოს გაიმართებოდა პურის ჭამა და დალოცვა, სადაც უკვე ყველა, დამსწრეცა და დამხმარეც მონაწილეობდა.

სირაჯებს ღვინო ქალაქში დაქირავებული

ურმებით ჩამოჰქონდათ. მოუწესრიგებელი გზების გამო ხშირად კახეთიდან ღვინის ჩამოტანას რამდენიმე დღეს უნდებოდნენ. ღვინის რუმბები ურმებზე ეწყო. როგორც წესი, ერთად მიჰყავდათ 15-20 ურუმი. ურუმების „ქარავანს“ ალალი ერქვა და ალალბაში ხელმძღვანელობდა, რომელსაც თავის მხრივ, ზედამხედველად, სირაჯის ფიშქარი ცხენით მიჰყვებოდა. თითო ურუშზე ორ-ორი რუმბი ან ორ-ორი ორმოცევედროიანი კასრი იდო.

იყო შემთხვევები, როდესაც სირაჯები ბოროტად სარგებლობდნენ კახელ მემამულეთა გულუხვობით და სხვადასხვა სრიკებით ბევრად მეტი ღვინო მოჰქონდათ, ვიდრე მორიგეული იყვნენ. ამას გარდა, თითო გავსებულ რუმბზე ღვინოს ამატებინებდნენ და ფასსაც ხშირად გაცილებით ნაკლებს აძლევდნენ, ვიდრე ღვინის რეალური ღირებულება იყო.

სირაჯები ღვინით თბილისსა და მის შემოგარენში გაფანტულ სასადილოებს, დუქნებ-





▲ სირაჯხანა. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. 1896 წ.

▼ რუმბებით დატვირთული ურემი



სა და სამიკიტნოებს ამარაგებდნენ. თბილისი ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო კავკასიაში, სადაც ყოველწლიურად 350 ათას ფუთამდე (დაახლოებით 5,733 მლნ ლიტრი) ღვინო შემოდოდა.

სირაჯებმა თავისი ფუნქცია XX საუკუნეში, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში, საბოლოოდ დაკარგეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ძველი თბილისის რეკონსტრუქციისას ღვინის აღმართზე, იქ, სადაც ერთ დროს დიდი სირაჯხანა იყო, ერთ-ერთ ნახევარსარდაფში ღვინის მცირე ღუქანი აღადგინეს. ეს ღუქანი არა მხოლოდ თბილისელებს „აბრუნებდა“ ძველებურ სირაჩხანაში, არამედ უამრავ ტურისტს იზიდავდა და თან ქუჩის სახელსაც ამართლებდა. გარდა ამისა, ღვინის აღმართზე დღემდეა შემონახული XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული სახლები.

ალექსანდრე გოშიშვილი



რატომ აფეთქდა „ჰინდენბურგი“?

1937 წლის 6 მაისს, სადამო ხანს, ვებერთელა და მდიდრული ლაინერი, გერმანული საჰაერო ხომალდი „ჰინდენბურგი“, დასაშვებად ეშზადებოდა. სამღლიანი ტრანსატლანტიკური მოგზაურობა გერმანიიდან, მაინის ფრანკფურტიდან დაიწყო და აშშ-ში, შტატ ნიუ-ჯერსიში, ლეიკჰერსტში უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ბედისწერა დირიჟაბლების მეფეს „სახელოვან“ დასასრულს უშზადებდა. კატასტროფამ საჰაერო ხომალდის ტრაგიკული ფინალი განაპირობა. სულ რაღაც 37 წამში მძლავრი ცეკელინი უზარმაზარ ჯოჯოხეთად გადაიქცა, სადაც მეზაურებისა და ეკიპაჟის წვერთა ერთი მესამედი ჩაიფერფლა („ჰინდენბურგის“ ბორტზე 36 მეზაური და ეკიპაჟის 61 წვერი იმყოფებოდა).




კაპიტანი მაქს პრუსი

„ჰინდენბურგის“ კატასტროფის მიზეზად მრავალი წლის განმავლობაში ადვილად აალებადი და ჰაერზე მსუბუქი აირი, წყალბადი სახელდებოდა, რომლის საშუალებითაც წყდებოდა დირიჟაბლი მიწას. თუმცა დღეისთვის გამოძვეურებულ ამბებს სრულიად სხვა დასკვნამდე მივყავართ.

„ჰინდენბურგმა“ მგზავრების ავიაგადაყვანა ერთი წლით ადრე დაიწყო. მაშინ გიგანტურმა საჰაერო ხომალდმა ექვსჯერ იმგზავრა ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში, ხოლო ათჯერ — ამერიკის შეერთებულ შტატებში. მომდევნო წელს „ჰინდენბურგმა“ ჯერ რიოს მიმართულებით შეასრულა რეისი, სანამ ჩრდილოეთატლანტიკური ფრენის სეზონს გახსნიდა. დასავლეთის მიმართულებით მგზავრთა რაოდენობა ჩვეულებრივზე ნაკლები გახლდათ, ხოლო უკან დაბრუნებისას ხომალდი მთლიანად შეივსო. ამ დროისთვის ატლანტის ოკეანის თავზე უკვე ათასზე მეტი მგზავრი იყო უსაფრთხოდ გადაფრენილი.

საჰაერო ხომალდით ატლანტის ოკეანის გადალახვა ძვირი სიამოვნება გახლდათ: \$400 ერთი მიმართულებით (დღევანდელი კურსით — \$5.000), ხოლო ორივე მიმართულებით მგზავრობა \$720 ჯდებოდა (დღეს \$9.000). თუმცა გადახდილი თანხის სანაცვლოდ მგზავრები მაღალი დონის მომსახურებით სარგებლობდნენ. ამგვარ ფუფუნებაზე თანამედროვე ავიალაინერის მგზავრი ვერც კი იოცნებებს. „ჰინდენბურგი“ ყველაზე დიდი საჰაერო ხომალდი იყო მათ შორის, რაც კი ოდესმე ადამიანს აუგია. სიგრძით 245-მეტრიანი „ჰინდენბურგი“ თანამედროვე „ბოინგ-747-ზე“ სამჯერ დიდი გახლდათ. მთლიანად შეესებული ხომალდი 198 ტონას იწონიდა. ამწვე ძალას ქმნიდა წყალბადი, რომლის მოცულობა 200 ათას კუბურ მეტრს შეადგენდა. აირი 16 რეზერვუარად იყო დაყოფილი კოჭებითა და ფერმებით, გარედან კი ყველაფერი ქსოვილის გარსით იყო დაფარული. დირიჟაბლი აღჭურვილი გახლდათ 1100-ცენისძალიანი ოთხი დიზელის ძრავით და მაქსიმალურად 132 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა.

„ჰინდენბურგს“ ორი ვრცელი „გემბანი“ მთელ სიგანეზე მიუყვებოდა. ზემოთ სასტუმრო და მოსასვენებელი ადგილი იყო როგორც უფროსების, ასევე ბავშვებისთვისაც, აქვე იდგა მსუბუქი ალუმიინისგან დამზადებული როიალი; გამოყოფილი იყო სასაქონლო ადგილიც, რომლის ფანჯრებიდანაც



ხომალდის აგება ფრიდრიხშაფენში, 1931-32 წწ

თვალწარმტაცია სანახაობა იშლებოდა.

მგზავრების კაბინები სასაქონლო და მოსასვენებელ ადგილებს შორის დერეფანს მიუყვებოდა. ყოველ კაბინას გააჩნდა დასაკეცი პირსაბანი, ხოლო სააბაზანო მოწყობილობები და შხაპი ქვემოთ, მეორე „გემბანზე“ იყო განთავსებული. ქვემოთვე იყო სამზარეულო და სამყოფელი ეკიპაჟის წევრებისთვის, აგრეთვე მოსაწვეი ოთახი. თუ გაეთვალისწინებთ, რომ საჰაერო ხომალდის კორპუსი აესებული იყო მაღალალელებადი წყალბადით, ეს შემადრწუნებლად საშიში გახლდათ. „ჰინდენბურგის“ კონსტრუქტორები კი ირწმუნებოდნენ, რომ საჰაერო ხომალდში უსაფრთხოების ყოველგვარი ზომა მკაცრად იყო დაცული. მოწვევის მსურველი მგზავრები მოსაწვე ოთახში ერთგვარი აირჩამკეპტის გავლით შედიოდნენ. აირჩამკეპტი შიგნით უფრო მაღალ წნევას ინარჩუნებდა, ვიდრე გარეთ, რისი წყალობითაც, შესაძლო გაუთვლის შემთხვევაში, მოსაწვე ოთახში ვერ უნდა შეედწია წყალბადის უმცირეს რაოდენობასაც კი. მოსაწვე ოთახში სი-



„ჰინდენბურგი“ თავის ანგარში მაინის ფრანკფურტში



მგზავთა სალონი

გარეტის მოსაკიდებლად მაგიდაზე მიმაგრებული ერთადერთი ელექტროსანთებელა იყო. წესისამებრ, აფრენის წინ მგზავრებს ყოველგვარი სახის სანთებელასა და ასანთს ჩამოართმევდნენ ხოლმე.

„ჰინდენბურგის“ წინა ფრენების მსგავსად, ატლანტიკის გადაკვეთამ ამჯერადაც უსაფრთხოდ და წყნარად ჩაიარა, მიუხედავად ძლიერი შემხვედრი ქარისა, რომელმაც გიგანტური საჰაერო ხომალდის სვლა შეანელა. ლეიკპერსტის სამხედრო-საჰაერო პორტში ჩაფრენის დრომ დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 16 საათამდე გადაიწია. უკვე თვით ლეიკპერსტში ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა დირიჟაბლის დაფრენა კიდევ სამი საათით გააჭიანურა, მაგრამ ჭექა-ქუხილის შემდეგ ქარი ჩაცხრა. მეთაურმა ჩარლზ როზენდალმა ლეიკპერსტის აეროპორტიდან „ჰინდენბურგის“ კაპიტანს, მაქს პრუსს რადიოთი გადასცა: „ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რეკომენდებულია დაშვება პირველივე შესაძლებლობისთანავე“. პრუსმა შეწყვიტა ცაში წრის დარტყმა და ლეიკპერსტის დასაშვებ ზოლთან მიახლოებას შეუდგა.

როცა „ჰინდენბურგი“ მანევრირებდა და გასაჩერებელი ანძისკენ მიეშურებოდა, კაპიტანმა განკარგულება გასცა, ძრავები საპირისპირო მიმართულებით ამოქმედებინათ, რათა ხომალდი საჭირო ადგილას შეჩერებულიყო. შემდეგ აირის მიწოდება შეწყდა, ხოლო წყლის ბალასტის ჩამოშვებამ ხომალდი 60 მეტრის სიმაღლეზე ჩამოიყვანა. ამ მომენტში ჩამოაგდეს მისაბმელი ბაგირები აეროპორტის თანამშრომლებისთვის, რათა მათ დირიჟაბლი საბოლოო პოზიციამდე მიეყვანათ. ეს ხდებოდა 19:25 საათზე.

დაბლა, მიწაზე კი მოვლენის თვითმხილველი, რადიორეპორტიორი ჰერბ მორისონი დაშვების შესახებ ჩანაწერებს აკეთებდა, რათა შემდგომ ეთერში გადაეცა. სანამ ის საუბრობდა, რამდენიმე დამკვირვებელმა „ჰინდენბურგის“ გარსს ზემოთ, კუდის ფრთასთან მცირე ალი შენიშნა. ალბათ უმცირესი დრო გავიდა, სანამ ყველა გააცნობიერებდა, თუ რა ხდებოდა და შემრწუნებულ ადამიანთა მზერა საზარელ სანახაობას მიეჯაჭვებოდა. ვებერთელა „ჰინდენბურგი“ ცეცხლსა და კვამლში დაინთქა, რომელიც რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლეზე აიჭრა ცაში. როცა ცეცხლმა ხომალდს შემოურბინა და ცხვირიდან კუდამდე მოიცვა, ჯერ განწირული ხომალდის ბო-

ლო დაენარცხა მიწას, ცხვირი კი წამით ზეცისკენ აღიმართა, მაგრამ შემდეგ ელვის სისწრაფით დაასკდა დაბლა. სულ რაღაც 37 წამის შემდეგ მიწაზე უკვე ხომალდის მთლიანად ცეცხლწაკიდებული ნარჩენები ეყარა. ამ ნამდვილ ჯოჯოხეთში მხოლოდ კორპუსის დეფორმირებული ჩონჩხის გარჩევა შეიძლებოდა. ლეიკპერსტის აეროპორტის საგანგაშო სირენის კვილში მგზავრები, საჰაერო და სახმელეთო ეკიპაჟების წევრები ზტებოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და გარბოდნენ თავის გადასარჩენად. ბორტზე მყოფი 97 კაციდან 62-მა, კაპიტან პრუსის ჩათვლით, აალებული „ჰინდენბურგიდან“ თავის დაღწევა შეძლო. ზოგიერთი ხომალდიდან ზტებოდა, როცა ის მიწას ჯერ არ დანარცხებულიყო, იმ იმედით, რომ ქვიშიანი გრუნტი დაცემის ძალას შეარბილებდა. სხვები ცდილობდნენ, ღირიჟაბლის ჩონჩხის აგიზგიზებულ კოჭებში გამძვრალიყვნენ, ანდა კორპუსის გარსის ქსოვილის პანელებში ცდილობდნენ გაღწევას. ერთ-ერთი გადარჩენილი კი გაფარვარებული სადენით ჩამოსრიალდა, როცა ცეცხლს გაურბოდა.

დანახშირებული ნარჩენები ჯერ კიდევ ბოლავდა, როცა ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელი უბედურების შემდგომი განხილვები დაიწყო. პრუსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ღირიჟაბლი დივერსიას ემსხვერპლა და რომ რომელიმე მგზავრმა ან ეკიპაჟის უკმაყოფილო წევრმა ბორტზე საათიანი ბომბი დაამონტაჟა. როგორც ნაცისტური პროპაგანდის ძღვეამოსილი სიმბოლო, „ჰინდენბურგი“ მართლაც შესაძლებელია, პრესტიჟულ სამიზნედ დაესახა ვინმეს ჰიტლერის რეჟიმის მოძულეთაგან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შეისწავლა მგზავრები, აგრეთვე კომპანია „ცეპელინის“ წარმომადგენელთა მიერ მიღებული მუქარის წერილები, დამამტკიცებელი საბუთი ვერ იპოვეს და ეს ეჭვი არ გამართლდებულა. ბოლოს და ბოლოს, კატასტროფის ოფიციალურმა გამოძიებამ, რომელსაც ერთობლივად წარმართავდნენ აშშ-ისა და გერმანიის მთავრობები, დაასკვნა, რომ ეს მხოლოდ ტრაგიკული შემთხვევა იყო. წყალბადმა როგორღაც გაჟონა გაზის ერთ-ერთი რეზერვუარიდან კიჩოს ნაწილში, შემდეგ კი ელექტრული ნაპერწკლით ააღდა.

რამ გამოიწვია გაჟონვა და ნაპერწკლის გაჩენა, დაუდგენელი დარჩა. საუკეთესო თეო-




ღირიჟაბლი გასაშვებ სადგურთან



ყოველი გაფრენის წინ გიგანტური ღირიჟაბლის სტაბილიზებას სახმელეთო ეკიპაჟის დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა



ცეცხლმა
ზომალდს
რამდენიმე
წამში
„შემოურბინა“



ალის გაჩენიდან
ერთი წუთის
შემდეგ

რია ის გახლდათ, რომ დასამაგრებელი ბაგი-რები ერთმანეთზე გატაკაცუნდა, როცა „ჰინდენბურგი“ უკანასკნელ მანევრებს ასრულებდა გასაჩერებელი ანძისკენ სვლისას, იქ კი უმცირესი რაოდენობით აირმა გაჟონა. რაკი გარეთ გამოღწეული წყალბადი ჰაერს შეერია, მხოლოდ ერთი ნაპერწკალიდა სჭირდებოდა ასაფეთქებლად. ეს კი ალბათ იმ იშვიათმა ბუნებრივმა მოვლენამ გამოიწვია, რომელიც წმინდა ელმის (წმინდა ერაზმის) სახელწოდებითაა ცნობილი. ეს არის სტატიკური ელექტრობის განმუხტვა, რომელიც ავდარში ხდება ხოლმე მაღალი ობიექტების (მაგალითად, ეკლესიის სამრეკლოს) გარშემო.

საბოლოოდ, ბრალი წყალბადს დაედო.

თუმცა 1990-იანი წლების ბოლოს განახლებულმა კვლევებმა კატასტროფის მიზეზებს სრულიად ახლებური შუქი მოჰფინა. ედისონ ბენმა, ნასას ყოფილმა წყალბადის სპეციალისტმა და უილიამ ვან ვორსტმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის გადამდგარმა პროფესორმა ქიმიური ინჟინერიის დარგში, „ჰინდენბურგის“ დაღუპვის მათეული კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. მათ იმდროინდელი ახალი ამბების ქრონიკები და მოწმეთა ანგარიშები დაამუშავეს და აჩვენეს, რომ ცეცხლის იმ ალის „ქცევის“ ტიპი, რომელიც დირიჟაბლს მოედო, აბსოლუტურად არ იყო დამახასიათებელი წყალბადის მიერ გაჩენილი ცეცხლისთვის. წყალბადის ალი ზემოთ მიიწევს,



მაშველები გადარჩენილებს ეზმარებიან



ამ საპაერო ხომალდის შემთხვევაში კი ქვევით გავრცელდა. წყალბადი იწვის დიდი ხილული ალის გარეშე, ხოლო მოწმეთა ჩვენებები მეტიმეტად ხატონად აღწერდა მოგიზგიზე „ჰინდენბურგს“. დასასრულ, დირიჟაბლის აირის რეზერვუარებს ნიორი ჰქონდა გარშემო „შემოკრული“. მასში წყალბადის უმცირესი მოცულობის გამოდევნის შემთხვევაშიც კი ეკიპაჟი საფრთხეს, სუნის წყალობით, დაუყოვნებლივ იგარძნობდა. არადა, ბორტზე მყოფ არც ერთ ადამიანს არც დაუწერია ანგარიშში, რომ ფრენისას ნიორის მძაფრი სუნი თუნდაც ოდნავ ეგრძნოს.

თუ წყალბადს არა, მაშ რას უნდა დაბრალდებოდა ეს უბედური შემთხვევა? არაერთი ექ-

სპერიმენტი განხორციელდა საპაერო ხომალდის გარეთა გარსის ნაწილებზე (რაც ავარიის შემდეგ დარჩა). ამის შემდეგ ბენიმა მიზეზი დაასახელა. მისი აზრით, ნამდვილი დამნაშავე გარეთა, წყალგაუმტარი დამცავი ფენა იყო. ქიმიური კოქტეილი შედგებოდა რკინის ოქსიდისა და ცელულოზის აცეტატისგან და შერეული ჰქონდა ალუმინის ფხვნილი. ეს ძალიან წააგავს ნარევს, რომელიც მძლავრ მყარსაწვავიან რაკეტებში გამოიყენება. როგორც ბენიმა შენიშნა, „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ჰინდენბურგი“ სარაკეტო საწვავით იყო შეღებილი“. მისი რწმენით, ელექტროსტატიკურმა განმუხტვამ ქსოვილს ცეცხლი გაუჩინა კუდის ფრთასთან, და მალევე



კორპუსის გარსის ქსოვილის ერთ-ერთი შემორჩენილი ფრაგმენტი. ბოლო მონაცემებით, აალებს სწორედ გარსის გარე ფენას კბრალდება

ალმა ქსოვილის მთელი ზედაპირი მოიცვა. ხალხის დაღუპვა გამოიწვია საჰაერო ხომალდიდან გადმოხტომამ და დიზელის საწვავის ავზში გაჩენილმა ცეცხლმა.

გერმანიაში „ცეპელინის“ არქივების გულდასმით შესწავლისას ყურადღება მიაქციეს მკვლევარ ინჟინერ-ელექტრიკოს ოტო ბეიერსდორფის ანგარიშს, რომელიც აუარიის მიზეზებს იძიებდა. ბეიერსდორფიც ზემოაღნიშნულის მსგავს დასკვნებამდე მივიდა, თუმცა კომპანია „ცეპელინს“ მისი ანგარიში საჯარო არასოდეს გაუხდია (შესაძლოა მათ წინასწარ განზრახულად აიძულეს დადუმება, რადგან ბეიერსდორფის დასკვნები არასასურველად

აისახებოდა მთელ გერმანულ საინჟინრო სამყაროზე). საინტერესოა, რომ სწორედ კატასტროფის დროს აგებდნენ „გრაფ ცეპელინ II“-ს და მისი გარე ფენის ქიმიური ფორმულა სასწრაფოდ შეცვალეს... გაცილებით ხელსაყრელი ჩანდა ყველაფერში წყალბადის დადანიშნულება — ანდა, როგორც გერმანიის ავიაციის მინისტრი, ჰერმან გერინგი იტყოდა, „ეს იყო ღვთის მიერ გამოცემული ღეკრუტი“ ანუ „ასეთი იყო ღმერთის ნება“.

მომზადებულია National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით

დღეს ასე არის მონიშნული „პინდენბურგის“ დაღუპვის ადგილი



„წმინდა“ ინკვიზიცია

ჩა მოუხანა ინკვიზიციის სხიხანაღბა მსოფციოს

XV საუკუნის ბოლოსთვის არაგონისა და კასტილიის სამეფოთა გაერთიანებით დასრულდა ერთიანი მძლავრი ესპანური მონარქიის ჩამოყალიბება. კათოლიკე მონარქებმა ფერდინანდმა და ისაბელმა თავიანთი ძალაუფლება განავრცეს თითქმის მთელი ესპანეთის ტერიტორიაზე და მუსლიმთა უკანასკნელი სამყოფლის, გრანადის ციხესიმაგრის აღებით დაასრულეს ესპანეთის გაერთიანება და მუსლიმთა ბატონობა იბერიის ნახევარკუნძულზე.



საწამებელი
საგარძელი



„წმინდა დომენიკი ხელმძღვანელობს აუტოდაფეს“.
პედრო ბერუგეტე. 1495

თომას დე ტორკემბადა,
დიდი ინკვიზიტორი



ესპანეთში, როგორც სხვაგან ევროპაში, კათოლიკური ეკლესია მონარქიის იდეოლოგიურ საყრდენად გადაიქცა. ეს ქვეყანა ყოველთვის გამოირჩეოდა რომის წმინდა ტახტისადმი ერთგულებითა და რელიგიური ფანატიზმით, რაც გასაგებია, რადგან ესპანეთს მუდმივად უწევდა ბრძოლა ისლამური სამყაროს წინააღმდეგ, მტკიცედ ებლაუჭებოდა ქრისტიანულ რწმენას.

შუა საუკუნეებში ინკვიზიცია რომაული ეკლესიის ხელში გადაიქცა მძლავრ იარაღად იმათ წინააღმდეგ, ვინც რომის ტახტის ძლიერებას არ ურიგდებოდნენ. ინკვიზიციის ისტორია XII საუკუნიდან იწყება, თუმცა ეკლესიისა და ძალაუფლებისგან ერეტიკოსთა გასამართლების შემთხვევები, რა თქმა უნდა, მანამდეც გვხვდება როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში.

თვით სიტყვა ინკვიზიცია (inquisitio) ლათინურია და ნიშნავს გამოძიებას. პირველი ინკვიზიციური ტრიბუნალი შექმნა ინოკენტი III-მ, რომის პაპმა, 1215 წელს. სამხრეთ საფრანგეთში პირველი ასეთი ტრიბუნალი 1229 წელს დაარსდა პაპ გრიგოლ IX-ის მიერ. ინკვიზიტორები იკვლევდნენ სხვადასხვა ერესში ბრალდებულთა საქმეებს. საქმის წარმოებას თავისი მეთოდითა გააჩნდა. ბრალდებული იკითხებოდა ორი მოწმის, მდივნისა და მღვდლის თანდასწრებით, თუკი მის ბრალდებას გამოააშკარაებდნენ (და როგორც წესი, ბრალდებულის „დანაშაული“ აშკარაებოდა), ერეტიკოსი გადაჰყვდათ საპრობილეუში, სადაც იწყებოდა მისი ხელახალი დაკითხვა. ბრალდებულის უკეთ ასალაპარაკებლად იყენებდნენ წამებას. თუკი „ეჭვმიტანილი“ აღიარებდა „დანაშაულს“, მას ეპიტიმის დაადებდნენ, სიკვდილს სხვა სასჯელით შეუცვლიდნენ, თუ ბრალდებული გაჯიუტდებოდა, მას გადასცემდნენ სასამართლოს, რომელსაც ერეტიკოსისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოჰქონდა. მთაურია, სისხლი არ დაღვრილიყო (ინკვიზიტორები „ერიდებოდნენ“ სისხლის ღვრას), ამიტომ „დამნაშაულს“ ან აზრჩობდნენ ან წვუდნენ (ინკვიზიტორების აზრით, ეს უფრო ჰუმანური იყო).

ინკვიზიციის ისტორია სამ პერიოდად იყოფა. პირველად თვლება ის დრო, სანამ ტულუზის კრებაზე (1229 წ.) დომინიკანელები ხელში ჩაიგდებდნენ ინკვიზიციის ხელმძღვანელობას; მეორეა დომინიკანელთა პერიოდი (XIII-XV სს.) და მესამე — ესპანური ინკვიზიცია, რომელიც სათავეს 1478 წლიდან იღებს. ამ წელს მე-



ფერდინანდ არაგონელი



ისაბელ კასტილიელი

ფე ფერდინანდმა და დედოფალმა ისაბელმა პაპის ლოკვა-კურთხევით ესპანეთში შექმნეს ადგილობრივი ინკვიზიტორული ტრიბუნალი.

ესპანეთში ინკვიზიტორთა საქმიანობისთვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა. იბერიის ნახევარკუნძულის ქრისტიანული სამეფოები საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდნენ ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებისთვის. ებრძოდნენ ისლამურ გარემოცვას. ახლა კი, მუსლიმთაგან თავდახსნილ ქრისტიანთა რწმენას განწმენდა და განმტკიცება ესაჭიროებოდა.

ღროთა განმავლობაში ინკვიზიციის ტრიბუნალები გამრავლდა (მაგალითად, 1480 წელს დაარსდა სევილიაში), თანდათან გართულდა მათი სტრუქტურაც. თავდაპირველად ტრიბუნალი შედგებოდა ორი იურისტისა და მეფის სამი მრჩეველისგან, შემდეგ ტრიბუნალის წევრთა რიცხვი გაიზარდა. ოთხი (შემდეგში ათი) ადგილობრივი ტრიბუნალის გარდა დაარსდა ცენტრალური ინკვიზიციური საბჭო.

ესპანური ინკვიზიციის ისტორიაში ყველაზე დიდი კვალი დატოვა „დიდმა ინკვიზიტორმა“ თომას დე ტორკვემადამ. იგი დიდ ინკვიზიტორად დაინიშნა 1481 წელს. 1484 წელს ტორკვემადამ ყველა ადგილობრივი ტრიბუნალის კრება მოიწვია. კრებაზე შეიმუშავეს ინკვიზიტორთა კოდექსი, რომელიც თავდაპირველად 28 დებულებისგან შედგებოდა. შემდეგ დაემატა კიდევ 11 დებულება.

მწვალებლების გარდა, ტორკვემადა სასტიკად დევნიდა ებრაელებსა და მავრებს

(ჩრდილოეთაფრიკელ მუსლიმებს). 1492 წელს დაიწყო ებრაელთა მასობრივი დევნა. ესპანელ ებრაელებს მოსთხოვეს კათოლიკობის მიღება. მათ უვარდებოდნენ სახლებში, აიძულებდნენ იუდაიზმზე უარის თქმას, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ. მრავალი ებრაელი გაიქცა. ბევრმაც გარეგნულად მიიღო ქრისტიანობა, თუმცა ფარულად ისევ თავის რჯულს აღიარებდა.

არანაკლები სისასტიკით ექცეოდა ტორკვემადა მავრებს, მიუხედავად იმისა, რომ 1492 წელს დადებული ხელშეკრულებით მათ ისლამის თავისუფლად აღიარების უფლება ჰქონდათ. ქრისტიანობაზე მოქცეულ მავრებს მაინც ეჭვის თვალით უცქერდნენ. 1502 წელს მავრებს კატეგორიული ულტიმატუმი წაუყენეს — ან კათოლიკობა, ან სიკვდილი! ვინც მოასწრო, გაიქცა, დანარჩენების უმრავლესობამ ქრისტიანობა მიიღო.

1481-1498 წლებში ტორკვემადას „მოღვაწეობის“ შედეგად დაწვეს 8800 ადამიანი, 90000-ს წაართვეს ქონება, 6500 გაქცეულის პორტრეტი ან სხვა სახის გამოსახულება დაწვეს (გული ამით იჯერეს).

რასაკვირველია, ინკვიზიციას ესპანეთში ყველგან ერთნაირი სიმპათიით არ ზედებოდნენ. მაგალითად, კასტილიაში ფანატიკოსთა ბრბო უდიდესი აღტაცებით უყურებდა ერეტიკოსთა კოცონზე დაწვას. ამით ერთობოდნენ, არაგონში კი ინკვიზიტორთა საქმიანობამ უკმაყოფილება გამოიწვია. აქ ინკვიზიტო-



სხვადასხვა სახის წამების იარაღები



რი პედრო არბეუსი ეკლესიაში მოკლეს, მიუხედავად ამისა, ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის ძლიერებას წინ ვერაფერს დაუდგებოდა. თომას დე ტორკემადამ და მისმა მოწაფეებმა შეძლეს ესპანეთში რელიგიური ერთობის მიღწევა და კათოლიკური ეკლესიის ძლიერების განმტკიცება.

ესპანეთის გავლენით ინკვიზიციური ტრიბუნალები დაარსდა პორტუგალიაში (1536 წელს), საიდანაც ოსტინდოეთის პორტუგალიურ კოლონიებში გავრცელდა.

ინკვიზიცია მძვინვარებდა XVI საუკუნეში. მას შესანიშნავად იყენებდნენ ესპანელი მეფეები კარლოს I და ფილიპე II. წმინდა ინკვიზიციამ 1559 წელი უამრავი პროტესტანტის დაწვეთ ალნიშნა. 1570 წლის მორისკების (მავრების შთამომავლები ესპანეთში) აჯანყების ჩახშობის შემდეგ ინკვიზიციურმა ტრიბუნალებმა უამრავი „ჯულისგან განდგომილი“ დაწვეს. კარლოს I და ფილიპე II ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს ესპანურ ინკვიზიციას, რადგან მასში ხედავდნენ სარწმუნოების სიმტკიცისა და სიწმინდის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებას. ინკვიზიცია ძალას ინარჩუნებდა XVII საუკუნის დასაწყისშიც (როდესაც კიდევ ერთხელ მოაწვევს მორისკების მასობრივი დევნა და სიკვდილით დასჯა).

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში ინკვიზიციის მოგზიგებზე კოცონები მინავლდა. ამ დროის განმავლობაში წელიწადში ორ ან სამ ერეტიკოსს თუ დაწვევდნენ. ინკვიზიტორი ტრიბუნალები ესპანეთში გააუქმა ნაპოლეონ ბონაპარტეს ძმამ, ფოხეფ ბონაპარტემ 1808 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით, თუმცა ინკვიზიცია აღდგა ფერდინანდ VII-ის შემწევობით 1814 წელს და ისევ გაუქმდა 1820 წელს. XIX საუკუნის 20-იან წლებში ესპანურმა ინკვიზიციამ კვლავ იმძლავრა.

ესპანური ინკვიზიცია განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა (რასაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი მიზნები აქვს). 1481-1809 წლებში მისი მსხვერპლი გახდა 341 021 კაცი, აქედან 31 912 ცოცხლად დაწვეს. საუკუნეთა განმავლობაში ინკვიზიცია ესპანეთის თვითმპყრობელური სამეფო ხელისუფლებისა და კათოლიკური ეკლესიის დასაყრდენსა და იარაღს წარმოადგენდა.

კათოლიკური ეკლესიის ეს მძლავრი სადამსჯელო ორგანო ესპანეთში საბოლოოდ 1834 წელს გაუქმდა.

ბენუხუვილი ბენუხუვილი

გადაბა ინდოეთის ხალხთა ერთ-ერთი ჯგუფის სახელწოდებაა. ამ ჯგუფის ხალხმა არ იცის, რა არის ელექტრობა, არც რადიოსთვის მოუხმენიათ, არც გაზეთი წაუკითხავთ, შესაძლოა თვალიც არ მოუკრავთ ტელევიზორისთვის.



გადაბების დასახლებები გარე სამყაროსგან დაწნული ღობითაა „შემოფარგლული“. ქოხები მრგვალია და თიხით გაღვსილი, არც ფანჯრები აქვს და არც კარები. კარის მაგიერობას აქაური უხეში ქსოვილის, სიოას ნაჭერი სწევს. სამაგიეროდ, აქაური ბავშვები გასაოცარი სითბოთი და ყურადღებით არიან გარემოცული და სრული თავისუფლებით სარგებლობენ. უფროსები ერთნაირად ზრუნავენ დასახლების ყველა ბავშვზე. განსაკუთრებით, მძიმე პერიოდში — სტიქიური უბედურების, მოუსავლიანობის, ეპიდემიის დროს... მშობლები თუ დაეხმობათ, აქაური პატარები სხვა ოჯახის შვილები ხდებიან, ამიტომ აქ უპატრონო ბავშვებს ვერ შეხვდებით. პატარები ბოროტად არ სარგებლობენ უფროსების ნდო-

ბითა და სიყვარულით. ისინი დამჯერებელი, შრომისმოყვარე და თვინიერი არიან. თითქმის შიშვლები დადიან, მოზარდები თუძოზე იხვევენ ქსოვილის ნაჭრებს, სამკაულები კი უხვად უკეთიათ. ბავშვების უმრავლესობას შვიდ წლამდე არანორმალურად დიდი მუცელი აქვს. ყმაწვილობის ასაკში რაქიტის კვალი ქრება და საკმაოდ ტანადი გოგო-ბიჭები შეიქნებიან. ქალები ბავშვებზე მეტ სამკაულს ატარებენ. ფეხებსა და ხელებზე ლითონის რგოლები უკეთიათ ფლარუნებითა და ეფენებით. ყურებზე ჰკიდიათ უზარმაზარი, 20 სმ-მდე დიამეტრისა და რამდენიმე უფრო პატარა რგოლი, ყელზე — ათეულობით მძივი. შავი თმები შეკრული აქვთ წითელი მძივებით ან ბაფთით.



მსოფლიოს ხალხები

ცხვირზეც ზოგს ორი-სამი რგოლი უკეთია, გვხვდება ნესტოზე მიმაგრებული თვლებიც. ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში ქალებს აცვი-ათ წითელი ფერის, სადღესასწაულოდ კი — ზოლებიანი სარი.

მამაკაცები გამხდარი და ტანადი არიან, ჯან-ღონით სავსე. გრძელი შავი თმა ზოგჯერ უხუჭუჭდებათ. საერთოდ, ამ ხალხს მუქი კანი, ოდნავ მიჭყლეტილი ცხვირი, დიდი შავი თვალები და ქათქათა კბილები აქვთ.

გადაბას ხალხი თბილი, ალერსიანი, მეგობრული და ცოტა გულუბრყვილოც არის. მათი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ნდობასა და სინდისიერებაზეა დამყარებული, კარგი მაგალითი შეიძლება იყოს მრავალი ცივილიზებული ერისთვის. ისინი არასოდეს არაფერს მალავენ და კეტავენ — საერთოდ არც იციან, რა არის საკეტი.

გადაბებს კოლორიტული ცეკვები აქვთ, დოლებისა და დაირების თანხლებით. ქოხებში სისუფთავეა. აქვთ სხვადასხვა ზომის უამრავი თიხის ჭურჭელი, ბამბუკისგან დაწნული კალათები. ქოხში ორი ოთახია: წინა ოთახი სამზარეულოა, სადაც დაუმუშავებელი ქვებისგან აგებული კერია ანთია. მასზე ამზადებენ საჭმელს.

გადაბები ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევენ — მიწას ამუშავებენ თოხით, მოჰყავთ გვალვაგამძლე მარცვლეულის კულტურა (მათ შორის ფეტვი), ზრდიან ღორებსა და ქათმებს, ველურ ნაყოფითა და მცენარეთა ფესვებითაც იკვებებიან. შრომის იარაღების დამზადებით თავს არ იწუხებენ. ამ იარაღებს ისინი



ნი სხვადასხვა პროდუქტზე უცვლიან მეზობელ ხალხებს.

მამაკაცები ნადირობენ. მიუხედავად პრიმიტიული იარაღებისა (შშვილდ-ისრები, პატარა ცულები, თვითნაკეთი შუბები, დანები, ხაფანგები), შინ ყოველთვის დატვირთული ბრუნდებიან, რადგანაც აქაური ტყე მდიდარია ირმით, გარეული ღორით, კურდღლით, ათასგვარი ფრინველით.

ლია ვაჭავაძიანი
ნოდარ ელიზბარაშვილი



შოკოლადი

ყველაზე ტკბილი მსოფლიოს დამყრობელი

ინდიელთა
ღვთაებრივი „მწარე
წყლის“
თავბადასავალი
ცენტრალური
ამერიკიდან
ევროპამდე



კაკოს ხე

შოკოლადის ისტორია 3000 წელიწადზე მეტ ხანს ითვლის. კაკოს ხის ნაყოფი ცნობილი იყო ცენტრალური ამერიკის ოლმეკის ინდიელებისთვის. მათი ცივილიზაცია ქრისტეს შობამდე 1500 წლით ადრე არსებობდა თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე. მათი კულტურიდან ცოტა რამ თუ შემორჩა, თუმცა, მეცნიერთა მოსაზრებით, სიტყვა „კაკოს“ გამომჩენა სწორედ ოლმეკთა ცივილიზაციის აგვაგების პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

ამჟამად კულტივირებული კაკოს წინამორბედი ველური ჯიშები ცენტრალური ამერიკის ხშირ, ჩრდილოვან ტყეებში იზრდებოდა, კაკოს ნაყოფის მოსაპოვებლად ოლმეკები ექსპედიციებს აწყოდნენ. ქრისტეს შობიდან 1000 წლისთვის ოლმეკების ადგილი მაიას ინდიელთა კულტურამ დაიკავა. მაიას ინდიელებს სწამდათ კაკოს ღმერთის არსებობა. კაკოს ნაყოფისგან მიღებულ საგანგებო სასმელს, შოკოლადს, მაიას ინდიელები წმინდა სითხედ მიიჩნევდნენ და მას რელიგიური რიტუალებისას იყენებდნენ. მათ შოკოლადის დამზადების არაერთი მეთოდი ჰქონდათ, მიღებულ სითხეს ინდიელები სხვადასხვა სახელებლით

და დანამატით ამზადებდნენ. დაახლოებით 1200 წლისთვის მაიას ცივილიზაცია აცტეკებმა ჩაანაცვლეს. სწორედ მათ უკავშირდება კაკოს მოხმარების არეალის გაფართოება ცენტრალურ ამერიკაში. აცტეკთა ლეგენდის მიხედვით, კაკოს თესლი დედამიწაზე სამოთხიდან მოხვდა, ხოლო ნაყოფი სიბრძნისა და ძლიერების წყაროდ მიიჩნეოდა. აცტეკები კაკოს უზარმაზარ პლანტაციებს ფლობდნენ. სხვადასხვა ჯიშის მარცვალს ინდიელები შხეზე ამრობდნენ და შემდეგ აქუცმაცებდნენ. შოკოლადის დამზადებისას მიღებულ სითხეში უმატებდნენ: წყალს, თაფლს, ვანილს, ზოგჯერ მწვანე სიმინდის მარცვალსა და დანაყილ წიწკას.



კაკოს გაჭრილი ნაყოფი

ღმერთების საკვები

კოლუმბამდელ ცენტრალურ ამერიკაში შოკოლადს მხოლოდ სითხის სახით მიირთმევდნენ. მექსიკის ინდიელთა ენაზე „შოკოლადი“ — უფრო ზუსტად კი „ჩოკოატლი“, სწორედ „მწარე წყალს“ ან „წყალსა და ქაფს“ ნიშნავდა. ინდიელთა მიერ მოხარშული შოკოლადი ბლანტი, მწარე, თუმცა არომატული იყო. აცტეკთა იმპერიაში კაკოს ნაყოფი ძვირად ფასობდა — როგორც შოკოლადის საგემოვნო თვისებების, ასევე ნაყოფის რთულად მისაღვომ ადგილებში მოპოვების გამო. ხოლო კაკოს წარმომავლობის მითოლოგიური საფუძვლები კიდევ უფრო ფასეულს ხდიდა ამ პროდუქტს. აცტეკთა ძლევაშემდეგ იმპერიაში კაკოს თესლს ფულადაც იყენებდნენ, მონეტის მსგავსად. გაყალბებისგან არც ასეთი „ფული“ ყოფილა დაცული — კაკოს თესლის ცარიელ გარსს მიწით ან თიხით ამოავსებდნენ ხოლმე. კაკოს ფული კარგად გადიოდა. მაგალითად, მსხვერპლთშეწირვისთვის განწირული კარგი ფიზიკური აღნაგობის მონის ფასი კაკოს 4 ათას სათესლე მარცვალს უდრიდა. აცტეკთა იმპერიის სამეფო საცავებში კაკოს დი-

კოს წარმომავლობის მითოლოგიური საფუძვლები კიდევ უფრო ფასეულს ხდიდა ამ პროდუქტს. აცტეკთა ძლევაშემდეგ იმპერიაში კაკოს თესლს ფულადაც იყენებდნენ, მონეტის მსგავსად. გაყალბებისგან არც ასეთი „ფული“ ყოფილა დაცული — კაკოს თესლის ცარიელ გარსს მიწით ან თიხით ამოავსებდნენ ხოლმე. კაკოს ფული კარგად გადიოდა. მაგალითად, მსხვერპლთშეწირვისთვის განწირული კარგი ფიზიკური აღნაგობის მონის ფასი კაკოს 4 ათას სათესლე მარცვალს უდრიდა. აცტეკთა იმპერიის სამეფო საცავებში კაკოს დი-



შოკოლადის სასმელი მაიასა და აცტეკების ტომების ინდიელთა ძველ ნახატებში შემორჩა

დი მარაგი ინახებოდა. ერთი სტანდარტული ტომარა 24 ათას სათესლე მარცვალს იტევდა. საწყობებში კი ტომრები ათასობით ეწყო. შოკოლადის „ჯადოსნური“ სითხე მხოლოდ შექმლებულ და დიდგვაროვან ინდიელთა სასმელს წარმოადგენდა.

აცტეკები კაკაოს ღმერთების საკვებსაც უწოდებდნენ. აცტეკთა იმპერიის უკანასკნელი მმართველი მონტესუმა (1466-1520) შოკოლადის დიდი მოყვარული გახლდათ. მის საწყობებში დაახლოებით 40 ათასი ტომარა კაკაოს სათესლე მარცვალი ინახებოდა. მონტესუმა პრაქტიკულად ყოველდღე მიირთმევდა შოკოლადს სხვადასხვა ოქროს თასიდან. შოკოლადის დასამზადებლად ინდიელთა კულტურაში სპეციალური ჭურჭლის არაერთი სახე იყო ცნობილი. შოკოლადის მოხარშვის, გაგრძობისა და შენახვისთვის განსხვავებულ ჭურჭელს იყენებდნენ. ნაპოვნია მაიას პერიოდის თასები იეროგლიფური წარწერით „კაკაო“ ან „კაკაოსთვის“. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე 1200-1000 წლებში ცენტრალური ამერიკის ინდიელები „შოკოლადის ლუდსაც“ მიირთმევდნენ. ლუდს სავარაუდოდ, კაკაოს თესლის დუღილის შედეგად ამზადებდნენ.

კაკაოსა და შოკოლადის გამოყენების არეალი ტროპიკული რეგიონიდან ჩრდილოეთით, თანამედროვე აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთის უდაბნოს ზონამდე აღწევდა. ამერიკელ არქეოლოგთა მიერ არიზონის შტატის ლოს-მუერთოს არქეოლოგიური ძეგლის გათხრებისას აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭელი კაკაოს ნარჩენებით. ამ რეგიონის ინდიელთა თასები



აცტეკთა ძლევაშის იმპერიაში კაკაოს თესლს ფულადაც იყენებდნენ, მონეტის მსგავსად

მსგავსია მექსიკის ინდიელთა ჭურჭლისა. მეცნიერთა მოსაზრებით, მექსიკის ინდიელებს კაკაო შორეულ ჩრდილოეთშიც გაჰქონდათ.

კვილი სამყაროს დაპყრობა

შოკოლადის ევროპული ისტორიის დასაწყისი ქრისტეფორე კოლუმბის სახელს უკავშირდება. მეოთხე ექსპედიციის (1502-1504) შემდეგ კოლუმბმა, ევროპაში პირველმა, ესპანეთის მეფე ფერდინანდს კაკაოს მარცვლები ჩამოუტანა, თუმცა ის უმაღლეს დაჩრდილდა ახალი სამყაროს სხვა სიმდიდრეებმა.

ევროპას შოკოლადი ფერნანდო კორტესმა გააცნო. 1519-1521 წლებში კონკისტადორთა მიერ აცტეკთა დამარცხებისა და მექსიკის დაპყრობის შედეგად კორტესი ახალ კოლონიაში ესპანეთის მეფისნაცვლად გამოცხადდა. კორტესმა მრავალ სიმდიდრეთა შორის ყურადღება მიაქცია ინდიელთა საუცხოო სასმელს — შოკოლადს. მცირე ხანში კორტესი კაკაოს უზარმაზარ პლანტაციათა მფლობე-





ამერიკელ ინდიელთა მსგავსად, ევროპაშიც შოკოლადი თავდაპირველად დიდებულთა და შეძლებულთა სასმელი გახდა



1737 წელს მეცნიერებმა კაკაოს ხეს ლათინური სახელწოდება მიაკუთვნეს: *Theobroma cacao* („კაკაო — ღმერთების საკვები“)

ლი გახდა. მან სწორად შეაფასა შოკოლადის უნიკალური საგემონო თვისებები და უმაღლესე წარუდგინა ესპანეთის მონარქს. სამეფო კარი სასმელმა აღაფრთოვანა. მცირე ხანში თითქმის ყველა დიდებულის სახლში იხარშებოდა შოკოლადი. ის ევროპაშიც იმთავითვე მეფეთა და დიდებულთა სასმელი შეიქმნა. შოკოლადზე ათასგვარი ხმები ვრცელდებოდა, თუმცა კაკაოს სიძვირის გამო უბრალო მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა. კაკაოს 100 მარცვლით ერთი მონის შექმნა შეიძლებოდა. XVI საუკუნის ესპანელი ისტორიკოსი ოვიედო აღნიშნავდა: „მხოლოდ მდიდარი და კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანი აძლევდა თავს უფლებას შოკოლადი დაეღვია, რადგანაც იგი პრაქტიკულად სვამდა ფულს“. სამეფო კარისა და დიდებულთა წრეების გარდა, შოკოლადმა ესპანეთის მონასტრებშიც შეაღწია.

1528 წლიდან ესპანეთში დაიწყო კაკაოს თესლის რეგულარული იმპორტი ცენტრალური ამერიკიდან, რასაც თავდაპირველად კორტესი ხელმძღვანელობდა. კაკაოთი დატვირთულ ესპანურ ხომალდებს საგანგებო დაცვა მოჰყვებოდა. მაშინ ამ ტვირთის განსაკუთრებულ ფასეულობაზე ესპანელთა გარდა არავინ არაფერი იცოდა. 1587 წელს ინგლისელთა მიერ ესპანელთა ერთ-ერთი გემის დაკავებისას ბრიტანელთაგან უცნაურ ტვირთს ყურადღება არაფერს მიაქცია. ინგლისელებმა დაპყრობილი გემის განსატვირთად კაკაოთი სავსე ტომრები ზღვაში მოისროლეს.

1565 წელს იტალიური წარმომავლობის სწავლულმა ბერმა ბენცონიმ საფუძვლიანად შეისწავლა შოკოლადის სასმლის სასარგებლო თვისებები და ნაშრომი ესპანეთის მეფეს წარუდგინა.

შოკოლადზე ექსპერიმენტებით ძირითადად მონარქთან დაახლოებული იეზუიტი ბერები იყვნენ დაკავებული. იმ ეტაპზე შოკოლადს „მექსიკური“, მწარე გემო ახლდა. ამან აფიქრებინა იეზუიტებს, უფრო სასაიმპონო გაეხადათ ეს სასმელი. ბერებმა რეცეპტიდან ამოიღეს წიწაკის სანელებელი და შოკოლადს თაფლი გაუზავეს. მოგვიანებით შოკოლადს ვანილიც დაურთეს, ხოლო თაფლი შაქარმა ჩაანაცვლა. შედეგად, შოკოლადი უფრო გაიაფდა და მისი საგემონო თვისებებიც დაიხვეწა. სულ მალე აღმოაჩინეს, რომ ცხელი შოკოლადი უფრო გემრიელიც კი იყო, ვიდრე მექსიკური რეცეპტურით აქამდე მიღებული გრილი სასმელი.

XVII საუკუნის დასაწყისიდან შოკოლადის დამზადების საიდუმლოზე ესპანელთა მონოპოლია სრულდება. იტალიელმა კარლემ ამერიკაში მოგზაურობიდან შოკოლადის აცტეკთა რეცეპტი ჩამოიტანა, ხოლო კონტრაბანდისტებმა შოკოლადის რეცეპტი და ნედლეული პოლანდიაში შეიტანეს, საიდანაც გერმანიასა და ბელგიაში გავრცელდა. ანა ავსტრიელის ლუი XVII-სთან დაქორწინების შედეგად დედოფლის უსაყვარლესი სასმელი საფრანგეთშიც გაიცნეს. იქიდან შოკოლადმა შვეიცარიის ალპებში შეაღწია. 1621 წლისთვის პოლანდიელმა კონტრაბანდისტებმა საბოლოოდ დაასრულეს ესპანელთა მონოპოლია კაკაოს საოკეანო ექსპორტზე.

ტკბილი წამალი


1631 წელს ესპანელმა ექიმმა ანტონიო კოლმენერო დე ლედესმამ პირველმა შეადგინა სამკურნალო რეცეპტი დიდებულთა წამლობისთვის. 1653 წელს კი მეცნიერმა ბონავენტურა დე არაგონმა პირველმა ოფიციალურად გამოიკვლია შოკოლადის სასარგებლო თვისებები. მეცნიერი მიუთითებდა, რომ შოკოლადი ხელს უწყობდა ორგანიზმის ჯანმრთელ ფუნქციონირებას, კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალურ ცხოველმქმე-

დებას, ამცირებდა გაღიზიანებადობას. იმ დროის ცნობილი ექიმი ლუდვიგ ჰოფმანიც ხშირად იყენებდა შოკოლადს კარდინალ რიშელიეს სამკურნალოდ. შოკოლადი არაერთ აფთიაქში იყიდებოდა, როგორც ექიმთაგან რეკომენდებული „ტკბილი წამალი“. მალე შოკოლადი ევროპის საზოგადოებაში ფართო განხილვის საგნად იქცა, მეცნიერები, ექიმები, ენთუზიასტები მას ტრაქტატებს უძღვნდნენ. საეკლესიო წრეებში შოკოლადის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნებოდა. მაგალითად, 1624 წელს ვენის ეპისკოპოსმა იოანემ ფრანცისკანელ ბერებს აუკრძალა შოკოლადის დალევა, როგორც ცოდვიანი და ვნებათა აღმაგზნებელი სასმლისა. ვენის ეპისკოპოსს იმ დროის უმაღლესი სამღვდლოების დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს. თუმცა რომის პაპის ბრძანებულებით მრევლისთვის შოკოლადი ნებადართული იყო. კეთილშობილი წარმომავლობის ქალბატონები თვით ეკლესიაშიც მირთმევდნენ მას. საბოლოოდ სასმელი სამღვდლოებამ ნებადართულად გამოაცხადა.

შოკოლადის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა 1659 წელს. საფრანგეთში კონდიტერმა დაჟიდ შელუმ პირველი შოკოლადის ფაბრიკა გახსნა, შექმნა პირველი მყარი შოკოლადი. ფაბრიკაში სხვადასხვა სახის

შოკოლადიდან წიწკის სანელებლის ამოღება და სასმლის დატკობა ევროპელმა ბერებმა მოიფიქრეს






შოკოლადის წარმოებამ გრძელი გზა განულო, სანამ თანამედროვე სახეს მიიღებდა

ნამცხვრისა და ტორტის მომზადება დაიწყო შოკოლადის შიგთავსით. თუმცა შოკოლადი კვლავ ექსკლუზიურ და ძვირად ღირებულ პროდუქტად რჩებოდა.

1671 წელს კი ბელგიაში საფრანგეთის ელჩმა, ჰერცოგმა პლესი-პრალინმა პირველად შექმნა ტკბილი დესერტი „პრალინე“ — შოკოლადით, ნუშითა და კაკლის შიგთავსით, დაშაქრული თაფლითა და კარამელით.

XVIII საუკუნეში, მრეწველობის განვითარებასთან ერთად, შოკოლადი უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი გახდა, დაეცა მისი ფასიც, რეცეპტებში დაემატა: რძე, სხვადასხვა სახელებელი, ღვინო და ლუდიც კი. თუ მანამდე შოკოლადი ზრდასრულთა სასმელად მიიჩნეოდა, თანდათან ბავშვების საყვარელ სასმელად გადაიქცა. რძე შოკოლადს 1700 წელს პირველად ინგლისელებმა დაუმატეს. ცხელი შოკოლადი საკმაოდ მაგარი სასმელი იყო, რძის დამატებით კი იგი შედარებით მსუბუქ და ბავშვებისთვის სასურველ სასმელად იქცა.

1728 წელს ბრიტანეთში ფრეის ოჯახმა ქალაქ ბრისტოლში მსოფლიოში პირველი მექანიზებული ქარხანა გახსნა. დასაბამი მიეცა შოკოლადის ინტენსიურ წარმოებას, რამაც ფასი შეამცირა. ინგლისში შოკოლადი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. ყავისა და ჩაის სას-



ლების გვერდით გახსნილმა შოკოლადის სახლებმა ყველაზე მეტი კლიენტურა მიიზიდა.

1732 წელს ფრანგმა ხელოსანმა დებუსონმა კაკოს მარცვლების დაქუცმაცებისთვის სპეციალური მექანიზმი შექმნა. შედეგად, შოკოლადის წარმოება უკვე შესაძლებელი იყო არა მხოლოდ მსხვილ ფაბრიკებში. მალე ევროპის პატარ-პატარა ქალაქებში შოკოლადის მცირე საწარმოები გაიხსნა.

1737 წელს კი სამეცნიერო საზოგადოებაში კაკოს ხეს ოფიციალური ლათინური სახელწოდება მიაკუთვნეს: *Theobroma cacao* („კაკო — ღმერთების საკვები“).

1765 წელს, ამჯერად უკვე გავრცობილი, შოკოლადი ამერიკაში ბრუნდება. ინგლისის რწმუნებულმა ჩრდილოეთამერიკულ ბრიტანულ კოლონიებში ჯონ ჰანონმა ამერიკაში შოკოლადი ჩაიტანა. მოგვიანებით ჯეიმს ბეიკერმა მასაჩუსეტსში პირველი შოკოლადის ფაბრიკა გახსნა.

„მსოფლიოს დამფრთხილი“

XIX-XX საუკუნეები შოკოლადის ისტორიაში რევოლუციური პერიოდია. შოკოლადმა მიიღო კლასიკური სახე. შეიმუშავეს სხვადასხვა სახის შოკოლადის დამზადების ტექნოლოგიები, შეიქმნა უნიკალური ბრენდები. მან მსოფლიო შემოიარა და ყველგან ნომერ პირველი ტბილეულის ადგილი დაიკავა.

1819 წელს შვეიცარიელმა ფრანსუა ლუი კაიემ კაკოს ფხვნილის დაწნობით შოკოლადის ფილა შექმნა. ერთი წლის შემდეგ შოკოლადის ფილების ფაბრიკა აშენდა, თუმცა ის ფილები ერთობ ფხვიერი იყო და თანამედროვე შოკოლადის ფილას ნაკლებად წააგავდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში შოკოლადის წარმოება კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ევროპაში მოთხოვნილება იზრდებოდა და დიდმა თუ მცირე ფაბრიკებმაც წარმოება გააორმაგეს. თუმცა დაეცა ნედლეულის ხარისხი.

ლათინურ ამერიკაში სამხედრო-პოლიტიკურმა მდელვარებებმა ევროპაში კაკოს ექსპორტი გააძნელა. თან ცენტრალური ამერიკის პლანტაციები მრავალსაუკუნოვანი ექსპლუატაციის შედეგად იფიტებოდა. ახალი გზების ძიებისას კაკოთი მოვაჭრეებმა ყურადღება მიაპყრეს სამხრეთ ამერიკაში ეკვადორსა და ბრაზილიას, აზიაში — ინდონეზიას, აფრიკაში — კონგოს, სპილოს ძვლის ნაპირს. იქა-



რეკლამის გარეშე ვერც ერთი ბიზნესი ვერ იმუშავებს

ური ჰავა კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კაკოს პლანტაციებისთვის იდეალურ გარემოს ქმნიდნენ. თუმცა ახალი პლანტაციების გაშენება ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს ითხოვდა.

მიუხედავად პრობლემებისა, 1828 წელს შოკოლადის ისტორიაში გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. პოლანდიელი კონრად ვან ჰაუტენის ტექნოლოგიით მიიღეს თანამედროვე სახის მკვრივი შოკოლადი. მანამდე არსებულ ფხვნილოვან შოკოლადში კაკოს ზეთის დამატებით შოკოლადის მალალი ხარისხით გამკვრივება მოხერხდა.

შოკოლადის ფორმასა და ესთეტიკურ მხარეს ყურადღება გერმანელმა მეფუნთუშე მტოლვერკმა მიაქცია. მან დაიწყო შოკოლადის კანფეტებისა და ფიგურული ფილების დამზადება, რაც ესოდენ ახარებდა ბავშვებს. მრავალი წლის შემდეგ მტოლვერკის ფაბრიკა გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიად გადაიქცა.

1840-იან წლებში იხვეწება ტექნოლოგიური პროცესი და თითქმის მთელი ევროპის მასშტაბით ფაბრიკებში მკვიდრდება შოკოლა-



შოკოლადი ძალიან ბევრი სახის მზადდება, ნებისმიერი გემოვნების საპასუხოდ



დის საერთო-კლასიკური რეცეპტი, რომელიც დღესაც გამოიყენება.

1867 და 1875 წლებში შვეიცარიელმა ჰენრი ნესტლემ მიიღო რძის ფხვნილი, ხოლო მისმა თანამემამულე დანიელ პეტერმა ეს ფხვნილი შოკოლადს დაუმატა. ახალი ტიპის სკვრე რძიან შოკოლადს განსაკუთრებით სასიამოვნო და ნაზი გემო ჰქონდა.

შოკოლადის წარმოების გაფართოებასთან ერთად სამომხმარებლო ბაზარზე გამოჩნდა უხარისხო ნედლეულით დამზადებული, აგრეთვე, ფალსიფიცირებული შოკოლადის პროდუქცია. 1890 წლიდან ვეროპის სახელმწიფოთა მთავრობებმა ყურადღება მიაქციეს ამ პრობლემას. შოკოლადს მრავალ ქვეყანაში უკვე კანონმდებლობა იცავს. მალე კი სხვა სახის სურსათის უსაფრთხოებისთვისაც გატარდა ღონისძიებები.

XX საუკუნეში შოკოლადმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. 1900-იან წლებში კაკაოსა თუ შაქარზე ფასების დაცემამ შოკოლადი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. აზიის, აფრიკისა თუ ცენტრალურ ამერიკის პლანტაციები ნედლეულის ბაზაა. ბელგიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში შოკოლადის წარმოების ინოვაციებით არაერთი მსოფლიო ბრენდი შეიქმნა: Callebaut, Cacao Barry, Neuhaus, Godiva, La Maison du Chocolat, Fauchon, Lindt, Suchard, Sprungli.

1912-1940 წლებში ვეროპის მოწინავე ფაბრიკებში შოკოლადის არაერთი ორიგინალური რეცეპტურა იქმნება, სხვადასხვა გაფორმებით, მოყვანილობით თუ შეთავსებით. 1940-იანი წლებისთვის მსოფლიოში შოკოლადი ყველაზე გავრცელებული და მაღალკალორიული საკვები პროდუქტია. II მსოფლიო ომის შემდგომ კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნილება შოკოლადზე, განსაკუთრებით აზიასა და აფრიკაში.

1980 წლიდან ჩნდება დიეტური შოკოლადი და შოკოლადის დიეტები.

1996 წელს ბელგიურ-ფრანგული კომპანიების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა კონცერნი Barry Callebaut-ი, ის შოკოლადის ერთ-ერთი საუკეთესო დამამზადებელი გახდა.

II ეკლსი მსოფლიოში შოკოლადის დღედა გამოცხადებული (დაწესდა ფრანგების მიერ 1995 წელს).

ტკბილი ცხოვრება ბიზნესი იტალიურად

როგორ აქცია ოპტიმიზმმა
და გამომგონებლობამ მძიმე
ბანსაცდელი დიდ მოგებად



1999 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში ყოველწლიურად \$1 მილიარდზე მეტი ღირებულების შოკოლადის კვერცხი „კინდერ-სიურპრისი“ იყიდება. ვეროპაში უკვე სამი თაობა გაიზარდა, რომელიც დილას ჭიქა ყავითა და „ნუტელას“ ტკბილი კრემით იწყებდა. ყოველდღე მილიონობით ქმარი და მამა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყიდულობს საყვარელი ქალიშვილის „რაფაელოს“ კანფეტების კოლოფს, ბავშვებისთვის კი მაცდუნებელ შოკოლადის კვერცხებს, „კინდერ-სიურპრისს“. ხოლო „ტიკ-ტაკში“ რომ მხოლოდ ორი კალორიაა, ეს იცის ყველამ, ვინც თავის წონას აკონტროლებს... კომპანია „ფერეროს“ მფლობელი, 84 წლის მიკელე ფერერო და მისი ოჯახი, „ფორბსის“ მსოფლიოს უმდიდრესთა რეიტინგში 2011 წელს 32-ე ადგილზე აღმოჩნდა \$18 მილიარდით. ბიზნესიმპერიის ისტორია 1941 წლიდან იწყება, ციციქნა საკონდიტროდან იტალიის პიემონტის ოლქში.

როცა 1979 წელს შოკოლადის კვერცხი „კინდერ-სიურპრისი“ დახლზე პირველად გამოჩნდა, მთელი პარტია ერთ საათში გაიყი-

და. ასე დაიწყო მანია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. არა მარტო ბავშვებმა, არამედ ზრდასრულმა, სერიოზულმა ადამიან-



მიკელე ფერერო



პიეტრო ფერერო



ბრწყინვალე ბიზნესიდეა შოკოლადის ჩხირების შემთხვევით დადნობის შემდეგ დაიბადა

ნებმაც დაიწყო „კინდერ-სიურპრიზის“ სათამაშოების შეგროვება და კოლექციონერობა.

ზოგმა მიბაძვაც სცადა. მაგალითად, ბელგიელმა ყასაბმა ალან ფონტენმა ძეგვ სალიამისგან დააშადა „კინდერ-სიურპრიზი“. მისი აზრით, ძეგვისგან დაშნადებული კვერცხი უფრო დიდა, სასარგებლოც და თანაც იქ უფრო დიდი სათამაშო მოთაესდებოდა... წარმატება არ განმეორებულა.

ასორტიმენტის მრავალფეროვნებით „ფერეროს“ ბადალი არ ჰყავს. ახალი პროდუქტის შექმნას ორი-სამი წელიწადი სჭირდება. ახალმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა, ტრადიციული რეცეპტისა და „შინაურული“ გემოს შენარჩუნებით, შოკოლადის კანფეტების ნაკადური წარმოება. მაგალითად, შოკოლადის ბურთულები თხილის შიგთავსით — „როშე“, კომპანიის ცენტრალური ფაბრიკის კონვეიერდან წუთში 900 ცალი ჩამოდის. „ფერეროს“ 18 ფილიალი ოთხ კონტინენტზე ყოველდღე 25 მილიონზე მეტ „როშეს“ აწარმოებს. იტალიელი კულინარების ერთ-ერთი ბოლო ქმნილება „კინდერ-მერენდერომ“ ლათინური ამერიკის უზარმაზარი ბაზარი უნდა აითვისოს. საქმე ის არის, რომ ჩვეულებრივი „კინდერ-სიურპრიზი“ სიცხეში დნება და მიმზიდველობას კარგავს. ახალ, „სიცხეგამძლე კვერცხს“ კი ასეთი საფრთხე აღარ ემუქრება.



სიცხით დაღუპული, სიცხით გადარჩენილი

პიეტრო ფერერომ 1930 წელს პატარა ქალაქ ალბაში მამისგან მემკვიდრეობით საფუნთუშე მიიღო. მხიარული და დაუდგრომელი ხასიათი მას უფრო სადღესასწაულო საქმიანობისკენ უბიძგებდა და საფუნთუშეც საკონდიტროდ გადაიქცა.

ომის დროს საქმეები კარგად არ მიდიოდა. ძმებთან, პიეტრო და ჯოვანი ფერეროებთან მომხმარებელი უფრო დაცხებილი პურის საყიდლად თუ შეიხედავდა. ნამცხვრებისთვის ფქვილი, შაქარი და კარაქი არ კმაროდა. მაგრამ პიეტრომ მაინც მოახერხა მძიმე დროს თანამოქალაქეების გახარება. ჩამაქრებული თაფლის, კაკაოს ფხვნილისა და ცოტაოდენი ზეთისგან მან ტკბილი ჩხირები დაამზადა, რომელსაც „ჯანდუიო“ უწოდა.

ჩხირებმა სამ წელიწადში მთელი პიემონტი მოხიბლა. პლუსი იყო მუდმივად ცვალებადი გემოც — პიეტრო განუწყვეტლივ ღვაძ-

„სუპერკრემის“ ეს რეკლამა 1963 წლამდეა დამზადებული, სანამ მას „ნუტელას“ უწოდებდნენ



„ფერდოს“
ფაბრიკა
რომის
შემოგარენში

და ექსპერიმენტებს და შემადგენლობას ცვლიდა. ნუგბარისთვის ძმებმა მოიფიქრეს ფოლგის შეფუთვა, რომლის ეტიკეტზეც პიემონტელი გლეხის ქალი ორ მხიარულ ბავშვს ეხვეოდა... მეთხე ზაფხულს, გაუსადლის სიცხეებში საკონდიტროს უბედურება დაატყდა თავს. სადამო ხანს, ფერდოს მეუღლე პიერა საწყობში შევიდა ნამცხვრების მარაგის შესავსებად და დაინახა, რომ აკურატულად დაწყობილი ჩხირების ნაცვლად, ფოლგაში გახვეული ფორმადაკარგული ტკბილეული ეწყო. „ჯანდუიო“ უზარმაზარი პარტია, სადაც ამჯერადაც ოჯახის მთელი მოკრძალებული მოგება იყო დაბანდებული, სიცხისგან გამდნარიყო! პიერა ატირდა... ფერდო, გამოსწორებელი ოპტიმისტი და მხიარული ადამიანი, ძნელად შეეგუებოდა ბედის ასეთ დარტყმას. სიცხემ მისი პროდუქციის ყველაზე დიდი პარტია გაანადგურა, რომელიც ქალაქის დღესასწაულისთვის იყო მომზადებული... პიეტროს თავში გენიალური აზრი მოუვიდა.

ერთი საათის შემდეგ ის უკვე მუშტრებს შოკოლადის ბუტერბროდებით უმასპინძლდებოდა. გამდნარი „ჯანდუიო“ პიეტრომ პურის ნაჭრებს წაუსვა, ის ძალიან გემრიელი და მსუყე აღმოჩნდა. ბავშვებს ხომ ყურების დაგლეჯის მუქარის შიშითაც ვერ აცილებდნენ ახალ ტკბილეულს. პროდუქცია გაიყიდა და მეტი მოგება დატოვა, ვიდრე ჩხირებს უნდა მოეტანა. გამდნარი მასა უამრავ ბუტერბროდს ეყო. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შენიშნა პიერამ მეუღლის თმაში ვერცხლისფერი... ეს იმ წუთების შედეგი იყო, როცა პიეტრო ფიქრობდა, რომ მთელი მისი საქმე დაინგრა... უნდა

ითქვას, რომ მას შემდეგ სიცხეს ფერდოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ყოველ ზაფხულს კომპანია სამი თვით წყვეტს შოკოლადის ფიგურების მიწოდებას, იმის შიშით, რომ მაღაზიები მათ სასაქონლო სახეს ვერ შეუნარჩუნებენ.

ცხელი ამინდისადმი უნდობლობამ სხვა გამოგონებას, კანფეტ „რაფაელოს“ დაუდო საფუძველი. კრემის შიგთავსი ვაფლის გარსში პიეტრო ფერდოს მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. ტკბილეულს ზაფხულის სიცხე ვერაფერს აკლებს. თუმცა ამას ბევრი წვალეა დასჭირდა.

...რამდენიმე გამდნარი შოკოლადის ჩხირი პიეტრომ თავის ლაბორატორიაში წაიღო და დიდხანს სწავლობდა, როგორ უნდა მოეხერხებინა შემთხვევით მიღებული პასტის დამზადება საწარმოში. ეცნობოდა სპეციალურ ლიტერატურას, ცვლიდა შემადგენლობას, ხან კაკაოს ამატებდა, ხანაც ცხიმსა და ვანილს... ნახევარი წლის შემდეგ გაჩნდა „კრემა ჯან-



„ფერდოს“
პირველი
ფაბრიკა
ალბაში



მსოფლიოში უკვე 30 მილიარდზე მეტი შოკოლადის კვერცხია გაყიდული

დელი“, მასში კაკაო ცოტა იყო, იაფიც ღირდა, თუმცა თხილისა და შოკოლადის გემოთი მაინც გამოირჩეოდა. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. 1946 წლის თებერვლისთვის პიეტროს უკვე 6600 გირვანქა კრემი ჰქონდა გაყიდული. მან გადაწყვიტა, ძმასთან ერთად ნამდვილი საოჯახო საწარმო შეექმნა. 1946 წლის 14 თებერვალი კომპანია Ferrero S.p.A.-ს დაბადების დღე გახდა. ერთი თვეში კრემმა მთელი იტალია დაიპყრო. შემოსავალი იზრდებოდა, ფირმა ფართოვდებოდა, პიეტროსა და ჯოვანის გადაწყვეტილი ჰქონდათ, მათი ქმნილება „იტალიის სახედ“ ექციათ და საექსპორტოდ გაეტანათ. კრემმა საზეიმოდ მიიღო ახალი საფაქრო სახელწოდება — „ნუტელა“.

„არბმის კუჩასაც, გონებასაც“

ფერეროთა პირველი თაობა პიეტროს ვაჟმა მიკელემ შეცვალა. ოჯახურ ბიზნესს ის 24 წლის ასაკში ჩაუდგა სათავეში. მიკელეს ბავშვობიდან არ უყვარდა რძე და ამით მშობლებს სისხლს უშრობდა. სწორედ მას მოუვიდა აზრად, სერიულად გამოეშვათ საბავშვო საკონდიტრო ნაწარმი, რომელშიც დიდი რაოდენობით რძე იქნებოდა (42%-მდე).

ასე გაჩნდა „კინდერის“ სერია. მიკელემ ფირმის მართვა სუპერმარკეტების ეპოქაში დაიწყო. მან შენიშნა, როგორ მოიწყენდნენ ხოლმე ბავშვები, სანამ დედა საყიდლებზე მიმოდიოდა. შოკოლადი პრობლემას ვერ მოაგვარებდა, რადგან ბავშვი მას უცებ შესანსლავდა და კვლავაც სატირლად გაეშხადებოდა. საჭირო იყო რაღაც იაფი, ნებისმიერი ჯიბისთვის ხელმისაწვდომი, რაც კარგა ხნით შეიქცევდა ბავშვის პირსაც და გონებასაც. სწორი გადაწყვეტილება ბავშვობის მოგონებებიდან „ადმოცენდა“: იტალიაში აღდგომას მშობლები ხშირად აცხობენ ბავშვებისთვის კვერცხის ფორმის ღვეზელს, რომელშიც პატარა სიურპრიზს დებენ: სათამაშოს, მონეტას. ფერეროებმა გადაწყვიტეს, რაღაც მსგავსი შოკოლად „კინდერის“ სერიიდან დაეშხადებინათ. ორფეიანი შოკოლადის კვერცხის წარმოება ახალ გამოგონებად იქცა, რისთვისაც ფერეროს ოჯახმა მორიგი პატენტი მიიღო. შიგთავსის ყვითელი კაფსულა ნატურალური კვერცხის გულის ზომისაა, ხოლო შესაფერის სათამაშოებს, რომლებიც ბავშვსაც გაართობდნენ და პატარა ზომაც ექნებოდათ, დიდი შემოქმედებითი გუნდი არჩევდა...

2008 წელს ფერეროების ფირმის წლიური ბრუნვა \$8,4 მილიარდი იყო. ის ამჟამად მსოფლიოში მესამე კომპანიაა შოკოლადის გიგანტების, „ნესტლესა“ და „მარისს“ შემდეგ. მიკელე ფერერო კი იტალიაში უმდიდრესი ადამიანია. საოჯახო საქმეს ბოლო დროს მისი შვილები, პიეტრო და ჯოვანი მართავენ, ისინი გენერალური დირექტორის ერთსა და იმავე თანამდებობას იყოფდნენ. პიეტროს ბიზნესის განახლების დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ წლეულს აპრილში მოულოდნელად დაიღუპა სამხრეთ აფრიკაში, ველოსიპედით სეირნობისას. მიკელეს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს მიუცია ინტერვიუ, ღუმილი არც ამჯერად დაურღვევია. დღესაც, „ფერერო გრუპის“ ყველა აქცია ფერეროების ოჯახის საკუთრებად რჩება...

მოაშადა ემა ტუხიაშვილი



„ისტორიანი“

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, პიროვნებები, მოვლენები-ახალი კუთხით!



თოქოუს ავტორი და წამყვანი ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაბუღადებული თემები არ არსებობს!



უსვინათ!

FM 103.9

www.palitratv.ge

უყურათ!



ყოველ სამუშაოს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე



ვერდენის ბრძოლა

მსოფლიოში ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი სამხედრო დაპირისპირებები

მსოფლიო ისტორია ბევრ დიდ ბრძოლას იცნობს, თუმცა მათ შორისაც არის გამორჩეულად გრანდიოზული და სისხლისმღვრელი სამხედრო დაპირისპირებები. ასეთია კატეგორიას განეკუთვნება პირველი მსოფლიო ომის დასავლეთ ფრონტზე, საფრანგეთისა და გერმანიის არმიებს შორის გამართული ვერდენის ბრძოლა (1916 წლის 21 თებერვალი – 18 დეკემბერი), რომელსაც ხშირად „ვერდენის ხორცსაკეპსა“ და „ვერდენის სასაკლავოს“ უწოდებენ. ამასთან, ერთად ეს სამხედრო დაპირისპირება ფრანგული არმიის გაუტყუელობის მაგალითია. ინგლისელმა სამხედრო ისტორიკოსმა, გენერალ-მაიორმა ჯულიან თომპსონმა ვერდენი „ფრანგთა სტალინგრადად“ მონათლა, ხოლო რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს, როცა თბილისს რუსული მე-11 წითელი არმია უტევდა, გაისმოდა მოწოდებები, რომ თბილისი გაზღებოდა მეორე ვერდენი და მტერი ქალაქში ვერ შემოაღწევდა...

შლიფენის გეგმის ჩაყარვის შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა გერმანული არმიის მიერ საფრანგეთის ცხრა კვირის განმავლობაში დაპყრობას, პირველი მსოფლიო ომის დასავლეთ ფრონტზე ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღო. ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა გადაწყვეტი უპირატესობის მოპოვე-

ბას. მსოფლიო ომის მეორე წელს იტალია სამთა კავშირს გამოეყო და ანტანტის მხარეს გადავიდა. მოკავშირის ჩამოცილებასთან ერთად, გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური რესურსები არ იყო საკმარისი ხანგრძლივი ბრძოლის წარსამართავად. მათ მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა დაესრულებინათ ომი. ამი-

ტომ გერმანულმა სარდლობამ გენერალური შტაბის უფროსის, ერის ფონ ფალკენჰაინის მეთაურობით შეიმუშავა საბრძოლო გეგმა, რომლის მიხედვითაც გერმანულ არმიას 1916 წლის თებერვალში უნდა შეეცა და ვერდენის გამაგრებულ რაიონში ფრონტის ვიწრო მონაკვეთი უნდა გაერღვია. ის პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით 300 კილომეტრზე მდებარეობდა. ვერდენს ფრანგთა თავდაცვისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მისი დაცემით მოიშლებოდა დასავლეთის ფრონტის ფრანგთა თავდაცვის მთელი სექტორი, აქედან გამომდინარე, გერმანული სარდლობა მიიჩნევდა, რომ წარმატების შემთხვევაში პარიზისკენ გზა გაიხსნებოდა.

რას წარმოადგენდა ვერდენის გამაგრებული რაიონი? იგი შედგებოდა ციხე-ქალაქ ვერდენის წინ მდებარე გამაგრებული პოზიციებისგან. სულ იყო თავდაცვის ოთხი ზღუდე, აქედან პირველი სამი საველე ტიპის, ხოლო მეოთხე, ყველაზე ძლიერი — კარგად გამაგრებული ფორტებისგან შედგებოდა. სულ რაიონი მოიცავდა 20 დიდ ფორტსა და 40-მდე საშუალო სიდიდის საფორტიფიკაციო ნაგებობას. უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფორტები იყო დუომონი (Douaumont) და ვო (Vaux). თავდაცვის პირველი ხაზი ამ ფორტებისგან 5-7 კილომეტრით იყო დაშორებული. გამაგრებულ რაიონს თითქმის შუაზე კვეთდა მდინარე მაასი და ორ მონაკვეთად ჰყოფდა. აქედან უფრო დიდი მნიშვნელობა მარჯვენა სანაპიროს ჰქონდა. სწორედ ამ მხარეს უტყვედნენ უმთავრესად გერმანელები. ფრანგული სარდლობა მიიჩნევდა, რომ გერმანელები მთავარ შეტევას შამპანის მიმართულებით მოაწყობდნენ და ვერდენთან ბრძოლებს მნიშვნელოვანი ხასიათი არ ექნებოდა, ამიტომ ბრძოლის წინ გამაგრებულ რაიონს იცავდა ფრანგთა ცუდად დაკომპლექტებული მესამე არმია. მაასის მარჯვენა სანაპიროზე იდგა ექვსი ფრანგული ქვეითი დივიზია, მარცხენაზე — ორი, ხოლო რეზერვში — ორი ქვეითი დივიზია. ფრანგებს ჰქონდათ 632 საარტილერიო დანადგარი, აქედან 244 მძიმე ქვეითი. გერმანელები მიიჩნევდნენ, რომ ძლიერი არტილერიისა და გარღვევის ვიწრო მონაკვეთზე ძალთა მაქსიმალური მობილიზებით წარმატებას მიაღწევდნენ. მათ მაქსიმალური შენიღბვით გადაისროლეს ძალები ვერდენისკენ. გერმანულმა სარდლობამ თავის არმიებს უბრძანა, მცირე ოპერაციები ჩაეტარებინათ ფრონტის



ვერდენი



ფორტ დუომონის აეროფოტოსურათი



ჯარისკაცი ვერდენიდან



კრონპრინცი
ვილჰელმი



მარშალი
პეტენი

გერმანელები
უტყვენ მორტ-პომს



თავიანთ მონაკვეთებზე, რათა ფრანგებს ვერ ამოეცნოთ, სად ამზადებდა გერმანული არმია მთავარ დარტყმას.

ბრძოლის წინ მათ ვერდენთან თავი მოუყარეს მებუთე არმიის (სარდალი კრონპრინცი ვილჰელმი) ექვს საარმიო კორპუსს (სხვადასხვა მონაცემით, 12-15 ქვეითი დივიზია), 1204 საარტილერიო დანადგარსა (654 მძიმე და 29 ზემდომე ქვემეხი) და 202 ნაღმსატყორცნს. ზემდომე ქვემეხებს შორის სიძლიერით გამოირჩეოდა 420 მმ-იანი ქვემეხი „დიდი ბერტა“, რომელიც 930-კილოგრამიან ჭურვს 14 კილომეტრის მანძილზე ისროდა და დაცემის ადგილას 8-13 მეტრის დიამეტრისა და 2,5-6 მეტრის სიღრმის ღრმულს აჩენდა. გერმანელთა მებუთე არმიას საჰაერო დახმარებას უწევდა 147 სადაზვერვო და 21 გამანადგურებელი თვითმფრინავი, ასევე 14 აეროსტატი. მათი ფუნქცია ძირითადად მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვასა და არტილერიისთვის მოწინააღმდეგის ზუსტი კოორდინატების მიწოდებაში გამოიხატებოდა. გერმანული სარდლობა ბრძოლის დაწყებას 12 თებერვალს გეგმავედა, მაგრამ თოვლისა და ქარიშხლის გამო ოპერაციის დაწყება გადაიდო.

გერმანელებმა მდინარე მაასის მარჯვენა სანაპიროზე, გარღვევის 8,5-კილომეტრიან მონაკვეთზე, თავი მოუყარეს 6,5 სრულად დაკომპლექტებულ დივიზიას (150 ათასი ჯარისკაცი) ფრანგთა ორი დივიზიის (30 ათასი ჯა-

რისკაცი) წინააღმდეგ. 21 თებერვალს, დილის 7:15 საათზე გერმანული არტილერიის ზალ-პმა ვერდენის მიდამოები შეაზანზარა. ფრანგული პირველი და მეორე პოზიციების დაბომბვა ცხრა საათს გრძელდებოდა და თითქმის მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. 16:15 საათზე გერმანელი ქვეითები შეტევაზე გადავიდნენ. მათ პირველზე დღესვე შეძლეს ფრანგთა პირველი პოზიციის აღება, ხოლო 25 თებერვალს აიღეს ფორტი დუომონი. ამ ბრძოლებში ფერდში დაიჭრა და ტყვედ ჩაყარდა იმ დროისთვის 33-ე ქვეითი პოლკის ოფიცერი, შემდეგში ცნობილი ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე შარლ დე გოლი. ფრანგებმა ვერდენისკენ გადაისროლეს გენერალ (შემდეგში მარშალ) ანრი პეტენის მეორე არმია. საინტერესოა თვით მარშალ ანრი პეტენის ცხოვრება. პირველი მსოფლიო ომის გმირი მეორე მსოფლიო ომის დროს სათავეში ედგა ნაცისტებთან დაახლოებულ ვიშის მთავრობას. ომის შემდეგ იგი კოლაბორაციონიზმში დაადანაშაულეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც შემდგომ სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

ფრანგები ზურგიდან ახალი ძალების გადასროლას ფრონტისკენ ბარ-ლე-დიუკისა და ვერდენს შორის არსებული 65-კილომეტრიანი საავტომობილო მაგისტრალით ახერხებდნენ. მხოლოდ 22 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით ამ გზით ფრონტზე გადაისროლეს 190 ათასი ჯარისკაცი და 22500 ტონა საბრძოლო მასალა. ფრანგებმა ამ საავტომობილო მაგისტრალს მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო „წმინდა გზა“ უწოდეს. ფორტ დუომონის აღების შემდეგ გერმანელები წინსვლას ვეღარ ახერხებდნენ — მათ ამაში ხელს უშლიდა ფრანგთა ახალი ძალების შეუპოვარი წინააღმდეგობა და მდინარე მასის მარცხენა სანაპიროდან გახსნილი ფრანგული არტილერიის ფლანგური ცეცხლი. გერმანელებმა გადაწყვიტეს, ფრანგთა მარცხენა ფლანგისთვის შეეტიათ და 6 მარტს ფრონტის ამ მონაკვეთზეც გადავიდნენ იერიშზე. მათ მიზანს წარმოადგენდა, აეღოთ მორტ-ჰომისა და №304 სიმაღლე, რაც მხოლოდ ორთვიანი მძიმე ბრძოლების შედეგად შეძლეს.

პირველ მაისს პეტენი მეორე არმიის სარდლის თანამდებობაზე რობერ ჟორჟ ნიველმა ჩაანაცვლა. 22 მაისს, ახალი სარდლის მეთაურობით ფრანგები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და დუომონი დაიბრუნეს, თუმცა მისი შენარ-



ფრანგთა „წმინდა გზა“



სანერები ბრძოლების შემდეგ



ჩუნება მხოლოდ სამი დღით შეძლეს. იმავედროულად, სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა გერმანელთა იერიში დუომონის სამხრეთით მდებარე ფორტ ვოზე, რომელიც საბოლოოდ 6 ივნისს დაეცა. გერმანელები ვოს ბოლო შტურმის უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ყოველდღიურად 150 ათას საარტილერიო ჭურვს ესროდნენ. ფორტის დაცემის შემდეგ გერმანელებმა თავდაცვის ბოლო ზღუდის უკანასკნელ ფორტებს: ტიომონს, ფლორს, სუვილსა და ტაუნს შეუტყეს. ერთმანეთს ენაცვლებოდა გერმანელთა შეტევები და ფრანგთა კონტრშეტევები. 24 ივნისს დაეცა ტიომონი და ფლორი, თუმცა დანარჩენი ფორტების აღება გერმანელებმა ვეღარ შეძლეს.

ამავე პერიოდში, პირველ ივლისს ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიწყეს სტრატეგი-



ვერდენის ბრძოლაში დაღუპულთა სამსო სასაფლაო



ული ოპერაცია სომასთან, რამაც დაასუსტა გერმანელთა ძალები ვერდენთან. რუსეთის წარმატებული შეტევის შედეგად (ბრუსილოვის გარღვევა, 1916 წლის 4 ივნისი – 13 აგვისტო) მძიმე დღეში ჩავარდა გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი. ივლისსა და აგვისტოში მათ ვერც ერთი ნაბიჯით ვერ შეძლეს წინ წაწევა. 27 აგვისტოს ანტანტის მხარეზე გადავიდა რუმინეთი. სექტემბერში გერმანელთა შეტევები ვერდენთან შეჩერდა, ხოლო ოქტომბრიდან ფრანგები გადავიდნენ კონტრშეტევაზე. გენერალ ნიველის ბრძანებით, კონტრშეტევის წინ ფრანგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს არტილერიის გაძლიერებას, ამისთვის მათ სარკინიგზო ემელონებზე დააყენეს 400 მმ-იანი ზემძიმე ქვეშეხები. ფრანგთა კონტრშეტევა წარმატებული გამოდგა. მათ ოქტომბერსა და ნოემბერში მოწინააღმდეგე დაკავებული ფორტებიდან განდევნეს.

საბოლოო შეტევა ფრანგთა მხარე არამა 15 დეკემბერს დაიწყო და გერმანულ ნაწილებს თითქმის 21 თებერვლამდე არსებულ პოზიციებზე დაახვეინა. ბრძოლის უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში (15-18 დეკემბერი) ფრანგებმა ტყვედ აიყვანეს 11387 გერმანელი ჯარისკაცი და ხელთ ჩაიგდეს 115 ქვეშეხები. ათთვიან ბრძოლაში სულ 300 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო დაჭრილების ჩათვლით ამ რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია. მთელი ბრძოლის განმავლობაში გაისროლეს 40 მილიონამდე საარტილერიო ჭურვი, მხარეები აქტიურად იყენებდნენ ქლორის გაზსა და ცეცხლისმფრქვევლებს. იყო მომენტი, როცა ბრძოლა ათი დღე-ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ბრძოლაში ჩაბმული დივიზიები ხუთ დღეს არ იცვლებოდნენ. დივიზიების საბრძოლო დანაკარგი ხშირ შემთხვევაში მთელი პირადი შემადგენლობის 70-100%-ს შეადგენდა.

ვერდენის ბრძოლა ფრანგთა ტაქტიკური გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგაც სტრატეგიული ინიციატივა ანტანტის მხარეზე გადავიდა და დააჩქარა გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური დამარცხება პირველ მსოფლიო ომში.

ვერდენის გმირული ეპოპეა მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი დაპირისპირება, ამასთანავე, სიმბოლო ფრანგთა შეუპოვრობისა და გაუტყულობისა.

დიმიტრი სილაძე

„მთავარია, კაცი იყო!“

ბიბა
ლორთქიფანიძე:

ბინლა, კილევ
ლაკლბა, კილევ
ბაღაპილო, ესე იბი,
არ მაქვს სიბერის
ბანცლა...



გიგა ლორთქიფანიძეს იუმორი არ ღალატობს და მიუხედავად საკმაოდ მძიმე ცხოვრებისა, ბედს არ ემდურის... ცხოვრება ხუმრობით სამად დაყო: ახალგაზრდობა, შუახანი და „რა კარგად გამოიყურებით“... ეს ბოლო ქათინაური ძალიან ხშირად ესმის და ეცინება, ალბათ გულში ფიქრობენ: რა კარგია, რომ კიდევ ცოცხალი ხართო... ახლა მესამე ეტაპზე ვარ და ყველა მეუბნება, რა კარგად გამოიყურებითო, — იღიმება...

— ჩემი ბავშვობა უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. გარშემო ყველა დამიპატიმრეს... მამაც. მერე დახვრიტეს... ეგენი მიქელაძე ბიბა იყო ჩემი, ისიც დახვრიტეს.

ყველაზე მძიმე მოსაგონარი ჩემთვის ესაა: როცა გარშემო ყველა დააპატიმრეს, მამას უთქვამს დედაჩემისთვის, — მე ამათ ციხეში ვერ ჩავჯდებიო და წასულა. ხან შუა აზიაში იმაღებოდა, ხან აზერბაიჯანში, ხან მოსკოვში...

1938 წელს ტრავმის შემდეგ ფეხი მომკვეთეს. საავადმყოფოში ვიწექი. სათუოდ იყო ჩემი საქმე, ეგრეთ წოდებული ჰაეროვანი განგრენა დამემართა. პროფესორი ჭეიშვილი მადგა თავს პალატაში. ამ დროს გაიღო კარი. მამაჩემი შემოვიდა... დედა მისკენ გაქანდა: — ახლავე წადიო... ვაითუ, ვინმეს ეცნო და მთავრობისთვის შეეტყობინებინა. მამა მოვიდა, საწოლზე ჩამომიჯდა, საბანი გადამხადა და ამპუტირებულ ფეხზე მაკოცა... მითხრა: მთავარია, კაცი იყო! დედამ ძლივს გააგდო. ფანჯრის ახლოს ვიწექი და იქიდან დავინახე, ქუჩაში შავი „ემდინი“ იდგა... მამა ძალით შეტენეს მანქანაში. ათ წუთში ჩეკის-

ტები დაგვადგენ თავს. დედას ჰკითხეს, — თქვენი მეუღლე იყო აქო? არაო... ერთი მე ჩამომიჯდა.

— ბიჭიკო, მამამენი იყო აქ? — მკითხა.

პროფესორი ჭეიშვილი მიუბრუნდა: — გთხოვთ, ბავშვს თავი დაანებოთ. კრიზისულ მდგომარეობაშია. აქ უცხო არაუინ ყოფილაო.

ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ. დედა რომ ეცა მადლობის გადასახდელად, არაუითარი მადლობაო... მაინც დაიტოვა სათქმელი — არაფერი დამინახავსო. ეს იმ დროს გმირობა იყო.

ჩემი და, მარიკა ჩემზე ხუთი წლით უფროსია.

ომის დროა. მარიკა დაბადების დღეზე იყო და შინ გვიან ბრუნდებოდა. დახვდნენ... ყაჩაღობა იყო, პალტოს ხდიდნენ, აბა, ფული ვის ჰქონდა!.. დაიწყო მარიკამ გახდა. უცებ გაიგონა, ერთი ეუბნება მეორეს, — ეს გიგას და არ არისო!? ეტყობა, ან ჩემი კლასელი იყო, ან ვიღაც ვერეული ბიჭი, რომელიც მიცნობდა. გამოუშვეს. მოვარდა შინ მარიკა — მოგკლავ, ეს რა ხალხში გაქვს საქმეო...



„მარიკაზე დიდი ავტორიტეტი დღემდე არავენ მყავს. ყველაზე მეტად მისი აზრი მაინტერესებს“

არაფერი საქმე არ მქონდა, მაგრამ მიცნობდნენ და რა ვქნა!

ხულიგანი და ჩხუბისთავი ვიყავი და ისე აეწყო ჩემი საქმე, ბოლო ხანს სკოლაშიც აღარ დავდიოდი. შინ ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ეს მარიკას დამსახურებაა. ერთხელ, როცა დედაჩემი ჩემ გამო დაიბარეს სკოლაში, ერთ მასწავლებელს უთქვამს მეორისთვის, — ეს მარიკასა და გიგას დედააო. იმას გაჰკვირვებია: — ორივესიო? ორივესი, ბატონოო... მაშაც ერთი ჰყავთო?!

მარიკაზე დიდი ავტორიტეტი დღემდე არავენ მყავს. რამეს რომ ვაკეთებ, ყველაზე მეტად მისი აზრი მაინტერესებს.

15 წლის ვიყავი, როცა გავიგე, მარიკა თხოვდებოდა და გადავწყვიტე, სასიძო მომეკლა... მერე კი ვგიჟდებოდი სიძეზე, ისე მიყვარდა...

დედა მიქელადის ქალი მყავდა, გუვერნანტების გაზრდილი თავადის ქალი. ნინო ერქვა. მამასაც შეძლებული ოჯახი ჰქონდა... დედამ, მართო რომ დარჩა, ძაფსახვევ საამქროში დაიწყო მუშაობა. იმდენი შეძლო,

სკოლაც დაგვამთავრებინა და უმაღლესიც...

როცა მოსკოვში ვსწავლობდი, დედა ყოველთვე მიგზავნიდა 600 მანეთს და ამანათს: ტყემალს, ხმელ ხილს... 600 მანეთით მაშინ ორჯერ თუ ჭამდი ხარჩოს... ჰა და ჰა, ყველსა და პურზე გყოფნოდა...

მესამე კურსზე რომ გადავედი, კლუბებში დავიწყე რეჟისორად მუშაობა. ფული გამიჩნდა და ჩემი პირველი კაცური საქციელი ის იყო, რომ დედას მივწერე, — ფული აღარ გამომიგზავნო, ჩემს თავს თვითონ ვინახავ-მეთქი. მოსკოვამდე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ტოვსტონოგოვი მასწავლიდა. ჩემი კურსელები იყვნენ მიხეილ თუმანიშვილი, აკაკი დვალისძე, ასევე გამსახურდია... ტოვსტონოგოვმა ისე გაგვიტაცა, რომ მოსკოვში წასვლა გადამაწყვეტინა. იქ ალექსეი პოპოვისა და მარია კნებელის ჯგუფში ვსწავლობდი.

ვცხოვრობდი რიაზინის ქუჩაზე, წითელ მოედანთან, ქართველების საერთო საცხოვრებელში. ერთ ოთახში ვბინადრობდით თენგიზ აბულაძე, რუზო ჩხეიძე, სულხან ცინცაძე და მე...

პელმენს თუ ვიშოვიდით მშიერ მოსკოვში, იმ დღეს ბედნიერები ვიყავით.

ერთ დროს ვცხოვრობდით მოსკოვში და



„...ეს რა ხალხში ვაქვს საქმეო. არაფერი საქმე არ მქონდა, მაგრამ მიცნობდნენ და რა ვქნა!“

ვმეგობრობდით: რეზო თაბუკაშვილი, გურამ ასათიანი, გიზი ამირეჯიბი, თამაზ მელიავა, ვახტანგ ფიფია... გოგი და ირაკლი ოჩიაურებს ბიძა გარდაეცვალათ ციმბირში, გადასახლებაში. ჩამოვიდნენ. ნეშტი უნდა წაესვენებინათ. უთხრეს, კუბო მოსკოვში იყიდეთ, თორემ ციმბირში ვერ იშვითო. იყიდეს. ერთადერთს — თამაზ მელიავას ჰქონდა ოთახი, იმ კუბოზე ცოტათი დიდი იყო... დადგეს იქ. ოჩიაურების გამგზავრება გაჯანჯლდა. ამასობაში, ისე შევეჩვიეთ კუბოს, ზედ სუფრას ვწვდიდით.

გია დანელია მოგვიანებით შემოგვიერთდა... თამაზ მელიავამ მოიყვანა ჩვენთან. თავიდან ძალიან სხვანაირი იყო — სუფთა მოსკოველი, „დედიკოს ბიჭი“. არც სვამდა... ჩვენ გავაფუჭეთ... უცებ აუღო ალღო და გაქართველდა...

სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისში სპექტაკლის დადგმისა მეშინოდა. სადიპლომო ვილნიუსის რუსულ თეატრში დავდგი. ერთ წელიწადს დავყავი იქ. ამავე დროს, კაუნასის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში ვმუშაობდი... თან სულ შეგვარებული ვიყავი...

ერთხელ, მოსკოვში საქმეზე ჩასულს მიმაკვესელაუა შემხვდა. მითხრა, თბილისში პედაგოგად წამოდიო... დავთანხმდი. თან გორში გამამწესეს რეჟისორად...

1951 წელი იყო. ინსტიტუტში მქონდა გაკვეთილი. ტელეფონთან დამიძახა ქალბატონმა გოგუცამ — თანამშრომელმა. დედა მირუკავდა: ვახტანგი და თინიკო (ეგგენი მიქელაძის შვილები) წაიყვანესო. მაშინ იმ ბავშვებსაც ასახლებდნენ, ვისაც მშობელი დაპატიმრებული ჰყავდა, თან ნათესავეები უცხოეთში ცხოვრობდნენ. დედამ მითხრა: — ნათელუდის სადგურში არიან და რაღაცის მიტანა და გადაცემა შეიძლებაო. ქალბატონი გოგუცა ურთიერთდამხმარე სალაროსაც განაგებდა. ვთხოვე ფული. 3.000 მანეთი გამომიტანა. წავიდი ნათელუდში. ბავშვები სატვირთო ვაგონებში შეყვარაო. თინა და ვახტანგი ძალიან პატარები იყვნენ. წასაყვანად რომ მისულან, თინას უტირია, — ვერ წამოვალ, საკონტროლო მაქვსო... ვყვირი სახელებს. უცებ საქონლის თავის გამოსაყოფიდან ვახტანგს ვხედავ. მანიშნებს, — ჩუმადო. ხომ არ გაგიჟდა ეს ბავშვი-მეთქი. იმან: ნუ ყვირი, თინიკო ტიროდა და ახლა ჩაეძინაო. უკვე კაცი იყო! მივაწოდე ფული. აიღო. ყველაზე შემხარავი ის იყო, რომ ვეღარ ვუძლებდით ამ საშინელების ყურებას!



არტოს ბაღში, 1952 წ.

მატარებელი რომ დაიძრა, ატყდა ყვირილი, ტირილი, ხალხი პალტოებს იხდიდა, ვაგონში ტენიდა. წაიყვანეს ყახახეთში. დაბრუნდნენ.

„სოფრემენიკში“ ვდგამდი სპექტაკლს. ამ დროს ვახტანგი ვგიკ-ში აბარებდა მისაღებ გამოცდებს. ყოველი გამოცდის მერე შემოვიღოდა, ხელით დამანახვებდა — ხუთიანი მივიღეო. შევიღოდიო რესტორანში, აღვნიშნავდიო. ერთხელ შემოვიდა გამაჰვებული — მშობლების გამო არ მიმიღეს, სტაჟი მომთხოვესო. წავიდი ვგიკ-ში. დამხვდნენ ელდარი და თამაზი — ბოლო კურსზე იყვნენ: — არ შეხვიდე, ისეთი მხეცი კომუნისტია, არ გაგიკარებსო. მაინც შევედი. რაც შენ გიამბე, მასაც მოვუყევი. ცრემლი მოადგა. ხმას ვერ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეუბნებოდნენ, ლიმიტი არ გვაქვსო, მაინც ჩაარიცხვინა.

თბილისი ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში გაყოფილი იყო რუსთაველულებად და მარჯანიშვილულებად. მე თავიდანვე მარჯანიშვილელი ვიყავი. რამხელა ბედნიერება



რეპეტიციაზე

იყო, რომ იქ მიმიწვია ვახტანგ ტაბლიაშვილმა სპექტაკლის დასადგმელად. დავიწყე კარლო გორდონის „სასტუმროს დიასახლისზე“ ფიქრი... გაანაწილე როლებიო. საუკეთესო მსახიობები ჩამოვწერე. ამათ მე ვინ მომცემს, მაგრამ იყოს ასე, რომ მიხვდნენ, როგორ სახეებზე ვფიქრობ-მეთქი. დაამტკიცეს. გოგნებული დავრჩი.

ტიტანებთან მოხვდი.

ბედს ვერ დავემდურები...

1954 წელს კულტურის სამინისტრომ შემომთავაზა ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორობა. 26 წლის ვიყავი. კოლეგიის სხდომაზე, სადაც უნდა დავემტკიცებინე, შემოვიდნენ შალვა ღამბაშიძე, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, პიერ კობახიძე და სესილია თაყაიშვილი. შალვა ღამბაშიძემ დაიწყო: — ვიცი, ამტკიცებთ, მაგრამ ადრეა მაგისტვის,

რეპეტიციის წინ...



იყოს ჩვენთანო. სიყვარულით თქვა ეს. ცრემლი მომადგა თვალზე.

სალამოს მატარებლით უნდა წავსულიყავი. სტუდენტები მაცილებდნენ. უცებ შალვა ღამბაშიძე და ჟორა შავგულიძე გამოჩნდნენ. რესტორანში სუფრა გაეშალათ... ამ ორმა დიდმა კაცმა გამაცილათ.

რუსთავის თეატრში ნაწყენი წავედი?

მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი ვიყავი. დასი ფანტასტიკური იყო... მაგრამ თაობებს შორის განხეთქილება მოხდა. ახალ თაობას — ოთარ მეღვინეთუხუცესს, გივი ბერიკაშვილს, თენგიზ არჩვაძეს, ლეილა შოთაძეს, ქეთინო კიკნაძეს, ნოდარ მაგალობლიშვილს, რეზო ხობუასა და სხვებს უფროსები დაუპირისპირდნენ... უფრო შუა თაობა. მე ახალგაზრდებს ვუჭერდი მხარს. ვთქვი, უფროსი თაობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს თეატრიდან-მეთქი. წავედით ჩვენ — 27 კაცი. რუსთავში დიდი წარმატება გვქონდა... მერე ეღუარდ შევარდნამემ დამიბარა — დაბრუნდიო... 11 კაცის უკან წამოყვანა მოვითხოვე. ნება დამრთეს...

სასწაული იყო, როცა ჩემმა უბნელმა, ნოდარ ღუმბაძემ „მე ბებია, ილიკო და ილარიონის“ (მაშინ „სოფლელი ბიჭი“ ერქვა) ხელნაწერი მომცა. მთელი ღამე ვკითხულობდი. ხან ვზარზარებდი, ხან ვვიროდი. ქეთინო ცოლად ახალი მოყვანილი მყავდა. იმან და დედაჩემმა იფიქრეს, გაგიჟდაო... გადავწყვიტე, დამედგა სპექტაკლი. მისი ყველა ნაწარმოები მაქვს დადგმული... ჩემი მწერალი ვიპოვე!

ასევე მომცა ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხიას“ ხელნაწერი...

ბავშვობაში ვიცოდი, რომ ის და მუსტაფა შელია მეგობრობდნენ. მუსტაფა ჩვენი ნათესავი იყო. მახსოვს, მე და დედა მოვდივართ ზემელზე. მუსტაფა დგას ხალხში და აგინებს მთავრობას. დედამ დაუძახა: — ამას ნუ აკეთებ, დაგიჭერენო! ნინა დეიდა, ნუ გეშინია, რომც დამიჭირონ, დახვრეტას ვერ მოასწრებენ, დამთავრებულია ამათი საქმეო...

დავითაშვილის ქუჩაზე მიაგნეს. მოკლეს... მეორე დღეს ბიჭები წაუედით. სისხლის კვალი ვნახეთ...

კინოფილმმა „დათა თუთაშხიამ“ მომიტანა პოპულარობა... დღეს მაგით უფრო მიცნობენ. მაგრამ კინოს მთელი ცხოვრება მიაქვს...

პოლიტიკაში რა მინდოდა? პოლიტიკას ჩემთვის თანამდებობა არ მოუცია და კეთილდღეობა... ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო საქართველო და მისი კულტურა.

შევარდნაძის დროს ორჯერ ვიყავი პარლამენტის წევრი. აკაკი ასათიანი ამბობდა: მიკვირს, გიგაზე რომ ამბობენ, შევარდნაძის კაციაო. არ მინახავს, ამდენი ვინმეს ეჩხუბოს ეღუარდთანო. მართლა სშირად ვიყავით დაპირისპირებული, თუმცა უდიდეს პატივს ვცემ. ურთულეს პერიოდში ჩამოვიდა საქართველოში. მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც მოსკოვში ჩავიდა და სთხოვა საქართველოში დაბრუნება. ბოლოს გვეთხრა მე და პეტრე ჩხეიძეს, — საქართველოში ჩამოსვლა ჩემი პოლიტიკური თვითმკვლელობაა, მაგრამ მეტი გზა არ არისო...

კაცურად წავიდა... ესეც ხომ ღირსებაა.

80 წელი რომ შემისრულდა, სადამოს გაემართავთო, — მითხრეს. არ მინდოდა. სამი სპექტაკლი გადიოდა თბილისში — „ლამანჩელი“, „წათეს წითელი წაღები“ და „ქეთო და კოტე“. ამ სპექტაკლებით აღვნიშნე 80 წელი. თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ვიყავი, გამიშვეს — 40 წლის მერე ბუჩქი აღარ გვინდა ტყეშიო...

ბრწყინვალე ოჯახი მაქვს, შვილითაშვილს ველოდები უკვე. სულ მინდა, კიდევ დავდგა, კიდევ გადავიღო, ესე იგი, არ მაქვს სიბერის განცდა...

სულ გოგოები მყავდა. ძლივს გაჩნდა პატარა გიგა — ჩემი უმცროსი ქალიშვილის ვაჟი. ჩემმა სიძემ და ქალიშვილმა დიდი საჩუქარიც მომიძღვნეს: იუსტიციის სამინისტროდან მომიტანეს ქაღალდი, რომ გიგა — ლორთქიფანიძეა... რომ ეკითხებიან, რა გქვიაო, — ბატონი გიგაო — როგორც ესმის, ისე.



რამდენიმე წლის წინ გულმა შემაწუხა... გამიორკვა, თურმე ორი ინფარქტი მქონია გადატანილი ფეხზე მდგომს. ახლაც მაწუხებს გული. არ ვუშინდები. დროც არის...

ისე, მშინარა არ ვარ, გაბედული ვარ. ხელისუფლებასთანაც ყოველთვის გაბედული ვიყავი. მწუხრისა სხვა რა ვთქვა... მგონი, ვთქვი ყველაფერი...

ლელა ჰიჩაშვილი

სულ გოგოები მყავდა. ძლივს გაჩნდა პატარა გიგა — ჩემი უმცროსი ქალიშვილის ვაჟი





ზაზა კოლელიშვილი:

პირველ რიგში შენი სამშობლოს ისტორია უნდა იცოდე, უამისოდ მომაპალს ვერ შექმნი...

„ლიტერატურის კითხვა ყოველთვის მიყვარდა, განსაკუთრებით ისტორიული ჟანრი მიტაცებდა. წიგნებთან ურთიერთობა არა სათავგადასავლო (როგორც უმეტესად ხდება), არამედ ისტორიული ნაწარმოებებით დავიწყე“, — მითხრა მსახიობმა და რეჟისორმა ზაზა კოლელიშვილმა. ძველი იბერიის სამეფოდან მოყოლებული, არაერთი ისტორიული პიროვნება უყვარს გამორჩეულად: ფარსმან ქველი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი I... საკუთარი ქვეყნის წარსულით ამაყობს, ამ სიამაყეს კი ასეთ ახსნას უძებნის: „თავდადებული მეფეები გვყავდა. სამშობლოს იცავდნენ. ჩვენი წარსული იმიტომ მიყვარს, რომ დაპყრობითი ომები არ გვქონია. ვიბრუნებდით დაკარგულს და ვიცავდით საკუთარ ტერიტორიას“. მიიჩნევს, რომ პირველ რიგში შენი სამშობლოს ისტორია უნდა იცოდე, უამისოდ მომაპალს ვერ შექმნი, ვერც ქვეყანას განავითარებ...

— 1709 წელს ავღანეთში დალაბით მოკლეს ერთ-ერთი უმამაცესი ქართველთაგანი, რომელმაც თავისი სიმამაცე სამშობლოსთვის ვერ გამოიყენა და სხვა ქვეყანას ემსახურებოდა. გამუსლიმებულს, ყელზე ჯვარი აღმოუჩინეს. ვინ იყო ეს ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი?

— თუ არ ვცდები, ქართლის მეფე გიორგი XI-ზეა ლაპარაკი, რომელიც ირანის სპასალარი და ყანდარის პროვინციის მმართველი გახლდათ. სწორედ მისი ირანში ყოფნის პერიოდს დაემთხვა მირ ვეისის აჯანყება.

— რა მეტსახელით შემორჩა ისტორიას ინგლისის მეფე რიჩარდ I?

- რიჩარდ ლომგული.
- ამერიკის შეერთებული შტატების რომელი პრეზიდენტის მკვლელობა უკავშირდება ჯონ ბუთის სახელს?
- (ფიქრობს).
- მიგანიშნებთ, იგი ახალგაზრდობაში მიწის მზომელად, ტყის მჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა.
- აბრაამ ლინკოლნი. სწორად ვამბობ?
- დიახ. ვინ იყო რომის იმპერიის პირველი იმპერატორი?
- აუგუსტუსი.
- რა ერქვა გიორგი სააკაძის ვაჟს, რომელსაც შაჰის ბრძანებით თავი მოკვეთეს?
- პაატა.
- რომელ ბრძოლაში დაიღუპნენ ძმები ხერხეულიძეები?
- მარაბდის ბრძოლაში.
- რამდენ წელიწადს იცოცხლა ალექსანდრე მაკედონელმა?
- ახალგაზრდა გარდაიცვალა, მგონი 28 წლისა.
- ცდებით.
- (ფიქრობს) 33 წლის ხომ არა? ამ ასაკში არაერთი ცნობილი ადამიანი გარდაიცვალა.
- გამოიცანით. მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან რომელი მდებარეობდა თურქეთის თანამედროვე ქალაქის, ბოდრუმის ადგილას?
- არტემიდეს ტაძარი.
- არა, სწორი პასუხია ჰალიკარნასის მაგზოლეუმი.
- მართალია, აეჩქარდი, თორემ გავიხსენებდი.
- კონფუცი მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდებს უნდა გამოეჩინათ უფროსებისადმი პატივისცემა და მშობლებისადმი მოკრძალება; საქმეს სერიოზულობითა და ღირსებით უნდა მოპყრობოდნენ. უნდა ჰყვარებოდათ ხალხი და კაცთმოყვარე ადამიანებს დაახლოებოდნენ. ყოველივე ამის შემდეგ მათ კიდევ დარჩებოდათ დრო. ცუდი არ იქნებოდა, თუ მას დახარჯავდნენ... რაში უნდა დაეხარჯათ დრო კონფუციის აზრით?
- ვერ გეტყვით, თუ შეიძლება გამომეორეთ (გამეორების შემდეგ), თავის თავზე?
- არა. მათ კიდევ რაღაც უნდა გაეკეთებინათ.
- ბავშვები (იციან). ციტატების დამახსოვრება არ მიყვარს.
- ახალგაზრდებს დარჩენილი დრო წიგ-



ნების კითხვაში უნდა დაეხარჯათ. ეს დაავადება უამრავ ადამიანთან ერთად იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელსა და ნაპოლეონსაც კი აწუხებდა.

— ბნედა, რომელსაც მედიცინაში ეპილეფსიას უწოდებენ.

— 1815 წელს ამისთვის განიხილებოდა დიდი ბრიტანეთის სამი კუნძული: ტრინიდადი, სენტ-ლუსია და მესამე, რომელიც საბოლოოდ ცნობილი სწორედ ამიტომ გახდა. დაასახელეთ ეს კუნძული.

— რომელიმე ისტორიულ პირს უკავშირდება?

— დიახ. ნაპოლეონს.

— წმინდა ელენეს კუნძული, სადაც ის გადაასახლეს.

— „იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა



და შეცნობა შეუძლებელი იყო. ჩაუწერია კიდევ: — თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო“, — ვკითხულობთ ვახტანგ ჯავახიძის ერთ-ერთ წიგნში. რომელ პოეტს ეძღვნება იგი?

— გალაკტიონს. და ამ წიგნს „უცნობი“ ჰქვია.

— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?

— (ფიქრობს) „ძალა ერთობაშია“.

— რომელ წელს გახდა შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი?

— (ოცინის) მახსოვს, 1972 წელი იყო.

— მინისტრებსა და მაღალი თანამდებობის პირებთან პირველი შეხვედრისას მან კორუფციასთან ბრძოლის საკითხი წამოჭრა. რა მოითხოვა ხმის მისაცემად?

— ვერ გიპასუხებ.

— ამ იდეისთვის მხარდაჭერა მარცხენა ხელის აწევით უნდა გამოქნატათ. რატომ მაინცდამაინც მარცხენა ხელით?

— მარცხენა ხელს რამე დატვირთვა აქვს (ფიქრობს)? მივხვდი, ყველას რომ დაენახა, ვის როგორი საათი ეკეთა.

— დიახ, ასეა. რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?

— სოდომი.

— ქრისტეს 10 მცნებიდან რომელია პირველი?

— „მე ვარ უფალი ღმერთი შენი... და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თვინიერ ჩემსა“.

— რა ერქვა მეფის რუსეთში დეპუტატის გასამრჯელოს?

— არ ვიცი.

— დიეტა.

— (ოცინის) მართლა? ჩვენი დეპუტატები კარგ დიეტაზე ყოფილან. მსუყვე დიეტაზე, ასეთივე პენსიით.

— ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა „ჩემო კარგო ქვეყანა“?

— რევაზ ლალიძე.

— სად არის დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი?

— ბოდბეში, არა ბოდბეში მისი საფლავია, ჯვარი სიონში არ არის?

— დიახ. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ...“

— „...ზოგჯერ თქმითაც დაშავდები“.

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს ვეროპის გეოგრაფიული ცენტრი?

— ზუსტად არ მახსოვს, ვერ გიპასუხებ.

— უკრაინაში. II მსოფლიო ომის დროს რომელმა ქართველმა დაიმსახურა იტალიის ეროვნული გმირის წოდება?

— ფორე მოსულიშვილმა. მის საფლავზე ნამყოფი ვარ. მასთან ერთად კიდევ ერთი ქართველი განისვენებს.

— რომელი ფილმი უძღვნა მას რეზო თაბუკაშვილმა?

— „ალპური ვარსკვლავი“.

— ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ რომელი საზოგადო მოღვაწის ცხედარს ეფარა შუბლზე მუხის ფოთოლი?

— (პაუზის შემდეგ) ილია ჭავჭავაძის.

— რა ერქვა აპოლონის ტაძრის ახლოს მდებარე ადგილს, სადაც არისტოტელეს გაკვეთილები მიმდინარეობდა?

— არ ვიცი.

— ლიცეუმი. რა რეაქცია ჰქონდა ზრუშჩოვს, როდესაც 1960 წელს ფილიპინელმა ლორენცო სუმულონგმა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი ნაწილის დეკოლონიზაცია შესთავაზა?

— ფეხსაცმელი გაიხადა და მაგიდაზე აბრაზუნა.

— ვარძიაში ნამყოფი ხართ?

— დიდი ხნის წინ.

— თუ გახსოვთ, რამდენ სართულადაა განლაგებული?

— 12 თუ 13 სართულია.

— 13. რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებითაა აღჭურვილი?

— დიქტატორი.

— ქართული ენის დევნა და შევიწროება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება იყო. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართული ენის სწავლება არასაფაღდებულოდ მიიჩნიეს. ვის სახელს უკავშირდება ეს ანტიქართული გეგმა?

— კირილ იანოვსკის. მას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობა ეკავა.

— ვინ არის ავტორი სიტყვებისა „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს“?

— ლადო ასათიანი.

— მან მთელი ცხოვრება ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, მაგრამ ვიზილბაშთა ტყვეობას ვერ გადაურჩა. აღსასრულიც ტყვეობაში პოვა. ქართველებმა მისი ნეშტის ჩამოსვენება მოახერხეს და ალავერდის ტაძარ-



ში დაკრძალეს. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?

— თეიმურაზ I-ზე. ქეთევან დედოფლის შვილზე.

— „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და შშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზნაობაც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასდროს მიღალატია“... კონსტანტინე გამსახურდიას რომელი გმირი ამბობს ამ სიტყვებს?

— მეფე გიორგი I. ძალიან უიღბლო მეფე და ადამიანი იყო.

— 1832 წელს შეთქმულთა უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო საქართველოს გათავისუფლება რუსეთის ბატონობისგან. რა ერქვა შეთქმულთა გეგმას?

— ვერ გიპასუხებ.

— „საქართველო ქართველებისთვის“. ამ მეფეს მონღოლი ასული ჯიგდა-ხათუნი შერთეს ცოლად, რომელიც ქრისტიანულად მონათლეს და თამარი დაარქვეს. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ორმეფობის პერიოდი უნდა გაიხსენოთ.

— დავით ულუზე ან ნარინზეა ლაპარაკი, ზუსტად არ ვიცი.

— დავით ულუზე. მოგეხსენებათ ირანი და ავღანეთი მოსაზღვრე ქვეყნები არიან, მათ შო-

რის საზღვარი ხშირად ადგილს ინაცვლებს, ამის გამო ათეულობით კვადრატული კილომეტრი, სადაც ირანელები ცხოვრობენ, ავღანეთის საზღვრებში ექცევა. ხდება პირიქითაც. რა არის ამის მიზეზი?

— არ ვიცი.

— საზღვრად მდინარე ჰელმანდია მიჩნეული...

— (მწვევტინებს) რომელიც მოხეტიალე მდინარეთა ჯგუფს განეკუთვნება, ის კალაპოტს ხშირად იცვლის და საზღვარიც ამ ცვლილებაზეა დამოკიდებული.

— „ფეხი დამადგით, / გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, / წყალობა ჰყავით... / საქართველოს ყოვლად მპყრობელმან / ვისურვე, დავით... / ფეხქვეშ გაცვიოთ საფლავის ლოდი / ყურძნის მტვერებით... / — ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, / მიუტყეები?“ — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ანა კალანდაძე.

— საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რომელი მხარის ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 1814 წლამდე?

— აფხაზეთის საკათალიკოსო, არა?

— დიახ. და ბოლოს, დაასრულეთ ჯონ კენედის ცნობილი გამონათქვამი: „გამარჯვებას ათასი მამა ჰყავს დამარცხება კი...“

— „...დამარცხება კი ობოლია“.

თამარ კვინიკაძე

ტროას ომი

54

ცნობილი ბერძნული პოემა, ჰომეროსის „ილიადა“ მოგვითხრობს იმ საშინელ ომზე, რომელიც ბერძნებსა და ტროელებს შორის გაიმართა. ტროელები ცხოვრობდნენ მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს მდინარე ქალაქში (ამჟამინდელ თურქეთის ტერიტორიაზე). „ილიადა“ დაახლოებით ძვ.წ. 750 წელს ჩაწერეს პირველად. ძველი ბერძნები ირწმუნებოდნენ, რომ მისი ავტორი იყო ბრმა პოეტი ჰომეროსი.



▼ სცენა ფილმიდან „ტროა“, რომელიც 2004 წელს გადაიღეს და მთავარი როლი ბრედ პიტმა შეასრულა. ომი ტროელებსა და ბერძნებს შორის დღემდე ინტერესს იწვევს. ზოგიერთი ამბავი ამ ომის შესახებ ლეგენდას უფრო ჰგავს, თუმცა შესაძლოა რეალურ ფაქტებსაც ემყარებოდეს.

მოამზადე ელენეს გვირგვინი

- დაგჭირდება:
- ოქროსფერი მუყაო, სახაზავი, მაკრატელი, წებოვანი ფირი, წებო, მძივების ასხმა, ოქროსფერი ფირფიტები, „ძვირფასი თვლები“ ან „ცეზინები“ (ვენეციური ოქროს მონეტები)
 - 1. ოქროსფერი მუყაოსგან გამოჭერი 15 სმ სიგანისა და 65 სმ სიგრძის ზოლი.
 - 2. ზოლის ბოლოები წებოვანი ფირით შეაერთე ისე, რომ მრგვალი გვირგვინი გამოვიდეს.
 - 3. დააწებე გვირგვინს „ძვირფასი თვლები“ ან „ცეზინები“.
 - 4. გვირგვინს გვერდებსა და უკანა მხარეს მძივების ასხმა დაჰკიდე.

55

ლეგენდის თანახმად, ომი ბერძენთა მეფე მენელაოსის ცოლის, მშვენიერი ელენეს გამო დაიწყო. ელენეს ტროელი უფლისწული პარიისი შეუყვარდა (რომელიც დატყვევებული ჰყავდათ) და მასთან ერთად გაიქცა. ისტორიკოსთა აზრით კი ომის მიზეზი ის იყო, რომ ბერძნები და ტროელები ერთმანეთს საკატრო გზებს ეცილებოდნენ.



56 ბერძნებმა ტროელთა კედელი ვერ გაარღვიეს, სანამ ზერხს არ მიმართეს: უზარმაზარი ხის ცხენი დაამზადეს და შიგ მემორები ჩასხეს. ტროელები კი დაარწმუნეს, მიეღოთ ეს ცხენი, როგორც ღმერთებისთვის შესაწირი საჩუქარი. გაბრიყვებულმა ტროელებმა ქალაქში შეაგორეს ცხენი, საიდანაც ბერძენთა მემორები გამოცვიოდნენ, თავისიანებს ქალაქის კარიბჭე გაუღეს და ტროა ადვილად აიღეს.

57 ოდისევსმა მრავალი განსაცდელი გადაიტანა. მეორე ცნობილი ბერძნული პოემა „ოდისეა“ მოგვითხრობს პოემის მთავარი გმირის, ცბიერებითა და გონიერებით გამორჩეული ოდისევსის თავგადასავალს. მან ბრძოლაში თავი ისახელა. შინ მიმავალ ომგადახდილ ოდისევსს გზად არაერთი დაბრკოლება გადაედო: შეებრძოლა ღმერთებს, გოლიათ და ცალთვალა ციკლოპს, ტყვედ ჰყავდა გრძნულ ქალღმერთ კირკესს და სხვ.



► ციკლოპი ცალთვალა გოლიათი იყო. მან ოდისევსი და მისი თანამებრძოლები გამოქვაბულში შეიტყუა და რამდენიმე მათგანი გადასანსლა. ოდისევსმა ზერხი იხმარა, ციკლოპს დანაკვერცხლებული სარის წვერით თვალი გამოსთხარა და გამოქვაბულიდან გაიქცა.

► „ილიადაში“ აღწერილია, როგორ ჰყავდათ ალყაში ტროელები ბერძნებს ათი წლის განმავლობაში. ბოლოს, ტროელებს ხის ცხენი შეუგზავნეს, ვითომ ღმერთებისთვის შესაწირად, რომელშიც ბერძენთა მემორები იყვნენ ჩამალული. როცა ცხენი ქალაქში შეაგორეს, ბერძნები გამოცვიოდნენ და ქალაქი აიღეს.



ქალაქ-სახელმწიფოები

58

ძვ.წ. 1200 წელს მიკენელთა სამეფო დაეცა. ძვ.წ. 700 წელს საბერძნეთი 300 ქალაქ-სახელმწიფოდ დაიყო. ზოგს მეფე მართავდა, ზოგს — ტირანი (სასტიკი მმართველი, რომლის პოლიტიკა ძალადობაზეა დამყარებული), ზოგს კი — ოლიგარქები (მდიდართა მცირე ჯგუფი, რომელსაც დიდი ძალაუფლება აქვს).

► საჯარო გემებს ხმელთაშუა ზღვის ყველა რეგიონიდან ჩამოჰქონდა საქონელი, რომელსაც საბერძნეთში ბაზრობებზე ყიდდნენ. ვაჭრები უმეტესად ზაფხულობით ჩადიოდნენ საბერძნეთში, რადგან ზამთარში ზღვაზე ხშირი იყო ძლიერი ქარიშხალი.



59

ქალაქ-სახელმწიფოთა უმრავლესობა ვაჭრობით გაძლიერდა. აგორა (ხალხის თავშეყრის ადგილი; საბაზრო მოედანი) ბევრი ქალაქის ცენტრი იყო. აქ გასაყიდად გამოჰქონდათ მარცვლეული, ღვინო, ზეთუნის ზეთი, მარილი, თიხის ჭურჭელი, შალეული, ცხვრის ტყავი, სანდლები, ვაჭრობდნენ მონებით.



60

ხელოსნები ყიდდნენ ხელნაკეთ ნივთებს. ქალაქებში ბევრი დახელოვნებული ხელოსანი ცხოვრობდა. მათ პატარა სახელოსნოები ჰქონდათ თავიანთ სახლებთან ან მდიდართა ფაქტორიებში მუშაობდნენ. ბერძენი ხელოსნები განთქმული იყვნენ მეთუნეობით, ქვაზე კვეთით, საჭურველისა და საბრძოლო იარაღის დამზადებით, ძვირფასი ქვების დამუშავებით.

61

მონეტები ქალაქის სიმიდრესა და სიამაყეს მოწმობდა. როგორც ფულის ერთეული, მონეტა პირველად დაახლოებით ძვ.წ. 600 წელს მოჭრეს ანლო აღმოსავლეთში. მონეტებს ფართოდ იყენებდნენ საბერძნეთშიც. თითოეულ ქალაქსახელმწიფოს საკუთარი მონეტა ჰქონდა. მათზე გამოსახული იყვნენ ღმერთები, ქალღმერთები, გმირები, გოლიათები ან ცხოველები.

▶ ზედა მონეტაზე გამოსახულია ალექსანდრე დიდის თავი, ქვედაზე კი ქალღმერთ ათენას ერთ-ერთი ატრიბუტი — ბუ, რომელიც სიბრძნის სიმბოლოდ ითვლებოდა.



▲ ქალაქ მიკენის ქვის ფილებისგან აგებული უზარმაზარი გალავანი და ჭიშკარი იცავდა. ჭიშკარის თავს ორი ლომის სკულპტურა ამშვენებდა.

63

ქალაქ-სახელმწიფოებს გარს ქვის მტკიცე გალავნები ერტყა. ყველა მათგანი დამოუკიდებელი იყო და ზშირად ეომებოდა მეზობლებს. ამასთან, გამუდმებით იმის შიში ჰქონდათ, თავს არ დასხმოდათ რომელიმე ძლიერი შორეული სახელმწიფო, განსაკუთრებით — სპარსეთი (ახლანდელი ირანი). ამიტომაც სახლების, ტაძრების, სახელოსნოების, ბაზრების, ნავსადგურებისა და მოქალაქეების დასაცავად ქალაქს ავლებდნენ ქვის გალავნებს, რომელთაც ხის მაგარი ჭიშკარი ჰქონდა დატანებული.

62

ქალაქ-სახელმწიფოებში სხვადასხვა ფენის ხალხი ცხოვრობდა. მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ ის მამაკაცები (რა თქმა უნდა, მათი ცოლ-შვილიც), რომლებიც ქალაქ-სახელმწიფოში დაიბადნენ. უცხოელები, ძირითადად, ვაჭრები, მეზღვაურები ან მოხეტიალე მსახიობები და სწავლულები იყვნენ. მონები თავიანთ პატრონებს ეკუთვნოდნენ.

▶ ზღვაზე ზშირი იყო გემების შეჯახება. არაერთი ზომალდი 2000 წელზე მეტია ზღვის ფსკერზეა ჩაძირული და მათ ამჟამად მყვინთავები სწავლობენ.



ქლავამოსილი ათენი

64

ათენი საბერძნეთის უდიდესი ქალაქი, ძვ.წ. 510-431 წლებში კი მთავარი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო იყო. ათენს ეკუთვნოდა საუკეთესო მიწები, ნავსადგური, ვერცხლის მდიდარი საბადოები და ჰყავდა კარგად გაწვრთნილი არმია. ეს ყველაფერი ათენს დიდ ძალასა და სიმტკიცეს მატებდა.

► ამ დამრეც ქუჩას პართენონამდე მიეყვართ. დღესასწაულებზე მოქალაქეები ამ გზაზე მიერეკებოდნენ ქალღმერთ ათენასთვის შესაწირ პირუტყვს.

65

აკროპოლისი (მაღლობზე გაშენებული ქალაქი) ყველაზე მაღალი და გამაგრებული ციხესიმაგრე იყო და ქალაქს ზემოდან გადაჰყურებდა. აქ ბევრი ლამაზი შენობა იდგა, მათ შორის — დიდებული პართენონის ტაძარი. ის ძვ.წ. 447-432 წლებში აშენდა. აქ იდგა ათენას 15-მეტრიანი ოქროთი და სპილოს ძვლით დაფარული მარმარილოს ქანდაკება. ათენა ქალაქის მფარველი ქალღმერთი იყო.





66

ძვ.წ. 490-480 წლებში საბერძნეთში სპარსეთის არმია შეიჭრა. სპარსელები დამარცხდნენ, მაგრამ დაშინებულმა ბერძნულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა კავშირი შეკრეს. მისი ხელმძღვანელობა ათენმა იკისრა, მაგრამ საქმეს ერთობლივად წარმართავდა კავშირის საკრებულო. მოკავშირეებმა მძლავრი სამხედრო ფლოტი შექმნეს. ძვ.წ. 454 წლისთვის ათენმა კონტროლი დააწესა საბერძნეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე.



67

ათენელი მმართველები ფულს არ იშურებდნენ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების საყიდლად. მათ ათენში რჩეული მხატვრები, მოქანდაკეები, მეცნიერები და სწავლულები მიიწვიეს და გასამრჯელოს უხვად უხდიდნენ ტაძრების, მონუმენტებისა და საჯარო შენობების აგებისთვის. ათენის მესვეურებს ამ ქალაქის საბერძნეთის განათლებისა და კულტურის კერად გადაქცევა სურდათ.

68

2000 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ძველ ათენელთა ნააზრევმა და მიღწევებმა საუკუნეებს გაუძლო. პერიკლე დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო; სოკრატე და პლატონი — ცნობილი ფილოსოფოსები, ისინი ხალხს სწორად აზროვნებას ასწავლიდნენ. არისტოტელემ კი პირველმა დაამკვიდრა სწავლების ახალი სისტემა, რომელიც დაკვირვებასა და შედეგად მიღებული ცნობების ჩაწერას ეყრდნობოდა.

სპარტა

69

სპარტა ათენის ყველაზე დიდი მეტოქე იყო. ეს გახლდათ ქალაქ-სახელმწიფო, რომელიც საბერძნეთის სამხრეთში, მთიან რეგიონში მდებარეობდა. სპარტას ჰყავდა მეფეები, რომლებიც პრივილეგირებულ მოქალაქეთა ჯგუფთან ერთად ქალაქ-სახელმწიფოს მართავდნენ. სხვა სპარტელები ან ხმის მიცემის უფლებას მოკლებული თავისუფალი ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ, ან უუფლებო პილოტები (ე.წ. სახელმწიფო მონები, მიწათმოქმედთა ფენა), რომლებიც მოსახლეობის 80%-ს შეადგენდნენ.

71

ყველა სპარტელი მეომარი იყო. ისინი ცნობილი იყვნენ სიმამაცითა და ერთგულებით, აგრეთვე, წითელი მოსასხამებითა და გრძელი, გრუნა თმით. მათი უმთავრესი მოვალეობა ბრძოლა იყო. სარჩოს მოსაყვანად, პირუტყვის მოსაველეად, სახლების ასაშენებლად ან სავაჭროდ არ ეცალათ. ამ ყველაფერს პილოტები აკეთებდნენ.

70

სპარტა საომრად მუდამ მზად იყო. მეფეებსა და მოქალაქეებს გამუდმებით ჰქონდათ პილოტების აჯანყების შიში. ამიტომაც ყველა სპარტელ მამაკაცს მეომრებად ზრდიდნენ. ისინი სხვა ჯარისკაცებთან ერთად ყაზარმებში ცხოვრობდნენ და საბრძოლველად ემზადებოდნენ.

დაუჯერებელია!

სპარტელი ქალები, როცა ომში აცილებდნენ შვილებს, მათ ასე მიმართავდნენ: „დაბრუნდი ფარით (გამარჯვებული) ან ფარზე (გარდაცვლილი)!“



► ეს ბრინჯაოს ქანდაკება შევიბრებაში მონაწილე მორბენალ გოგონას გამოსახავს. სხვა ბერძენი ქალებისგან განსხვავებით, მას მოკლე ტუნიკა აცვია და თმა მხრებზე აქვს ჩამოშლილი.



73

სპარტელი ქალები მამაკაცებ-ვით ძლიერი იყვნენ. გოგონებსაც მკაცრად წვრთნიდნენ. სპარტელებს სჯეროდათ, რომ ამგვარად აღზრდილი ქალი ძლიერ, მებრძოლ გაუქვს შობდა და გაზრდიდა. ისევე როგორც ბიჭებს, გოგონებსაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას. სპარტელ ქალებს რკინის ნერვები უნდა ჰქონოდათ, რადგან სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ომში წასული ქმრებისა და შვილების მოლოდინში ატარებდნენ.

72

სპარტელ ბავშვებს ისე წვრთნიდნენ, რომ ამტანი ყოფილიყვნენ. სახელმწიფო მოქალაქეთა შვილებს საწვრთნელ ბანაკებში ამწესებდა. იქ ბიჭებს უმკაცრესად ეპყრობოდნენ, რათა რაც შეიძლება ძლიერი და გაუტყუელი გამხდარიყვნენ. შვიდი წლიდან ყმაწვილებს საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდნენ, სიცივეში ამყოფებდნენ, აშიშშილებდნენ და სცემდნენ, რათა ტკივილის ატანა ესწავლათ.

► სპარტელ მეომართა საარაკო სიმამაცემ და გამძლეობამ არაერთი რეჟისორი შთააგონა. ფილმ „სამასი სპარტელის“ ამ ეპიზოდში ჩანს მათი აღჭურვილობა — ლითონის მუზარადი, ბასრი შუბები და მრგვალი ფარები.





დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წ.წ.

					1 ილაშის წინდა ქალაქი	2 გერუსა და ვენეციის რუს. მაჯირობების მეთაურის ტიტული, ძე	3 ისტ. მხარე აღმ. საქართველოში	4 ნომის მმართველი ძე. ეგვიპტეში
					5 სახელმწიფო წყობილება			
						6 შტეტერა უმაღლეს ღონეზე		
7 იუგოსლავიელი დიქტატორი							8 სახალხო კრებების ადგილი ძე როში	
9 ლითონის ფული		10 ... მუსილინი						11 ისტორიული მხარე დას. საქართველოში
						12 გიორგი საკახის შობლიური სოფელი		
	13 სახელმწიფოში შესვლის ნებართვა	14 სომხეთის დედაქალაქი			15 ერთი გვარის მოსახლეობა ძე. საქართველოში	16 მსხვილი კოლინიური სახელმწიფო		17 საპაერო ბრძოლის ოსტატი
							18 გამოჩენილ ადამიანთა სასფლაო	
	19 ნაპოლეონის პირადი მხატვარი							
					20 ეულკანური მასა			
21 ილაშის მიმართულება								22 ფელის ერთი თურქეთში
23 შეიარაღებული კონფლიქტი				24 სასაზღვე ძველად				25 ისტ. მხარე ვეროპაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. კადავი; 2. დანტანი; 3. კამიკაძე; 4. ელცინი; 5. ილაი; 6. კამო; 7. მენშევიზმი; 8. ბუმერანგი; 9. ალი;
10. პანამა; 11. პარამიძე; 12. მზე; 13. სტატუა; 14. ოლიმპი; 15. პესო; 16. იმპერია; 17. ვენუა; 18. ეტნა;
19. უგულაუა; 20. ონი; 21. პეტრია; 22. ნამაზი; 23. ტრადიცია; 24. პუმა; 25. უგო. სურათზე: კლეოპატრა.